

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

რომანული ფილოლოგია

ქათევან რეხვიაშვილი

## არაპეტიური პრედიკაცია თანამედროვე ფრანგულში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის (Ph. D) აკადემიური ხარისხის  
(ფილოლოგიის მიმართულება) მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ი რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ი. ფხაკაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამოცემა

2010

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

4

<b>თავი I.</b> არააქტიური პრედიკაციის პრობლემატიკის კვლევა ბმისა და მართვის თეორიაზე დაყრდნობით	10
1.1. ბმისა და მართვის თეორიის მიმოხილვა ნ. ჩომსკის თეორიის კონცეფციის მიხედვით	10
1.2. არააქტიურ პრედიკატსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტთა კვლევა: ინდექსების, ცარიელი ელემენტის და კვალის (trace) მიმოხილვის საფუძველზე.	16
<b>თავი II.</b> არააქტიური პრედიკაციის არგუმენტული სტრუქტურა 6. ჩომსკის “ახალი სინტაქსის” თეორიის მიხედვით და ზმნათა კლასიფიკაციის ჩამოყალიბება ერგატიული ზმნების საფუძველზე	24
2.1. ერგატიული ზმნები	25
2.2. არგუმენტული სტრუქტურა და თეტა-როლები	30
2.3. ბრუნვა და არგუმენტთა განაწილების პრინციპი ბრალდებითი, ნაწილობითი, მიცემითი, მოჩვენებითი მიცემითი	33
2.4. არააკუზატიური, არამიცემითი ზმნები. ბურციოს განზოგადება და ბრუნვის მიწერა. არათემატური სუბიექტი და საშუალი გვარი	36
<b>თავი III.</b> არააქტიური პრედიკაციის სივრცის განხილვა გრამატიკული გვარის კატეგორიის გათვალისწინებით	41
3.1. თანამედროვე ენათმეცნიერების სხვადასხვა ვერსიები ვნებით გვართან დაკავშირებით	41
3.2. ზოგად-თეორიული მოსაზრებები ვნებითი გვარის გამოხატვის შესაძლებლობებებზე	44
3.3. პასიური პრედიკაციის ვერსია ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით	51

<b>თავი IV. არააქტიური პრედიკაციის გამოხატვის საშუალებები</b>	
ფსიქოლოგიური და უკუქვევითი ზმნების არგუმენტულ-თემატური	
და ბრუნვითი სტრუქტურისა და დიათეზური მნიშვნელობის	
გათვალისწინებით	65
4.1 განსხვავებული თეორიულ თვალსაზრისთა ანალიზი	
ფსიქოზმნების შესახებ	65
4.2. ფსიქოზმნების ანალიზი ბმისა და მართვის თეორიის	
პრინციპებზე დაყრდნობით ნაცვალსახელოვანი ზმნების	
ტრანსფორმაციული ანალიზი.	74
4.3. ნაცვალსახელოვანი ზმნების არგუმენტულ-თემატური და	
ბრუნვითი სტრუქტურა	89
4.4. რეფერენტული და არარეფერენტული “se”	97
<b>თავი V. არააქტიური პრედიკაცია და მასთან დაკავშირებული</b>	
გრამატიკული ფუნქციების მორფოსინტაქსური თეორია	142
5.1. “Se” შემთავსებელი (აბსორბციის) უნარი ორმაგი დამატების	
ჰიპოთეზა და ნაცვალსახელთა ხმარება	142
5.2. რეფლექსივები - უკუქვევითები	147
დასკვნები	156
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	164

## შესავალი

ახალი სინტაქსური პარადიგმის გაჩენამ, რომელსაც დღეს სულ უფრო ხშირად უწოდებენ ახალ სინტაქსს შესაძლებელი გახადა სისტემების შემადგენელ ნაწილთა გაერთიანება და ვრცელ სისტემათა აგება-ანალიზი. პრედიკატის სივრცე რთულ მიმართებათა ბადეს ქმნის. პრედიკაციის კვლევის რამდენიმე შესაძლებელი არჩევანი არსებობს და ყოველ მათგანს გააჩნია არგუმენტირებული ადეკვატურობა. ასეთივე შეიძლება აღმოჩნდეს ბმისა და მართვის თეორიის დებულებები, რომლებიც მოცემულ ნაშრომში გამოიყენება არააქტიური პრედიკაციის კვლევის თვალსაზრისით.

ამ თეორიის მონაცემები, რომლებიც ძირითადად აისახება ე.წ. „ახალ სინტაქსურ თეორიებში“, არგუმენტულ - თემატურ სტრუქტურათა და მათში მიმდინარე ცვლილებები ძირითადი კვლევის ძირეულ შესაძლებლობებს იძლევა, ვინაიდან მოქმედებაში მოდის, როგორც სტრუქტურული ასევე სინტაქსური, სემანტიკური, პრაგმატული და კოგნიტიური მექანიზმების ურთიერთდაკავშირებული პროცესები.

გვარი უნივერსალური კატეგორია, იგი გამოხატავს სუბიექტის მონაწილეობას პრედიკაციაში. ეს მონაწილეობა ძირითადად სამი სახით აისახება: აქტიური, პასიური, საშუალი.

პირველი სახის მიმართება აგენსურია, მეორე სახის მიმართება არა აგენსურია, მესამე სახის მიმართება შეიძლება აგენსურიც იყოს და არა აგენსურიც. ეს განსაკუთრებული სახის მიმართებათა ქსელია. ამრიგად, თანამედროვე ენობრივი მდგომარეობა სამი სახის მიმართებით გამოხატავს დაპირისპირებას აქტიურ და არააქტიურ პრედიკაციებს შორის:

მოქმედებითი გვარი → ვნებითი გვარი

აქტიური    პასიური

საშუალი გვარი  
± აქტიური

საშუალი გვარი ამა თუ იმ ფორმით უნივერსალურ კატეგორიას წარმოადგენს და უძველესი ენობრივი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი

მახასიათებელი იყო მოქმედებით გვართან ერთად. უძველეს ენებში ვწებითი გვარი მოგვიანებით წარმოიშვა.

საშუალი გვარი, როგორც ჩანს, ითავსებს როგორც მოქმედებით (აქტიური), ასევე ვწებითი გვარის (პასიური) პარამეტრებს;

ვწებითი და მოქმედებითი გვარის ურთიერთქმედება კარგად არის შესწავლილი თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

ზოგადად ვწებითი გვარი არააქტიური პრედიკაციას წარმოადგენს, ვინაიდან საშუალი გვარი ორივე სახის პრედიკაციის მატარებელია, განსაკუთრებით საინტერესოდ ჩანს ამ გვარის პლევა თანამედროვე ფრანგულ ენაში, რომელშიც იგი ძირითადად ზმის უკუქვევითი ფორმით, ეგრეთწოდებული ფსიქოლოგიური ზმებით და გარდაუგალი ზმების ერთ-ერთი ტიპით გამოიხატება.

საშუალი გვარი, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ მიმართებას გამოხატავს სუბიექტსა და პრედიკაციას შორის.

მოქმედებას ასრულებს სუბიექტი და იგი გადადის თვით სუბიექტზე ან ობიექტზე (პირდაპირსა და ირიბზე), ან ნაწილდება სუბიექტსა და ობიექტებს შორის, ან სრულდება სუბიექტის ინტერესებიდან გამომდინარე, ან თავს იყრის სუბიექტის ინეტერესების სფეროში და შემოიფარგლება ამ სფეროთი. საშუალი გვარის გამომხატველი ზმების არგუმენტულ და თემატურ სტრუქტურაში სრულად აისახება საშუალი გვარის მნიშვნელობის სპეციფიკურობა. სუბიექტის აგენტურობა ან არააგენტურობა (თემატურობა ან არათემატურობა). არგუმენტობრუნების დამთხვევა-შეთავსება, ბრუნვისა და თემატური ფუნქციის შეცვლა, ნაცვალ-სახელთა (პირის უმახვილო ნაცვალსახელთა) სპეციფიკური ინტერეტაცია, გარდაუგალი ზმების კატეგორიის გაჩენა. ყოველივე აქედან გამომდინარე, საშუალი გვარი, მისი მნიშვნელობის სპეციფიკურობის გამო, ალბათ უფრო დასაშვებია, განხილულ იქნას არააქტიური პრედიკაციის სიგრცეში.

ამრიგად, აქტიურ პრედიკაციად შეიძლება ჩაითვალოს ობიექტის გამოყოფა სუბიექტისაგან და მათი განსხვავებულ არეში მოთავსება (გარდამავლობა) ყველა სხვა სახის პრედიკაცია არაქტიური პრედიკაციის გამოვლენაა.

სახელდობრ, არააქტიური პრედიკაციის გამოხატვის საშუალებებად გამოყენებულ იქნა არგუმენტობრუნვის კონფიგურაციის და თემატოლების მიწერის,

არგუმენტთა მოძრაობის, ცარიელი კატეგორიების და კვალის, ბრუნვისა და ზმნათა კლასიფიკაციის, რეფერენციის და კორეფერენციის, ანაფორული მიმართებების, პროექციის, ინტერპრეტაციის და სხვათა ცნებები.

ამრიგად, ასეთია ის ძირითადი მიმართულება, რომელსაც იღებს არააქტიური პრედიკაციის პრობლემატიკის კვლევა მოცემულ გამოკვლევაში. აღნიშნულ პრობლემათა სირთულე და სიმრავლე განაპირობებს ჩვენი გამოკვლევის აქტუალობას, მიზანს და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

სადისერტაციო თემის პრობლემატიკის **აქტუალურობა** განპირობებულია იმით, რომ კვლევის დროს გამოვიყენეთ თემატური ანალიზი, არააქტიური პრედიკაცია მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ბმისა და მართვის თეორიის დებულებებზე დაყრდნობით, ვინაიდან ეს თეორია ურთიერთთან აკავშირებს სტრუქტურულ, სინტაქსურ-სემანტიკურ, პრაგმატულ და კოგნიტიურ პროცესებს ენობრივი მოვლენების ანალიზის მსვლელობის და შედეგების აღრიცხვის თვალსაზრისით.

ეს პროცესები და მათი ურთიერთქმედების მოსალოდენელი შედეგები შემდეგ ცნებებში აისახება: არგუმენტთა კონფიგურაციის და თეტა-როლების მიწერის, არგუმენტთა მოძრაობის, ცარიელი კატეგორიების და კვალის, ბრუნვისა და ზმნათა კლასიფიკაციის, რეფერენციის, კორეფერენციის (ანაფორული მიმართებების), პროექციის, ინტერპრეტაციის, ფსიქოზმების, ერგატიული ზმების და სხვათა ცნებები.

ყველაფერი ეს წარმოადგენს ჩვენს საკვლევ მასალას, რომელიც გამოყენებულია არააქტიური პრედიკაციის გამოხატვის საშუალებებად.

ურთიერთმიმართება ლექსიკურ ინფორმაციასა და სინტაქსურ სტრუქტურებს შორის აისახება არგუმენტული სტრუქტურის მიწერის პრინციპებში, თემატური იერარქიისა და ბრუნვის მიწერის შესაძლებლობაში.

თეტა-კრიტერიუმი აღიარებს ურთიერთცალსახა მიმართებას სტრუქტურულ როლებსა და სიდრმის სინტაქსურ მიმართებებს შორის, თეტა-კრიტერიუმის პრინციპი გრამატიული სტრუქტურის არგუმენტებსა და თეტა-როლებს შორის ურთიერთცალსახა მიმართების პრინციპია. ნებისმიერი არგუმენტი ასრულებს ერთსა და მხოლოდ ერთ თეტა-როლს და მხოლოდ ერთი თეტა-როლი მიეწერება ერთ არგუმენტს.

თეტა-როლები განიხილება, როგორც ბაზისური სემანტიკური როლები. არგუმენტთა იერარქია აიგება თემატური იერარქიის შესაბამისად უნივერსალური პრინციპების მიხედვით.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის **მიზნისა** და ამოცანის განხორციელების საბოლოო შედეგი ითვალისწინებს შექმნილი სიგრცის თეორიული დასაბუთებისა და ენისმიერი ადეკვატურობის ურთიერთშერწყმას. არააქტიური პრედიკაციის კვლევამ განაპირობა ნაშრომის **კერძო საკითხების** განხილვის აუცილებლობა. ეს საკითხებია:

1. **ბმისა და მართვის თეორია,** მოცემულ თეორიაზე დაყრდნობით შეიქმნა საყურადღებო გამოკვლევათა განსაზღვრული რაოდენობა, რომლებშიც განხილულია, როგორც კონკრეტული ენობრივი პრობლემები, ასევე წარმოდგენილია ზოგადი სისტემური ანალიზი;

2. **ზმნათა კლასიფიკაცია.** ზმნათა თანამედროვე კლასიფიკაციაში არგუმენტთა სტრუქტურა, ბრუნვათა რაოდენობა და მიწერა, თეტა-როლების განაწილება ბრუნვათა შორის განსაზღვრულია და ყოველ მათგანს დიაგნოსტიკის შესაბამისი ხერხი გააჩნია.

გარდაუვალ ზმნათა კლასი არერთგვაროვანია და სტრუქტურულად განსხვავებული და იგი ძირითადად ორ ეტაპს შეიცავს:

1. არაერთგვაროვანი (გარდაუვალი)
2. არააკუზატიური (ერგატიული-ბურციოს ტერმინოლოგიით)

ერგატიულ ზმნებად ისეთი ზმნები მიიჩნევა, რომელთა ზედაპირული სუბიექტი წარმოადგენს სიღრმისულ პირდაპირ ობიექტს.

3. ვნებითი გვარი და თანამედროვე ენათმეცნიერების სხვადასხვა ვერსიები. განსაკუთრებით საინტერესოა ის საკითხი, როდესაც საქმე ეხება მნიშვნელობის ანალიზს. ანალიზის ამოსავალი კრიტერიუმები და ტერმინოლოგია განსხვავებული აქვთ აკ. შანიძეს და სხვა თვალსაზრისის მქონე ენათმეცნიერებს, მაგრამ გულდასმით ანალიზის შედეგად შეიძლება მრავალი დებულების გაერთიანება ან ახლებურად ჩამოყალიბება. (მაგ: კონვერსია – ტრანსფორმაცია, აქტივისა და პასივის შექცევადობა, პასივის წარმოება აქტივიდან, პასივის რედუცირებული, უაგენსო ფორმები).

4. ფსიქოლოგიური და უკუჭცევითი ზმნების არგუმენტულ-თემატური და ბრუნვითი სტრუქტურა და მათი თეზისური მნიშვნელობა.

5. რეფერნეტული და არარეფენტული „Se“

6. გრამატიკული ფუნქციების მორფოსინგაქსური თეორია
7. ორმაგი დამატების პიპოთეზა და ნაცვალსახელეთა ხმარება.
8. რეფლექსივები

ქართული ზმნების ფრანგული თარგმანები მიუთითებს იმ მრავალგანზომილებიან სივრცეზე, რომელიც დღეს მოიცავს გვარის ანალიზს, ქართულ თეორიაში უხვად არის მოცემული ის ფორმალური და სემანტიკური მოსაზრებანი, რომლებიც შემდეგ ჩამოყალიბდა, როგორც თანამედროვე თეორია გვარის შესახებ. განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა იმ სტრუქტურათა სიმრავლე, რომლებიც შემდეგ ჩამოყალიბდა, როგორც არააქტიური გვარი (არააქტიური პრედიკაცია) თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი კონცეფცია ერთხელ კიდვე აღნიშნავს სემანტიკური ანალიზის იმ მაშტაბურობას, რაც ქართულ კონცეფციას ახასიათებს. შესაბამისი მონდომების პირობებში იგი შეიძლება სრულიად ადეკვატურად ჩამოყალიბდეს თანამედროვე ტერმინოლოგიითა და ფორმებით.

ნაშრომში დეტალურად არის წარმოდგენილი უახლესი საენათმეცნიერო დონე, რომელიც რადიკალურად განსხვავდება აქამდე არსებული კონცეფციებისგან და რომელმაც, ერთგვარად, განსაზღვრა მომავალი საენათმეცნიერო აზროვნება.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს არააქტიური პრედიკაციის სივრცის ჩართვის შესაძლებლობების საკითხის დაყენება მთელი თავისი მოცელობით და მიმართებათა ქსელით, რასაც საფუძვლად უდევს ბმისა და მართვის თეორიული მონაცემები, რაც დღემდე არა მხოლოდ არ განხორციელებულა, არამედ საკითხიც კი არ დასმულა ასეთი გაერთიანების შესაძლებელობის შესახებ.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს მრავალი ადრე არსებული შესაძლებლობების გადააზრება, ახლებურად ფორმულირება და მთელი ის ცნებითი აპარატი, რაც დამახასიათებელია ყოველი ახალი თეორიისათვის.

შესაბამისად ეს არის ქართულ ენაზე წარმოდგენილი პირველი ნაშრომი, რომელიც ყველა ზემოთ დასახელებულ საკითხს შეძლებისდაგვარად სრულად აანალიზებს.

გამოკვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ჩომსკის ერთ-ერთი თეორია. საკვლევი მასალა მთლიანად ეყრდნობა ახალი სინტაქსის - ბმისა და მართვის თეორიის ჩომსკისეულ კონცეფციას.

ცხადია, განიხლება გენერაციული კონცეფციის სხვა ვერსიებიც, ეს თეორია მოყვანილია დღეს არსებული ვარიანტების გაერთიანებული ვერსიით და ამ უკანსკნელთან დაკავშირებული ვრცელი თეორიული და პრაქტიკული მოსაზრებებით, რომლებიც დღევანდელ უახლეს საენაომეცნიერო აზროვნებაში გაჩნდა.

**გამოკვლევის თერიული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:**  
პრედიკაცია განიხილება, როგორც ლოგიკურ-სემანტიკური მიმართება სუბიექტსა და ზმნას (პრედიკატს) შორის. ბმისა და მართვის თეორია ურთიერთთან აკავშირებს სტრუქტურულ, სინტაქსურ-სემანტიკურ, პრაგმატიკულ და კოგნიტიურ პროცესებს ენობრივი მოვლენების ანალიზის მსვლელობის და შედეგების აღრიცხვის თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული დირექტულება შემდეგში მდგომარეობს:

არააქტიური პრედიკაციის გამოხატვის ნათლად წარმოჩენა და მისი თითოეული ნიუანსის გამოვლენის შესწავლა აუცილებელია ფრანგული ენის პრაქტიკული გრამატიკის სწავლებისას.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ფრანგული ენის თეორიული გრამატიკის სწავლებისას. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს რომანისტიკის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

**დისერტაციის სტრუქტურა.** დისერტაცია შეიცავს 163 გვერდს. იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, ხუთი თავი, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რომელშიც 91 დასახელებაა აღნიშნული.

## თავი I. არააქტიური პრედიკაციის პრობლემატიკის კვლევა ბმისა და მართვის თეორიაზე დაყრდნობით

- 1.1. ბმისა და მართვის თეორიის მიმოხილვა 6. ჩომსკის თეორიის კონცეფციის მიხედვით.
- 1.2. არააქტიურ პრედიკატსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტთა კვლევა: ინდექსების, ცარიელი ელემენტის და კვალის (trace) მიმოხილვის საფუძველზე.

### 1.1 ბმისა და მართვის თეორიის მიმოხილვა 6. ჩომსკის თეორიის კონცეფციის მიხედვით.

ბმისა და მართვის თეორია, რომელიც ძირითადად “ახალი სინტაქსის” სახელითაა ცნობილი, წარმატებით გამოიყენება თანამედროვე ენათმეცნიერებაში. მოცემულ თეორიაზე დაყრდნობით შეიქმნა საყურადღებო გამოკვლევათა განსაზღვრული რაოდენობა, რომლებშიც განხილულია, როგორც კონკრეტული ენობრივი პრობლემები, ასევე წარმოდგენილია ზოგადი სისტემური ანალიზი; მოცემული ნაშრომი არააქტიურ პრედიკაციას იკვლევს დასახელებული თეორიის დებულებათა გამოყენებით.

ახალი სინტაქსის შემქმნელი 6. ჩომსკია, ეს თეორია თავისთავად გენერაციული კონცეფციის გაგრძელებას წარმოადგენს; მასში თავდაპირველად წარმოდგენილია გავრცობილი სტანდარტული თეორიის ძირითადი კომპონენტები.

- 1) ლექსიკა
- 2) სინტაქსი
  - (I) ბაზისური კომპონენტი
  - (II) ტრანსფორმაციული კომპონენტი
- 3) ინტერპრეტაციის კომპონენტი:
  - (I) ფონოლოგიური კომპონენტი  
[FP]
  - (II) ლოგიკური ფორმების კომპონენტი  
[FL]

ამ ნაწილში განიხილება თემატურ როლთა განსაზღვრა სათაო პოზიციაში, ე.წ. თეტა-მარკირების პარამეტრები სიღრმის D-სტრუქტურებში და S ზედაპირულ სტრუქტურებში. წესის “ამოძრავე ა”-ს (déplacer a) საშუალებით, და აქედან გამომდინარე ინდექსების, ცარიელი ელემენტის და კვალის ცნებები.

კონკრეტული სემანტიკური ფუნქციები: აგენსი, მიზანი, თემა, წყარო – კონკრეტული არგუმენტის მიერ შესრულებული თემატური, ანუ თეტა-როლებია; თეორიის მიზანია სინტაქსურ სტრუქტურებში პრედიკატ – არგუმენტულ ურთიერთშემართებათა აღმოჩენა და ანალიზი. სინტაქსურ არგუმენტებად ძირითადად სათაო (მეთაური) რეფერენტული სახელადი ჯგუფები გამოიყენება, არარეფერენტული ერთეულები (უპირო ნაცვალსახელები, იდიომები) ასეთ ფუნქციას არ ასრულებენ. თეტა - პოზიციას წარმოადგენს ყველა ის პოზიცია, რომელშიც ლექსიკური თავი (tête) (სუბიექტები, ობიექტები, სახელები ან წინადადებები) არგუმენტს მიაწერს თეტა-როლს. თუმცა ყველა არგუმენტი ( $\pm$ Argument) არ წარმოადგენს თეტა – პოზიციას. თეტა-პოზიციის განსაზღვრა მხოლოდ სინტაქსურ სტრუქტურაში ყალიბდება და სტრუქტურულადგვე განისაზღვრება, ამდენად იგი თეტა-მარკირების კონფიგურაციულ მიღებობად ითვლება. გრამატიკული სტრუქტურის არგუმენტებსა და თეტა-როლებს შორის ურთიერთცალსახა მიმართების პრინციპი მოქმედებს: ერთი არგუმენტი ასრულებს მხოლოდ ერთ თეტა-როლს და მხოლოდ ერთი თეტა-როლი მიეწერება ერთ არგუმენტს. ლექსიკური თავის არგუმენტის როლს მხოლოდ რეფერენტული გამოთქმები ([+R] ასრულებს), ასეთია, როგორც უკვე აღინიშნა სახელადი ჯგუფები და მათი კვალი, ანაფორები (ნაცვალსახელები), საკუთარი სახელები.

საინტერპრეტაციო კომპონენტი FP (ფონოლოგიური ფორმა) წარმოადგენს S-ის (ზედაპირული) სტრუქტურის ფონეტიკურ გამოხატულებას, ხოლო FL (ლოგიკური ფორმა) იმავე სტრუქტურას ლოგიკურ განსახიერებას შეუფარდებს.

წარმოდგენილ ზოგად ნაწილს ემატება რამდენიმე კონკრეტული თეორია.

1. X- შტრიხების თეორია (X)
2. თემატური თეორია
3. ბრუნვის თეორია
4. ბმის თეორია
5. ზღვართა თეორია
6. კონტროლის თეორია

## 7. მართვის თეორია

X – შტრიხის თეორიის მიხედვით ყოველი მთაგარი კატეგორია განიხილება სამსაფეხურიან იერარქიად : X შედის X' დონეში., რომელიც თავის მხრივ X' ნაწილია.

A ) X" - ...X'

b) X' - - ...X

X ცვლადია და აღნიშნავს N, V, P, A

X –ისათვის X' მინიჭების შემდეგ

X - NP,VP,PP,AP

X კატეგორიები, ანუ უშუალო ლექსიკური მნიშვნელობანი მოქმედებს, როგორც თავი X"- ის არეში; X –ი შეიძლება მაქსიმალურად განიხილოს, მაშინ იგი უმაღლესი იერარქიული კატეგორიაა, თავია და დომინირებს თავის პროექციაზე. ეს პროექცია სპეციფიურია ყოველი კონკრეტული ენისათვის; მაგალითად, ფრანგულ ენაში X –ის მარცხენა მხარეს მისი განმსაზღვრელები დაიკავებენ, ხოლო მარჯვნივ კი დამატებები განლაგდებიან..

(ეს იმ დამატებათა სიმრავლეა, რომელთა მიმართ X ქვეკატეგორიებია).

ბრუნვის თეორია აბსტრაქტულ ბრუნვას მიაწერს იმ ჯგუფებს, რომლებსაც ბრუნვით მარკირების პოზიცია უჭირავთ; ესენია პარდაპირი ან წინდებულიანი ობიექტები და სუბიექტები სასრულ დროიან წინადადებებში. ამ თეორიის ძირითად პრინციპს ბრუნვის ფილტრი წარმოადგენს, რომლის მიხედვით ნებისმიერ სახელად ჯგუფს ფონოლოგიურად გამოხატულს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბრუნვა, რათა “თვალსაჩინო” გახდეს FP (ფონოლოგიური ფორმა) და FL (ლოგიკური ფორმა) წესების გამოყენების სივრცე; შესაძლებელია ბრუნვის ფილტრის თეტა- კრიტერიუმებზე დაყვანა.

ბმის თეორია აწესრიგებს ნაცვალსახელთა და ანაფორათა ურთიერთმიმართებებს მათ ანტეცედენტებთან. თვითონ ცნება ბმა (liage) ფორმალურად გამოხატავს მიმართებას “მის ანტეცედენტთან ყოფნა” [être antécédent de]; მას საფუძვლად უდევს C- მართვის (C-command, კონსტიტუენტთა მართვის) ცნება (იგი რეინპარტმა შემოიღო).

ეს პრინციპია:

ჯგუფი α (კვანძი noeud) C – მართავს

ჯგუფ (კვანძ noeud ] β, ოუ ისინი ერთმანეთზე არ დომინირებენ და ოუ პირველი განტოტვილი კვანძი, რომელიც დომინირებს α -ს, დომინირებს აგრეთვე β-ზე.

შესაბამისად ბმა შემდეგნაირად განისაზღვრება:

კატეგორია ა ბმულია კატეგორიით β, მაშინ და მხოლოდ მაშინ:

(I) α და βკოინდექსირებულნი არიან

(II) β C-მართავს α.

არაბმული კატეგორია თავისუფალია.

უფელ განსხვავებულ სინტაქსურ პოზიციაში მდგომი სახელადი ჯგუფი ინდექსირებულია და თან განსხვავებულად ინდექსირებული. პოზიციათა ინდექსირების საფუძველზე განსხვავდება ერთმანეთისაგან ანაფორული და კორეფერენტული მიმართებანი; ანაფორული მიმართება ანაფორასა და ანტეცენდენტს შორის მოძიებულ ინდექსირებულ პოზიციათა შორის მყარდება;

კორეფერენტულობა იდენტურ პოზიციათა შორის არსებული მიმართებაა.

1. Ils ont laissé [leurs épouses aller les unes chez les autres]

2. Jean dit qu 'il viendra demain

აქედან რამდენიმე ზოგადი დაშვება გამომდინარეობს:

(I) ანაფორის ბმა უნდა მოხდეს D-ს არეში

(II) ნაცვალსახელი თავისუფალი უნდა იყოს D –ს არეში

(III) რეფერენტული გამოთქმა თავისუფალი უნდა იყოს.

კოინდექსირება [+ anaphorique] შეიძლება ან მართვის ოპერაციის (déplacer NP; move α) ან ბმის ოპერაციის შედეგი იყოს.

ბმის თეორია აწესრიგებს და ფორმალურ სახეს ანიჭებს მიმართებებს ნაცვალსახელებსა და ანაფორებს შორის და განასხვავებს მიმართებებს A (არგუმენტულ) ბმასა და A' (არაარგუმენტულ) ბმას შორის.

A - პოზიცია მოიცავს ყველა გრამატიკულ პოზიციას [Sujet de, objet de]

A' - პოზიცია მოიცავს პირის უმახვილო ნაცვალსახელთა მიერთების კომპლემენტარიზაციის ( COMP] და X –ის ყველა მთავარ პოზიციათა სიმრავლეს.

β (მბმელ) კატეგორიას უჭირავს A ან A' პოზიცია. ბმის მიერთებები სახელად ჯგუფსა და ანტეცენდენტს შორის შემდეგნაირად განზოგადდება:

პრინციპი A : ანაფორა ბმულია თავის მმართველ კატეგორიაში;

პრინციპი B: ნაცვალსახელი თავისუფალია თავის მმართველ კატეგორიაში;  
 პრინციპი C : რეფერენტული გამოთქმა თავისუფალია.  
 “მმართველი კატეგორია” ანაფორისათვის მისი ანტეცედენტია, ხოლო  
 ნაცვალსახელისათვის მისი რეფერენტი.

ამრიგად:

ა არის ბ მმართველი კატეგორია მხოლოდ მაშინ თუ მინიმალური  
 კატეგორიაა და შეიცავს როგორც  $\beta$ -ს , ასევე ბ მმართველს, და  $\alpha = S$  ან PN.

ზღვართა თეორია განსაზღვრავს ლოკალურობის პრინციპებს იმ წესთა  
 მიმართ, რომლებიც მოქმედებენ “Déplacer  $\alpha$ ”-ს სქემებით და იმ სტრუქტურათა  
 მიმართ, რომლებიც ამ წესების შედეგად მიიღება.

ლოკალურობის ან ქვეპატეგორიზაციის პრინციპი შემდეგნაირად  
 ყალიბდება:

არც ერთ წესს არ შეუძლია აამოძრაოს  $\alpha$  და  $\beta$  მოცემულ კონფიგურაციაში:

[ $\gamma$  [ $\alpha \dots \beta \dots \alpha \dots \gamma$ ]]

სადაც  $\gamma$  და  $\alpha$  ზღვრულ პვნძებს წარმოადგენს. ზღვართა რაოდენობა  
 განასხვავებს ენებს ერთმანეთისაგან.

ზღვრის (S და N) პრინციპი განსაზღვრავს სტრუქტურული სიახლოვის  
 პირობას A და A' პოზიციებში გადაადგილებულ სახელად ჯგუფსა და მის  
 პვალს შორის; რაც გულისხმობს სწორად (კარგად) გაფორმებული  
 კონფიგურაციის ჩამოყალიბებას.

კონტროლის თეორია ადგენს ნულოვანი ელემენტის PRO -ს ინერპრეტაციის  
 და ანტეცედენტის ძიების წესებს. ასეთი ანტეცედენტი [კონტროლიორი, le  
 contrôleur] კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება ან აუცილებელი იყოს, ან  
 ფაკულტატიური. აუცილებელი კონტროლიორი გულისხმობს PRO -ს ბმულ  
 სინტაქსურად გამოხატულ ანტეცედენტს; არაუცილებელი კონტროლის  
 პირობებში ანტეცედენტი არ არსებობს, ან თუ არსებობს, არ აძამს PRO -ს.

მართვის თეორია ემყარება მიმართებას ზმნასა და მის დამატებებს შორის.  
 ქვეპატეგორიზაციის ცნება (ნ. ჩომსკის მიერ შემოღებული) მართვის  
 ფორმალურად გამოხატვის ცდაა.

ქვეპატეგორიზაცია შემდეგ უპვება ერთდროულად პოზიციათა და  
 კატეგორიათა სელექციის თეორიად იქცა. მაგალითად: + [- N"] აღნიშნავს, რომ  
 ზმნას მოხდევს პირდაპირი ობიექტის პოზიცია და კატეგორია N"; ე.ი.

ერთდროულად წარმოდგენილია გარდამავალი ზმნის პოზიციური და კატეგორიული სელექცია. ქვეყანაში გორუნველის მოქმედების არე ლოკალურად მკაცრად განსაზღვრულია. მაგ.: V (ზმნის) ქვეყანაში გორუნველის მთავარ სიტყვას წარმოადგენს და მართავს ზმნის ჯგუფის შინაგან შემადგენლებს, მართვა სტრუქტურული მიმართებაა ჯგუფის თავსა და მასზე დამოკიდებულ დამატებათა შორის. მართვის მიმართება ასე ყალიბდება:

მოცემულია კონფიგურაცია [β...γ ...ა...გ ...],

I. რომელშიც  $\alpha = X$

II. მაქსიმალური პროექცია  $\varphi$  თუ მართავს  $\gamma$ , მაშინ  $\gamma$  მართავს  $\alpha$ .

III.  $\alpha C$  – მართავს  $\gamma$

მაშინ  $\alpha$  მართავს  $\gamma$ .

პროექციის პრინციპი ძირითადად განიხილავს მიმართებებს თეტა ცხრილსა (თეტა როლების დაულაგებელი ჩამონათვალი) და S (ზედაპირულ სტრუქტურას ან უბრალოდ წინადაღებას) შორის და ეყრდნობა ძირითად დაშვებას, რომლის თანახმად სინტაქსურ ფორმას ლექსიკური მახასიათებლები განსაზღვრავს. რეპრეზენტაციის ყველა დონე სინტაქსურ კონსტრუქციებში ასახავს ლექსიკური ერთეულების არგუმენტულ და თემატურ სტრუქტურას, რაც X შეტყობის თეორიით განისაზღვრება, ეს სინტაქსური კონსტრუქციები ინგარიანტულია. ინგარიანტულობის ეს პრინციპი დერივაციათა შეზღუდვის გლობალურ წესს წარმოადგენს, იგი აჩვენებს კანონიკური სტრუქტურული კონფიგურაციის ნებისმიერ ცვლილებას, მოსალოდნელს ლექსიკური პროექციიდან და ემსახურება გრამატიკული სტრუქტურის “გადარჩენის” სურვილს.

პროექციის პრინციპი ადგენს ლექსიკურად განსაზღვრულ სინტაქსურ კონფიგურაციათა სახეებს და აუცილებლად პროეცირებად მახასიათებელთა რაოდენობას, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში გორუნველი ყველა დონეზე დამაკმაყოფილებელი რაოდენობით განიფინება. თეტა კრიტერიუმში მოწმდება D(სიღრმის სტრუქტურა) S (ზედაპირული სტრუქტურა) და FL (ლოგიკური ფორმა) -ში, სადაც თემატური და კატეგორიული პოზიციები თეტა-კრიტერიუმთან შეთანხმებულად მოქმედებენ და ინარჩუნებენ შესაბამის მნიშვნელობებს. მაგალითად:

Pierre a rencontré Marie

ზმნა “rencontrer”-ს აქვს ორი სახელადი არგუმენტი, შესაბამისი ორი თეტა-როლი და ორი N-ის კატეგორიული კონტექსტი, D-სტრუტქურაში ყოველ არგუმენტს უჭირავს თეტა-პოზიცია და ყოველ პოზიციაში რეალიზდება თეტა-არგუმენტი. როდესაც არგუმენტი ვედარ იკავებს თეტა-პოზიციას S-სტრუქტურაში (მაგ.: პასიური კონსტრუქცია სადაც რეალური სუბიექტი PPN ხდება], მაშინ კონდექსაციის საშუალებით შესაძლებელი ხდება თეტა-პოზიციისათვის შესაფერისი კატეგორიის ამოცნობა ჯაჭვის საშუალებით, რომელიც კონდექსირებულ პოზიციათა მწერივს წარმოადგენს და რომელშიც თეტა-ცარიელ პოზიციიდან თეტა-როლი [+argument]- გადაეცემა არათემატურ პოზიციაში. მაგალითად:

Marie a été rencontrée par Jean

ამ წინადადებაში Marie იღებს თეტა -როლს, რომელიც შეესაბამება იღებას თეტა-პოზიციის არგუმენტის. თეტა-პოზიცია არის წარმოდგენილი როგორც პასიურ, ისე აქტიურ კონსტრუქციაში, ხოლო NP სუბიექტის პოზიციაშია.

## 1.2. არააქტიურ პრედიკატსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტთა კვლევა: ინდექსების, ცარიელი ელემენტის და კვალის (trace) მიმოხილვის საფუძველზე

პროექციის პრინციპი უშვებს ცარიელი კატეგორიების არსებობას, რომლებიც უნდა აღდგენილ იქნას S ზედაპირულ სტრუქტურებში და ინფინიტიურ წინადადებებში და რომლებითაც უნდა შეივსოს ცარიელი თეტა-პოზიციის პოზიცია და თეტა-როლი კონდექსაციის საშუალებით.

პროექციის პრინციპი განსაზღვრავს აღდგენის და გადარჩენის წესთა მკაცრ ზღვარს, რათა შენარჩუნებულ იქნას სინტაქსური წყობის ინვარიანტულობის პრინციპი.

პროექციის პრინციპი მხოლოდ ისეთ ოპერაციებს უშვებს, რომლებიც არ შეცვლის D სიღრმის სტრუქტურის კანონიკურ რეპრეზენტაციებს, ე.ი. მხოლოდ დამატების და სუბსტიტუციის ოპერაციებს.

მართვის ზღვარს მაქსიმალური პროექცია (შემადგენელთა მართვა) წარმოადგენს, მართვა S ზედაპირულ სტრუქტურაში ხდება კატეგორიით (Infl) [flexion-ფრანგული ვარიანტი, რომელიც X' განიხილება, როგორც ნულოვანი

ქატეგორია და წარმოადგენს S-ის მთავარ წევრს; [Infl] გამოხატავს დროის, კილოს და შეთანხმების მახასიათებლებს.

ზედაპირული S შემდეგნაირად გამოიხატება:

S→N” Inf V”

არსებობს S' გამომხატველი წესი, რომელშიც ასახულია ქვეწყობის და Qu-გამოთქმების პოზიციები სიმბოლოთი COMP.

S'→COMP S

COMP → qui, que, dont, qui, que, Si...

ერთ-ერთი ოვალსაზრისის მიხედვით ურთიერთმიმართება S და S' შორის შტრიხის თეორიაში შედის, მხოლოდ S წარმოადგენს Infl პროექციას, ხოლო S'-COMP -პროექციას.

(შეიძლება ასევე: S- 1 რანგის, ხოლო S'- მეორე რანგის პროექციაა ).

ენები ერთმანეთისაგან სწორედ S-ის პროექციის პრინციპებით განსხვავდებიან.

მართვის მიმართების შემოწმების საშუალებას შემდეგი კონტექსტები წარმოადგენს, რომლებშიც განისაზღვრება მიმართება ბრუნვის მიმნიჭებულ კატეგორიასა და ბრუნვით მარკირებულ N” კატეგორიას შორის.

(I) PN სახელობითია, როდესაც იგი იმართება შეთანხმებით (AgR) [Accord -ფრანგული ვარიანტი) და დროით.

(II) PN ირიბი ობიექტია, როდესაც იგი იმართება V –თი

(III) PN ირიბი ობიექტია, როდესაც მას მართავს P (Préposition) და ზოგიერთი ლექსიკურად მარკირებული ზმნა.

ეს პრინციპები ბრუნვის ფილტრის პრინციპებია, რომელთა თანახმად ნებისმიერი PN (ლექსიკური ) S-ს სტრუქტურაში ისეთ მნიშვნელოვან არეში უნდა მდებარეობდეს, სადაც იგი ბრუნვას მიიღებს.

ბმისა და მართვის თეორიის გავრცობილი პროექციის პრინციპი უშვებს ცარიელ კატეგორიებს, რომლებიც მართავს ყოველ კვალს და რომლებიც უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება, არ გამოიხატება მატერიალური (ფონეტიკური) ფორმით.

ცარიელი კატეგორიები (catégorie vide- cv) ისეთივე პოზიციებში ჩნდება, სადაც მათი შესაბამისი სრული კატეგორიებია: ანაფორები, ნაცვალსახელები,

R(რეფერენტული) გამოთქმები, თუმცა ეს მიმართება ხშირად არ ჩანს და სპეციალურ დაკვირვებას მოითხოვს.

ნაცვალსახელები პირის, სქესის, რიცხვის, ბრუნვის და ფონოლოგიური მატრიცის მატარებლებია. PRO - განიხილება, როგორც ნაცვალსახელოვანი ანაფორა ინფინიტივისა და გერუნდივის სუბიექტის პოზიციაში, R - გამოთქმები არ რეალიზდება, ან ცარიელი კატეგორიებია. ასეთ პოზიციებში ნებისმიერი ელემენტი ატარებს კატეგორიული იდენტურობის ნიშანს და პოზიციათა განმასხვავებელ ინდექსს.

ცარიელი კატეგორია ასე გამოიხატება:

[e,i][ N" e] i; i პოზიციის ინდექსია, e – ნულოვანი ერთული (ნულოვანი მწკრივი).

ნულოვანი (ცარიელი) კატეგორიების ორი ძირითადი ტიპი არსებობს:

1. კვალი, რომელსაც ამოსავალ პოზიციაში ტოვებს “მოძრავი ა” (გადაადგილების ოპერაცია) ოპერაცია; ამოსავალ წევრს და ცარიელ კატეგორიას შორის იდენტურობას ინდექსი აღნიშნავს: ერთნაირი ინდექსი მიეწერება ამოსავალ პოზიციას და გადაადგილებულ წევრს; ეს კოინდექსირების პრინციპია

[ NPi → t<sub>1</sub> ]

(1) Pierre a été arrêté

Pierre a été arrêté [N"e]i

ა6

(2) Quel livre<sub>i</sub> Jean a-t-il acheté [N"e]i

t<sub>i</sub>

(t-trace)

მეორე კვალი სპეციფიური კვალია, მას Qu – კვალს უწოდებენ. (ე.ო. კითხვითი პროცედურის კვალი).

ამგვარად, აქ ყველა კვალი გადაადგილებული NP –ს კვალია.

2. PRO –ს სუბიექტის პოზიცია უჭირავს ინფინიტიურ და გერუნდიულ წინადადებებში და აგრეთვე ისეთ რთულ წინადადებაში, რომლის სუბიექტს ინფინიტივი წარმოადგენს, მაგალითად:

(1) Pierre veut partir à la campagne

Pierre veut [e]i] partir à la campagne

(2) Partir à la campagne ennuie Picre [e];

[ti] Partir à la campagne ennuie Jean;

PRO არ წარმოადგენს “déplacer α” (ტრანსფორმაციის) შედეგს და იგი ფიგურირებს უკვე D სიღრმის სტრუქტურაში.

ანაფორის მიმართება ცარიელ (ნულოვან ) ანტეცედენტთან თავს იჩენს PRO-ს და déplacer α-ს შემთხვევაში. ამ შემთხვევაში გამოიყენება იდენტური ინდექსები ანაფორისა და ანტეცედენტისათვის.

ინდექსირება ორგვარი წესის მიხედვით შეიძლება წარიმართოს:

1) ინდექსები ალალბედზე ნაწილდება D სიღრმის სტრუქტურაში და იდენტური ინდექსი შეიძლება მოხვდეს ორ სხვადასხვა პოზიციაში.

2) D სიღრმის სტრუქტურაში N” ყველა პოზიცია განსხვავებული ინდექსით უნდა ადინიშნოს, ხოლო S ზედაპირულ სტრუქტურაში ეს ინდექსები განაწილდება იმ ინდექსების შესაბამისად (იდენტურად), რომლებიც D სტრუქტურაშია წარმოდგენილი. კოინდექსაცია, ანუ ინდექსის გადაწერის წესი ამ მეორე შესაძლებლობას ემყარება და იგი ფაკულტატურია. ვინაიდან PRO არატრანსფორმაციული წარმოშობისაა, შესაძლებელია იგი კოინდექსაციის შედეგი იყოს. კოინდექსაცია შეიძლება déplacer α-ს შედეგიც იყოს, ამრიგად, კოინდექსაციის ორ განსხვავებულ სახელს შორის შეიძლება განსხვავებული დერივაციული წყაროდან მომდინარეობდეს. ორივე შემთხვევაში აუცილებელია იმის კონტროლი, ემორჩილება თუ არა კოინდექსირებული ერთეულები ბმის თეორიის პრინციპებს, ე.ო. კოინდექსირებული მწყრივის წევრები ჰქმნიან თუ არა ერთმანეთთან ბმის (A,B,C) მიმართებებს. მაგალითად მიმართება NP ანტეცენტსა და მის კვალს შორის ხასიათდება, როგორც ანაფორული მიმართება ყველა ნიშნის მიხედვით; NP კვალი განეკუთვნება ანაფორულ ელემენტთა კლასს; ბმის თეორიის A პრინციპი აწესრიგებს კოინდექსაციის ყველა მიმართების სისტორეს [+anaphorique]-ის მეშვეობით, ხოლო კოინდექსირება déplacer NP-ს ოპერაციისა და Coïndicer –ს წესის შედეგია.

მართვის თეორიის ცარიელი კატეგორიების პრინციპი ამბობს, რომ NP-ს ყოფილი კვალი უნდა იყოს მართული. ბმის, ბრუნვის, მართვისა და ზღვრების თეორიები ისე ურთიერთმოქმედებენ, რომ განსაზღვრავენ განსხვავებას და მსგავსებას ცარიელ კატეგორიებსა და რეალიზებული ერთეულების დისტრიბუციას შორის.

ცარიელი კატეგორიები ცარიელ ადგილებს ქმნის ზედაპირულ სტრუქტურასა და FL – ში; ცარიელი კატეგორია ჩნდება იქ, სადაც ამას თხოვლობს პროექციის

გაფართოებული პრინციპი. ლოგიკური ფორმა თხოულობს ცარიელი ოპერატორის (მთავარი სიტყვის) გამორიცხვას, ამიტომ უოველი ცარიელი ერთეული ან მისაწვდომი უნდა იყოს თავისი მნიშვნელობით, ან მას ანტეცედენტი უნდა აძლევდეს მნიშვნელობას; ეს ეხება, როგორც ცვლადებს, ასევე R რეფერენტულ გამოთქმებს.

ცარიელი ელემენტები ხასიათდებიან იმის მიხედვით გააჩნიათ თუ არა მათ დამოუკიდებელი თეტა – როლი, ან ატეცედენტი. déplacer ა ძირითადი პრინციპის მიხედვით გადაადგილება ხდება არა თეტა-პოზიციისაკენ. მაგალითად, PRO – დამოუკიდებელი კატეგორია, იგი არ არის კვალი, დამოუკიდებელი თეტა როლი აქვთ ანაფორებს და R – გამოთქმებს. ესენი déplacer ა – მიერ დატოვებული პვლებია.

ცარიელი ელემენტები ზღვართა თეორიის თანახმად ემორჩილებიან სპეციფიკური ქვემდებარის და სახელადი ჯგუფის პრინციპებს.

déplacer ა- ენის ტრანსფორმაციული კომპონენტია, იგი შემდეგნაირად იკითხება:

a) déplacer ა განსაზღვრავს მიმართებას ანტეცედენტსა და ცარიელ ადგილს შორის;

ბ) ანტეცედენტს არა აქს დამოუკიდებელი თეტა-როლი;

გ) ცარიელი ადგილი საკუთრივ იმართება

დ) მიმართება ემორჩილება ზღვართა თეორიას

ან: (ქვეპატეგორიზაციის პრინციპს).

déplacer ა ისეთი წესია, რომელიც ქმნის D – სიღრმის სტრუქტურიდან S – ზედაპირულ სტრუქტურას

ან:

იგი წარმოადგენს “ბაზაში წარმოქმნილ” S სტრუქტურების თვისებას, რაც განისაზღვრება X – შტრიხის თეორიით, პროექციის გავრცობილი პრინციპით და ბრუნვის თეორიით.

ამრიგად, ცარიელი კატეგორიებია PRO, NP კვალი და ცვლადი, ისინი ვირტუალურად ასრულებენ NP-ს როლს. (ჩომსკი 1987: 119)

ცარიელი კატეგორიის საკითხი თავისებურად გაიგება, “ნაკლულ (ნულოვან) სუბიექტიან ენებში (იტალიური, ესპანური);” ამ სუბიექტის გაგება ხდება არც როგორც PRO, არც როგორც კვალი, არც ცვლადი. ასეთ ენებში სუბიექტის

არსებობის შესაძლებლობა ემყარება საკმაოდ მდიდარ ლექსიკურ სისტემას. ფლექსია განსაზღვრავს “არმყოფი სუბიექტის” გრამატიკულ თვისებებს, ფლექსია წარმოადგენს ბრუნვის თეორიას AgR (Accord) და INFL. მიიჩნევა, რომ ასეთ ენებში ცარიელი კატეგორია სუბიექტის და ობიექტის პოზიციაში ავსებს პარადიგმის ცარიელ ადგილებს, ეს არის არაანაფორული ნაცვალსახელი (B ტიპის), რეალიზებული ტიპის ანალოგიური, რომელიც ჩნდება ნულოვან ქვემდებარიან ენებში. (ჩომსკი 1987: 178)

ასეთია ბმისა და მართვის თეორიის ზოგადი და კონკრეტული პრინციპები, რომლებიც წამოჭრილი საჭიროების მიხედვით გამოიყენება მოცემულ ნაშრომში. ვინაიდან ხშირად მოიხსენიება ლ. ბურციოს კონცეფცია, მოკლედ იქნება წარმოდგენილი მისი ძირითადი დებულებანი.

სინტაქსის სხვადასხვა ასკექტის განხილვისას განზოგადოებული ცოდნის მისაღებად ავტორი ეყრდნობა პერლმუტერის არაკუზატიურ პიპოთეზას, პარაზიტი სიცარიელის დაშვება მომდინარეობს ნულოვანი სუბიექტის მქონე ენებიდან, რაც ითვალისწინებს “ქვემდებარის არქონას.” ფრანგულში ცარიელი სუბიექტი il იხმარება ზმნათა შეზღუდულ კლასთან. შესაბამისად დადგენილ იქნა პრინციპთა და წესთა შეზღუდული რაოდენობა. მათ შორის ძირითადად შემდეგი პრინციპები გამოიყოფა.

არსებობს D – სტრუქტურის, S – სტრუქტურის FL-ის გამოხატულების სამი დონე და კონდექსირების შემდეგი კლასები (I), (II), და (III).

სწორად აგების პირობები შემდეგი მიმართებით გამოიხატება:

D – სტრუქტურა      S – სტრუქტურა      FL – ლოგიკური ფორმა

(I)                  X                  X                  X

(II)                  X                  X

(III)                  X

(i) კლასი გამოხატავს კლიტიკ (უმახვილო ნაცვალსახელი) – ec (ცარიელ კატეგორიას) მიმართებებს; ეს მიმართებები სწორად უნდა იქნას აგებული მოძრავი a-ს (déplacer a) როგორც წინ, ასევე შემდეგ, D და S სტრუქტურებში. ივარაუდება მათი სწორად აგება აგრეთვე FL – შიც.

(ii) კლასი გამოიხატება NP – ნაკვალევის მიმართებებით. ესენი არ არსებობს მოძრავი a – მდე, ვინაიდან ისინი სწორად ჩამოყალიბებული უნდა იყვნენ მოძრავი a – ს შემდეგ. სავარაუდოა, რომ ისინი ასეთად ჩამოყალიბდნენ FL- შიც.

(iii) კლასი წარმოადგენს NP-PRO ან NP (soi même)- ეს უკანასკნელი მხოლოდ FL-ში არსებობენ.

მათი სწორი აგება მტკიცდება რეკონსტრუქციის შედეგად. ისინი არ აიგება და არც არსებობს არც D და არც F სტრუქტურებში .

გარდა ზემოთ დადგინდი განსხვავებებისა და ურთიერთმიმართების განსხვავება (i)-( ii) და (iii) შორის დგინდება E [être-ის] მიწერისა და PP (ნამყო მიმღეობა) შეთანხმების ურთიერთმოქმედების საფუძველზე, რომელიც გამოიყენება S ზედაპირულ სტრუქტურაში და ეხება მხოლოდ (i) და (ii) და არ ეხება (iii)-ს .

S სტრუქტურისა და D სტრუქტურის რეპრეზენტაციები იყენებს ec-ს, ანუ უფრო ზოგადად ნულოვან ელემენტებს (PRO – ს ჩათვლით). თვითეული კლასი შეიცავს ან არ შეიცავს ცარიელ ელემენტებს. რომ არ არსებობდეს ცარიელი ელემენტი, მრავალი პოსტულირებული კლასი არ იარსებებდა. მაგ.: ანტეცედენტ - Si მიმართება გულისხმობს ორ გამოსატულ ელემენტს და მოექცევა (i) კლასში, ისევე როგორც კლიტიკ (უმახვილო ნაცვალსახელი) - ec მიმართება. NP ნაკვალევი მიმართება, რომელშიც მეორე ელემენტი ნულია, მოექცევა (ii) კლასში, როგორც ინვერსიის და ექსტრა პოზიციის მიმართება, რომელშიც ზოგჯერ მხოლოდ პირველი ელემენტია ნულოვანი, ზოგჯერ-არა. NP-PRO მიმართება მოექცევა (iii ) კლასში, როგორც NP (soi- même) მიმართებანი.

ეს პრინციპები და სამწევრად დაყოფა ამტკიცებს პროექციის პრინციპის სისწორეს, ვინაიდან სწორედ პროექციის პრინციპი ადგენს კოინდექსირების მიმართებებს, თხოულობს რა, რომ θ-როლის გადაცემის მიმართებები არსებობდეს არა მარტო FL-ის, რომელიც ინტერპრეტაციის გამოვლენის დონეა, არამედ სხვა დონეზეც, S – სტრუქტურაში, თუ გამოიყენება მოძრავი a (déplacer a) და ორივე, S და D სტრუქტურებზე, თუ ბაზისური წარმოშობა მოქმედებს არა θ- პოზიციაში. გარდა იმისა, რომ ცარიელი ელემენტები ამტკიცებს პროექციის პრინციპს, ეს უკანასკნელი გულისხმობს ცარიელი ელემენტების არსებობას და მათ დისტრიბუციას. ამრიგად, მოცემული სისტემისათვის ძირითადია რეპრეზენტაციის სამი დონე, ცარიელი ელემენტების არსებობა და პროექციის პრინციპის ვალიდურობა.

ბმისა და მართვის თეორია შედგება რამდენიმე ქვე თეორიისაგან, რომლებიც აგებულია “ლოკალურობის” კონფიგურაციით განსაზღვრული ცნების ირგვლივ, რომელიც ძირითადად მართვას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ბმის თეორია არ ითვალისწინებს ისეთი სინტაქსური მექანიზმის არსებობას, როგორიცაა თემატური მიმართებები: “აგენსი” “პაციენსი” და სხვა. ან ისეთ გრამატიკულ მიმართებებს, როგორიცაა “სუბიექტი” “პირდაპირი”/ “ირიბი” ობიექტები; იგი უშვებს, რომ სინტაქსურ მექანიზმს შეუძლია გაანალიზოს ისეთი მსგავსი კონსტიტუენტები, რომლებიც გამოხატავენ განსხვავებულ გრამატიკულ და თემატურ მიმართებებს. ამრიგად, ბრალდებითი ბრუნვის მიწერა ერთნაირად მოქმედებს, კორეფერენციის პრინციპი და პასივიზაციის პრინციპიც ერთნაირად მოქმედებს. დამხმარე ზმნის მიწერის მექანიზმიც ერთნაირია თუნდაც თემატური ან გრამატიკული მიმართებები სრულად განსხვავებული იყოს. თუკი განზოგადება ძნელია თემატური და გრამატიკული მიმართებების თვალსაზრისით, ასეთივე განზოგადების უნარის მქონედ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი კონფიგურაციული ცნება, როგორიცაა მართვა; მაგ.; ელემენტისა ზმნის მიერ (სუბიექტის პოზიციაში) არც კლიტიკიზაციაში არ უნდა თამაშობდეს როდს თემატურ / გრამატიკული მიმართებები, თუმცა იგი (კლიტიკი-უმახვილო ნაცვალსახელი) ყოველთვის იმართება ზმნის მიერ და ამის შემდეგ იდებს ზროლს;

ამრიგად, არც დამხმარე ზმნის მიწერა, არც NP- მოძრაობა, არც კლიტიკიზაცია არ მოქმედებს თემატური ან გრამატიკული მიმართებების საფუძველზე. (ბურციო).

**თავი II. არააქტიური პრედიკაციის არგუმენტული სტრუქტურა**  
**ნ.ჩომსკის „ახალი სინტაქსის“ თეორიის მიხედვით და ზმნათა**  
**კლასიფიკაციის ჩამოყალიბება ერგატიული ზმნების საფუძველზე**

- 2.1. ერგატიული ზმნები**
- 2.2. არგუმენტული სტრუქტურა და თეტა-როლები**
- 2.3. ბრუნვა და არგუმენტთა განაწილების პრინციპი ბრალდებითი, ნაწილობითი,  
მიცემითი, მოჩვენებითი მიცემითი**
- 2.4. არააქტიური, არამიცემითი ზმნები. ბურციოს განზოგადება და ბრუნვის  
მიწერა. არათემატური სუბიექტი და საშუალი გვარი**

ბმისა და მართვის თეორია ემყარება ზმნისა და მის დამატებებს შორის მიმართებას, სადაც ამოსავალი არის ზმნა ანუ პრედიკატი და რადგანაც ჩვენი სადოქტორო თემა ეხება არააქტიური პრედიკაციის გამოვლენას,  
მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ გაგვეხილა ერგატიული ზმნები და მისი კლასიფიკაცია.

ზმნების კლასიფიკაცია „გარდამავლობა—გარდაუვალობა“ ნიშნის მიხედვით და სუბიექტ-ობიექტის მიმართებათა წარმოშობა განსაზღვრავს განსხვავებულ ენობრივ ტიპს, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად სუბიექტ-ობიექტის მიმართებათა გადმოცემაზე და გულისხმობს სუბიექტის ბრუნვისა და ობიექტის ბრუნვის ფორმობრივ დაპირისპირებას ზმნური დაპირისპირება გარდამავლობა—გარდაუვალობა არსებითად გულისხმობს მოქმედება—მდგომარეობის სიღრმისეულ კლასიფიკაციას. ენობრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე დომინანტური ხდება არა საგანთა კლასიფიკაცია, არამედ ზმნების ურთიერთგანსხვავება „მოქმედება—მდგომარეობის“ ნიშნის მიხედვით, რაც ენებში უპირატესად ზმნათა კლასიფიკაციის სახით „გარდამავლობა—გარდაუვალობის“ მიხედვით გამოიხატება.

## 2.1. ერგატიული ზმნები

გვარი პრედიკატით გამოხატული მოქმედების შესრულება – განაწილებას გამოხატავს არგუმენტთა მიერ და მათ შორის. მოქმედებაში მონაწილეობა აისახება ზმნით გამოხატული პრედიკატის [±] გარდამავლობაში, არგუმენტთათვის ბრუნვის მიწერაში და შესაბამისი თეტა-როლების განაწილებაში. ცხადია, ძირითადი საკითხები, რომლებიც გვარს უკავშირდება, ეფუძნება ზმნათა კლასიფიკაციას, არგუმენტთა სტრუქტურას, ბრუნვათა და თეტა-როლების ურთიერთმიმართებას.

ზმნათა თანამედროვე კლასიფიკაციაში ყველა მოხსენიებული პარამეტრი, სახელდობრ, არგუმენტთა სტრუქტურა, ბრუნვათა რაოდენობა და მიწერა, თეტა-როლების განაწილება ბრუნვათა შორის, მკაცრად განსაზღვრულია და ყოველ მათგანს დიაგნოსტიკის შესაბამისი ხერხები გააჩნია.

1978 წ. დ.პერლმუტერმა წამოაყენა “არააკუზატიური ჰიპოთეზა (IH), რომლის მიხედვით გარდაუვალი ზმნები არაერთგვაროვანია და ისინი ერთმანეთისაგან სტრუქტურულად განსხვავდებიან. ეს ზმნები მოიცავს ორ ძირითად კლასს, რომელთაგან ერთ კლასს ეწოდება აკუზატიური ანუ არაერგატიული (გარდაუვალი) და მეორე კლასს ეწოდება არააკუზატიური ანუ ერგატიული (გარდამავალი). ეს ისეთი ზმნებია, რომელთაც არ შეუძლია ბრალდებითი ბრუნვის მიწერა და არის ზედაპირულად გარდაუვალი.

ლ.ბურციო ზმნათა კლასიფიკაციას შემდეგნაირად ხედავს: გარდამავალი, გარდაუვალი, ერგატიული. ორივე კლასიფიკაცია დაახლოებით თითქმის ერთნაირ კრიტერიუმებს იყენებს, მცირე განსხვავებებით, პერლმუტერი მხედველობაში იღებს გარე არგუმენტის თემატურობას, ხოლო ბურციო თეტა-სტრუქტურის ინფორმაციას. ენათმეცნიერთა ნაწილს ტერმინის “ერგატიულის” სმარება აკუზატიურ ენათა შესახებ მსჯელობისას “ტერმინოლოგიურ” რევიზიონიზმად მიაჩნიათ, ვინაიდან ამ ცნების თანამედროვე კონცეპტუალურ გაგებაში რიგ არათანამიმდევრულ მოსაზრებებს და ბუნდოვან დეფინიციებს აწყდებიან. მაგალითად, ბურციო (ასევე პერლმუტერი) ერგატიულად მიიჩნევს ყველა იმ ზმნას, რომელიც ირთავს არათემატურ გარე არგუმენტს; სხვები იმავე კლასის ზმნებს არააკუზატივებს უწოდებენ. გარდა ამისა, განასხვავებენ ამ ტერმინის ორგვარ სმარებას: “არააკუზატივები” ისეთი ზმნებია, რომლებიც არ მიაწერენ ბრალდებით ბრუნვას და ზედაპირულად გარდაუვალნი არიან;

“ერგატიული” მიუთითებს იმ ზმნებზე, რომელთაც ცვლადი არგუმენტული ფუნქცია აქვთ.

ზმნები, რომელთა შესაძლებელ არგუმენტთა რაოდენობა და დისტრიბუცია ცვალებადია და შეუძლიათ მიაწერონ ბრუნვა-მულტივალენტური-ზმნები ეწოდებათ; ასეთ ზმნებს ორმაგი კატეგორიზაცია აქვთ: ან გარდამავალი, ან არააპუზატიური, გარდამავალი წინადადება აგენს-სუბიექტით პირველ წევრს შეადგენს, ხოლო მეორეს-უკუქცევითი ფორმა.

ერგატიულობის საკითხები, მათი გქნებისი და თეორიული მოდიფიკაციები და ერთგვარი სტაბილური მდგომარეობა საკითხის ირგვლივ ვრცლად აქვს განხილული გ. პლიმოვს და თ.გამყრელიძეს (1984) თავიანთ ნაშრომებში და მათ მიერვე მოყვანილია ძირითადად ერგატიულობის შესახებ ტრადიციული თვალსაზრისის მქონე ავტორთა ნაშრომები. ერგატიულობის თანამედროვე გაგება, თუმცა როგორც აღინიშნა მცირეოდენი განსხვავებებით წარმოდგენილია პერლმუტერის, ჩომსკის, ბურციოს, პერშენზონის ნაშრომებში.

დღეს ერგატიულობის განსაზღვრება ემყარება ზმნათა კლასიფიკაციის ძირითად ნიშანს გარდაუვალობა-გარდამავლობის მიხედვით და მასთან დაკავშირებულ სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებებს, რომლებიც ჩაენაცვლნენ დაპირისპირებას აქტიურ-ინაქტიურ სახელთა და მათ შესაბამის ზმნურ კლასიფიკაციას შორის. ენის ასეთი ტიპი ზედაპირულ სტრუქტურაში გამოხატავს სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვათა შორის ფორმალურ დაპირისპირებას. (გამყრელიძე, ივანოვი 1984: 213), რაც გამოიხატება ერგატიულ (სუბიექტის მარკირება) და აკუზატიურ (ობიექტის მარკირება) კონსტრუქციებს შორის დაპირისპირებაში.

ერგატიული და აკუზატიური ტიპები სიღრმის სტრუქტურაში გამოხატავენ ერთნაირ სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებებს, რომლებიც განსხვავებულ სტრუქტურებს მხოლოდ ზედაპირზე იძლევა, რაც ემყარება დაპირისპირებას მოქმედების გარდამავლობის ან გარდაუგალობის ნიშნით და ასახავს განსხვავებებს ამ უკანასკნელთან დაკავშირებული სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა შორის. ერგატიულობა-აკუზატიურობა (ნომინატიურობა), თრი განსხვავებული ერთი და იმავე სიღრმის მიმართების ზედაპირულ-სტრუქტურული გამოხატულება (გამყრელიძე, ივანოვი 1984: 314)

სრულიად თანამედროვე გაგებითაც ერგატიული ოდნავ განსხვავებულად იხმარება. როგორც აღინიშნა, რიგი ენათმეცნიერებისა, განასხვავებს

გარდაუვალ (მაგ. arriver) და ერგატიულ (მაგ. couler) ზმნებს; ერგატიული ხშირად იხმარება ისეთი ზმნების მიმართ, რომელთაც აქვს გარდამავალი მეწყვილე, რელაციურ გრამატიკაში არააკუზატივი ერგატიულ ზმნებს ეწოდება, ხოლო არააერგატიული-გარდაუვალ ზმნებს (ბურციო, 20, 73, 27, 36 ....)

მოგვიანებით და ახლა ერგატიულ ზმნებად ისეთი ზმნები მიიჩნევა, რომელთა ზედაპირული სუბიექტი წარმოადგენს სიდრმისეულ პირდაპირ ობიექტს.

ეველა შემდგომი მოგვიანებითი კონცეფცია ერგატიული ზმნების შესახებ დაკარლმუტერისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა: პოლი (1965), ფილმორი (1968), ბაუერსი (1973, 1981), ნაპოლი (1973), ფიენბო (1974, 1980), ჰერშენონი (1979, 1982), კუფო (1981), დენ ბასტენი (1981, 1982), სტოული (1978), ბორერი (1980).

ერგატიული ზმნებია:

arriver, couler, prouver, venir, retourner, aller, descendre, monter, sortir, accourir, courir, réussir, intervenir, accumuler, réunir, élargir, mouvoir, développer, diviser, remplir, liquéfier, salir, renverser, tordre, améliorer, empirer, augmenter, diminuer, engraisser, refroidir, consumer, effondrer, congeler, revendir, noircir, épaisseur, se rompre, se repentir, grimper, se ressentir, s'affranchir, se hâter, se fatiguer, se reposer, se suicider, s'arranger, se congratuler, se gêner, s'intéresser, se rappeler, se perdre, s'offenser

საინტერესო მოსაზრებად შეიძლება ჩაითვალოს არააკუზატიური ზმნები, როგორც ლოკატივების მატარებლები.

1978 წ. დაკარლმუტერმა წამოაყენა “არააკუზატიური” პიპოთეზა (IH), რომელიც გარდაუვალი ზმნების ორ სხვადასხვა კლასს მოიცავდა. ერთს ეწოდება არაერგატიული (გარდაუვალი) და მეორეს არააკუზატიური, გარდამავალი (ერგატიული-ბურციოს ტერმინოლოგიით).

არაერგატიული მოდალური ზმნაა, რომელიც იერთებს D-სტრუქტურის სუბიექტს, ხოლო არააკუზატიური – მოდალური ზმნაა, რომელიც იერთებს D-სტრუქტურის ობიექტს.



თუ ზმნის პროექცია იძლევა მეორე სტრუქტურას, ზმნა დეფინიციით  
არააკუზატივია (ყველა პასიური ზმნა - არააკუზატივია და ასევეა ყველა  
გარდაუვალი ზმნა, რომელიც მონაწილეობს AVBVBV მონაცელეობაში –  
(ბურციო), ეს ის ზმნებია, რომელთაც აქვთ გარდაუვალი და გარდამავალი  
ხმარება, გარდამავალის ობიექტი მოქმედებს, როგორც გარდაუვალის  
სუბიექტი). არსებობს არააკუზატიურ ზმნათა დიდი კლასი, რომელთაც არა აქვთ  
გარდამავალი საპირისპირო მეწყვილე.

ზმნა “arriver“ –ითვლება არააკუზატიური ზმნების პროტოტიპად, თუმცა  
“arriver“, ისევე როგორც მისი მსგავსი ზმნები, რომლებიც ქმნიან ცალკე კლასს,  
იქცევა სხვა არააკუზატივისგან განსხვავებით, მათ აქვთ განსხვავებული  
ლექსიკურ-სემანტიკური და შესაბამისად განსხვავებული სინტაქსური  
მახასიათებლები სხვა არააკუზატივისგან განსხვავებით.

ზმნის ზოგიერთი ლექსიკურ-სემანტიკური კომპონენტი შეიძლება  
სინტაქსურად რელევანტური აღმოჩნდეს.

არააკუზატიურობა სემანტიკურად განსაზღვრული და სინტაქსურად  
კლასიფიცირებულია; მაგრამ ისინი არ ჰქმნიან სემანტიკურად ერთგვაროვან  
კლასს. მაგ. არააკუზატივებში მოიპოვება ზმნები, რომლებიც თანდაყოლილად  
აღნიშნავენ მიმართულ მოძრაობას. ასეთებია:

arriver, venir, partir, descendre, entrer, échaper, exister, tomber, aller, retourner, monter.

არსებობს აგრეთვე არსებობის და გარეგანი იერის (მოჩვენებითობის)  
არააკუზატიური ზმნები.

exister, persister, prevaloir, rester, demeurer, survivre, apparaître, dresser, développer,  
émaner, émerger.

არააკუზატივები, რომლებიც არ შედის არცერთ კლასში:

mourir, naître, plaire, en avoir assez. პირველი ჯგუფიც არ ქმნის სემანტიკურად  
ერთგვაროვან კლასს. მათ შორის მოიპოვება ისეთებიც, რომლებისთვისაც მათ  
სემანტიკიდან გამოდინარე ლოკაციური-მიზანი აუცილებლად მისაღწევია.

მაგ: arriver, venir, retourner.

მაგრამ არსებობს ისეთი ზმნებიც, რომლებიც გულისხმობენ მისაღწევ  
ლოკაციური – მიზნის არესებობას, მაგრამ მათი მნიშვნელობა არ იწვევს  
ასეთი მიზნის მიღწევას.

მაგ: aller, quitter (partir)

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორივე ჯგუფის ზმნები იხმარება PP (წინდებულიან ფრაზასთან). მათ სემანტიკურ თავისებურებებს მისაღწევი მიზნის სიცხადის ხარისხის თვალსაზრისით, მოწმობს ის წინააღმდეგობაც, რომელშიც arrive -ს ჯგუფის ზმნა აღმოჩნდება.

Marie est arrivée à la station, mais elle n'y est jamais venue.

Marie est partie pour la gare, mais elle n'y est jamais venue (arrivée).

arriver -ს ჯგუფის ზმნებს შესაბამისად “არააკუზატიური ლოკატივები” ეწოდება (LUs), ხოლო aller-ს ჯგუფის ზმნებს “არალოკატიური არააკუზატივები” (არა LLUs)

ვენდელერი (1957) ასეთ ზმნებს დასრულებულს უწოდებს (პროცესი, რომელიც დროში გრძელდება, მაგრამ რომელიც მიემართება ბოლო წერტილისაკენ). ასეთ ზმნებს მეორენაირად ეწოდება შემოსაზღვრული (attellique) ზმნები (ორმაგი მოვლენის მქონე ზმნები, რომლებიც ბმულია დროით). ამრიგად LUs არის დასრულებული, შემოსაზღვრული მოვლენები.

ისინი აუცილებლად შეიცავენ მისაღწევ მიზანს, რასაც ხშირად განსაზღვრავს ზმნის არგუმენტი, რომელიც გამოხატავს მოქმედების დასრულების მიზანს.

ამრიგად, ზმნის ასპექტი ხშირად განისაზღვრება არგუმენტთა პროექციით. ზოგჯერ ასეთი არგუმენტი ლიად არ არის გამოხატული, თუმცა მრავალ ენაში ასეთი არგუმენტის გამოხატვა აუცილებელია. ასეთ ენებში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ასეთი ზმნები (LUs) არა მოდალური, ერთარგუმენტიანი კი არა, არამედ ორარგუმენტიანი ზმნებია: ერთი არგუმენტი – სუბიექტი, მეორე – ლოკატივი – მიზანი; ორივე არგუმენტი შინაგან არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს (ლარსონის ორმაგი დამატების პრინციპის თანახმად).

ფრანგულ ენაში ასეთ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ზმნიზედური ნაცვალსახელი y- (მიცემითი à და sur, dans - PP), რომლის სემანტიკა დასახელებულ Lus-ზმნებთან ასახავს საბოლოო მიღწეულ მიზანს და il y - ჩართვა + შესაბამისი დრო და დამხმარე ზმნა ან ნამყოს მიმღეობა.

ამრიგად, სამივე ჯგუფი ზემოდასახელებული ზმნებისა თანდაყოლილი მოძრაობის, არსებობის და მოჩენებითობის იზიარებენ ერთ საერთო მნიშვნელობას “ლოკატივს” და ქმნიან ერთგვაროვან ჯგუფს ერთნაირი სინტაქსური მახასიათებლებით.

არსებობის ზმნები და მოჩვენებითობის ზმნები იღებენ ორ შინაგან არგუმენტს, რომელთაგან ერთი არის არსება, რომელიც არსებობს, მეორე – ლოკატივი, რომელშიც იგი არსებობს. მათთან იხმარება *il y* და *y* როგორც “ლოკაციის” მნიშვნელობის კომპონენტი. *il y* – ის იხმარება ყველა არააკუთხატივთან არ შეიძლება (მაგ: გაქრობის ზმნებობა)

ამრიგად, *il y* და *y* - ს ხმარება ავსებს LUs-ზმნების ანალიზს და მათი ლოკატიური სემანტიკა სხვადასხვა ენაში განსხვავებულად აისახება.

მართალია ფსიქოლოგიური განწყობის ზმნები ძირითადად გარდამავალ ზმნათა ტიპს ეკუთვნის, მაგრამ იგი ხშირად გამოიყოფა, როგორც ცალკე მდგრმი ტიპი.

## 2.2 არგუმენტული სტრუქტურა და თეტა – როლები

თანამედროვე სინტაქსური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ურთიერთმიმართება ლექსიკურ ინფორმაციასა და სინტაქსურ სტრუქტურებს შორის; ასეთი ურთიერთმიმართების არსებობა აისახება არგუმენტული სტრუქტურის აგების პრინციპებში თემატურ იერარქიასა და ბრუნვის მიწერის შესაძლებლობაში. უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებში (გრიმშოუ, 1991, ჰალე-კეიზერი, 1993) გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლექსიკური ერთეულის არგუმენტული სტრუქტურა შეიძლება განისაზღვროს (წინასწარ) ამ ერთეულის მნიშვნელობით, რაც განაპირობებს მოცემული ერთეულის სიღრმის სტრუქტურის განსაზღვრას. (ჰერშენზონი 1995: 2)

ყოველი ლექსიკური ერთეული შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- 1) ფონოლოგიურ ფორმას (რეპრეზენტაციას), 2) სემანტიკურ ინფორმაციას, 3) სინტაქსურ ინფორმაციას, 4) მორფოლოგიურ ინფორმაციას.

X (X შტრიხის) თეორია განსაზღვრავს მიმართებებს ლექსიკურ კატეგორიებს და სინტაქსურ სტრუქტურებს შორის, (X) წარმოადგენს მთავარ სინტაქსურ კატეგორიებს, რომლებიც შედგება ლექსიკური თავების (N, A, V, P) [მთავარი სიტყვები] და ფუნქციური მთავარი თავებისაგან, დრო [T], დამატება (C), შეთანხმება (Agr); მთავარი სიტყვის პროექცია განიფინება მარცხნივ

სპეციფიკატორებით, მარჯვნივ – დამატებებით. ენის სპეციფიკის მიხედვით გავრცობა ხდება ან მარცხნივ, ან მარჯვნივ.

თავი განისაზღვრება (სპეციფიკატორი, Spec) ან განივრცობა დამატებით შემდეგი სქემის მიხედვით:

X'' პროექცია

X'' → Spec X'

X' → X Comp<sub>X</sub>

X<sup>o</sup> - ნულოვანი დონე, ანუ თავი;

X' – საშუალი ანუ დამატების დონე

X'' (xp) - ფრაზის დონე, ანუ X – ის მაქსიმალური პროექცია

ამრიგად X განისაზღვრება მიმართებათა ორი ტიპით: სპეციფიკატორი – თავი – დამატება

Spec - X<sup>o</sup> - Comp

ეს მიმართებები განივრცობა (პროეცირდება), როგორც მაქსიმალური ფრაზები, ხოლო თავი (X<sup>o</sup>) –წარმოადგენს ლექსიკურ ერთეულს, მასასიათებელ თვისებათა კონას. (კერძენზონი 1995: 11 )

X თეორია განსაზღვრავს და ადგენს კონკრეტული ენის სინტაქსურ კონფიგურაციებს, რომლებიც ლოგიკური ანალიზის შედეგად შეიძლება შეივსოს ცარიელი კატეგორიებით და მათი კვალით, რომელიც გამოხატავს გადაადგილებული ელემენტების მიმართულებას მათი ამოსავალი სინტაქსური პირველ წყაროსაკენ. კვალი ქმნის და თავს იჩენს ჯაჭვის ორ ტიპში: A (არგუმენტ) –ჯაჭვში და A' -შტრიხის (არაარგუმენტ) ჯაჭვში. I ჯაჭვში თავი იმყოფება არგუმენტის პოზიციაში და ასახავს მის ნაკვალევს პირველსაწყისი პოზიციისკენ, სადაც იგი დებულობს თეტა – როლს (მაგრამ არა ბრუნვას), II (მეორე) შტრიხ – ჯაჭვი შეიცავს თავს არაარგუმენტულ პოზიციაში და მის ნაკვალევს პირველსაწყისი პოზიციისაკენ (ასეთებია Qu-ნაცვალსახელები- მიმართებითი და კითხვითი ნაცვალსახელი – დამატებები.)

მართვის თეორია აქ განსაზღვრავს ლოკალურ მიმართებებს (თავი ა მართავს თავის დამატებებს) რომელიც გამოიხატება C -მართვის (კონსტიტუნტთა მართვის) პრინციპით.

სინტაქსური დერივაცია ამის შემდეგ იზღუდება თეტა – კრიტერიუმით და ბრუნვის თეორიით.

თეტა-კრიტერიუმი      აღიარებს      ურთიერთცალსახა      მიმართებას  
სტრუქტურულ როლებსა და სიღრმის სინტაქსურ მიმართებებს შორის. ე.ი.  
ერთადერთ მიმართებას არგუმენტებსა და თეტა –როლებს შორის.

“ყოველი არგუმენტი ა ჩნდება ისეთ ჯაჭვში, რომელიც შეიცავს ერთადერთ  
ხილულ თეტა – პოზიციას P, ყოველი თეტა –პოზიცია P ჩანს ჯაჭვში,  
რომელიც შეიცავს ერთადერთ არგუმენტ ა-ს (ჩომსკი 1987: 31 პერშენზონი 1995:  
23 )

აქედან გამომდინარე, ყოველ არგუმენტს გააჩნია ერთი სემანტიკური  
როლი და ყოველ თეტა – როლს (რომელსაც აღნიშნავს ერთი ლექსიკური  
ერთული), შეიძლება მიეწეროს ერთი არგუმენტი.

თეტა – მიეწერის პიპოთეზის ერთგვაროვნება გულისხმობს (ბეიკერი,  
პერშენზონი 1995; 23)

იდენტური თემატური მიმართებანი ერთულებს შორის გამოიხატება  
მსგავსი სტრუქტურული მიმართებებით ამ ერთულებს შორის D- სტრუქტურის  
დონეზე.

გენერაციულ თეორიაში თემატური მიმართებანი თეტა-თეორიის  
სახელითაა ცნობილი და ისინი განიხილება როგორც ბაზისური სემანტიკური  
როლები, რომელსაც სინტაქსური კატეგორიის თავი მიაწერს მის დამატებებს.  
მაგ. V თავის PN არგუმენტებს.

თეტა- როლების სინტაქსურად გამოხატვის საკითხებზე გრუბერი და  
ჯეპენდოფი (1965) მუშაობდნენ. ზმნის არგუმენტული სტრუქტურა შედგება  
გარე (სუბიექტი) და შინაგანი (პირდაპირი, ირიბი, უბრალო, ფრაზული)  
არგუმენტებისაგან.

აგენსური ზმნებისათვის გარე არგუმენტი – სუბიექტია, იგი  
ინდექსირებულია მაქსიმალური პროექციით. შიგა არგუმენტები მოუწესრიგებელი  
სია, ისინი სინტაქსურად ყოველთვის რეალიზდებიან (იგულისხმება პვალი და  
ცარიელი კატეგორიაც); გარე არგუმენტი შეიძლება რეალიზაციის გარეშე  
დარჩეს, არგუმენტთა იერარქია აიგება თემატური იერარქიის შესაბამისად  
უნივერსალური პრინციპების თანახმად;

აგენსი > პაციენსი > მიზანი > წყარო > ადგილი > თემა  
agent > patient > but > source > lieu>thème

NP არგუმენტი აუცილებელი, ერთადერთი და სტრუქტურულად ლოკალურია –ასეთია მისი მიმართება V-თან. ეს მიმართება განისაზღვრება პროექციის პრინციპით, ბრუნვის ფილტრით და თეტა –კრიტერიუმით.

მოცემული ნუსხიდან, აგენსი თავისი მნიშვნელობით გამოხატავს წარმოდგენილი მოქმედების მიმართ სურვილს ან ნებას, ექსპერიენცერი თავის იყრის მოქმედების მიმართ ფსიქოლოგიური მზადყოფნა, მიზანში მიიღება, ანუ ლოკალიზდება. მოქმედება, თემა გადმოსცემს NP-ში მოთავსებული მოქმედების განცდას PN-ის მიერ. კჯეპენდოფის მიხედვით თემა, აგენსი და ა.შ. არ წარმოადგენს სემანტიკურ პრიმიტივებს, არამედ ისინი კონცეპტუალურ სტრუქტურებზე განსაზღვრული მიმართებებია.

თემატურ მიმართებათა სისტემის მიმართ დღესაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ენათმეცნიერებაში. აღიარებულია მათი როლი სინტაქსური სტრუქტურების კონცეპტუალურ სისტემების ურთიერთმიმართებაში, მაგრამ საკმაოდ სკეპტიკურია დამოკიდებულება მათი რაოდენობისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

სახელად ფრაზას, როგორც არგუმენტს უნდა ჰქონდეს თეტა – როლი და ბრუნვა, რომლებიც განისაზღვრება ზმნის სელექციური მოთხოვნებით და მოწმდება FL-ის ინტერპრეტაციით. სინტაქსური დერივაციის პროცესში და ინტერპრეტაციის არეში აუცილებელი არგუმენტების გარდა შესაძლებელია მოხვდეს მთავარი სიტყვების დამატებითი პროექციით მიღებული წინადაღებები და ფრაზები, რომლებიც განსხვავდებიან სინტაქსურად სელექციური არგუმენტებისაგან. განსაკუთრებით ბევრი პრობლემა უკავშირდება (P) წინდებულით მართულ კონსტრუქციებს.

### 2.3. ბრუნვა და არგუმენტთა განაწილების პრინციპი.

**ბრალდებითი, ნაწილობითი, მიცემითი, მოჩვენებითი მიცემითი.**

ბრუნვის მიწერის შესახებ რამდენიმე განსხვავებული აზრი არსებობს. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გავრცელებულია ბურციოს განზოგადება ბრუნვის მიწერის და ენათა ფლექსიური დახასიათების შესახებ, რომელიც თავის მხრივ მრავალ საკითხს მოიცავს. იქამდე ნ. ჩომსკი განასხვავებს ბრუნვის მიწერის ორ სახეობას: “ჩვენ განვასხვავებთ S-სტრუქტურაში მიწერილ ორ სტრუქტურულ ბრუნვას, სახელობითს და ობიექტურს, თანდაყოლილი

ბრუნვისაგან, რომელიც D-სტრუქტურაში მიეწერება. თანდაყოლილი ბრუნვა თეტა – აღნიშვნას უკავშირდება, ხოლო სტრუქტურული ბრუნვა მას არ უკავშირდება. სტრუქტურულის ნაცვლად იხმარება ხოლმე “კონფიგურაციული”, ხოლო თანდაყოლილის ნაცვლად – “ლექსიკური”, განასხვავებენ აგრეთვე “სტრუქტურულ” სახელობითს, “თანდაყოლილს” ნათესაობითს და “სემანტიკურ”, თეტა – როლების შესაბამის ბრუნვებს“. (პერშენზონი 1995: 23).

ბურციოს განზოგადოებების ჩამოყალიბებამდე და საერთოდ ფლექსიურობის ცნების ახლებურად გააზრებამდე სახელობითი ბრუნვის მიწერა ფლექსიიდან მომდინარეობდა, ხოლო ზმნა ობიექტურ ბრუნვას მიაწერდა. გარდა ამისა აღინიშნება ორი ბრუნვის არასაკმარისობა ფლექსიით მდიდარ ენებში.

მართვის ძირითადი წარმმართველი პოტენციალი ფრანგულ ენაში ეფუძნება დამატების სტრუქტურის ანალიზს, რომელიც წარმოდგენილია ორი შინაგანი სტრუქტურული ბრუნვით, ობიექტურით და მიცემითით, და რომლებიც უჭირავს ორ შინაგან არგუმენტს.

ბრუნვის სისტემაში ძირითადი საკითხებია ბრუნვათა რაოდენობის, ნაწილობრივი ბრუნვის, თემატური სუბიექტის და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული კლასიფიკაცია ზმნებისა არა მიცემით, არააკუზატიურ ერგატიულ, ფსიქოლოგიურ და უკუქცევით ზმნებად, სადაც გადამწყვეტ კრიტერიუმად უკუქცევითი ნაცვალსახელი წარმოსდგება. ბრუნვათა განაწილებისა და მიწერის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუბიექტისა და ობიექტების თეტა – როლებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, ვინაიდან მათი მონაწილეობა ზმნით (პრედიკატით) გამოხატულ მოქმედებაში და მოქმედების მიმართულება განსაზღვრავს გვარის მნიშვნელობას. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს სუბიექტის თემატური დატვირთულობა და ობიექტების მოძრაობა სუბიექტის თემატური როლის და არგუმენტული პოზიციის მიმართ, რაც ნაწილობრივი ბრუნვის ხმარებით კომპენსირებულ ბრუნვის დეფიციტს ანაზღაურებს. გარე არგუმენტის არათემატურობა იწვევს პრედიკატის დგომას საშუალ გვარში, ვინაიდან მოქმედება სუბიექტზე იყრის თავს შესაბამისი მედიო – აქტიური და მედიო – პასიური მნიშვნელობით. ამ ორი უკანასკნელი ტერმინის შენარჩუნება (ქართული ტერმინოლოგიიდან) მაქსიმალურად ადექვატურად ასახავს საშუალი გვარის ორგვარ განტოტვას.

ფრანგული ენის სინტაქსის ტრანსფორმაციული თეორიის საფუძველზე მკვლევარ ო.კეინის მიაჩნია, რომ სინტაქსური კონფიგურაციები ბინარული (ორწევრა) განტოტვით უნდა იქნეს წარმოდგენილი, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გამოხატულება ასახავს “ერთმნიშვნელოვან გზას” ორ კვანძს შორის, რაც აუცილებელია ანაფორული მიმართებების გამოსახატავად: “ანაფორა, ბმის პრინციპის ქვეშ მყოფი თავის ანტეცედენტს არაორაზროვანი გზით უნდა დაუკავშირდეს. ორმაგი განტოტვა ასევე აუცილებელია მართვის მიმართებისათვის (ჰერშენვონი 1995: 31 ).

ფრანგულ ენაში ზმნის დამატებები ძირითადად ორ ბრუნვაში დგას: ობიექტურსა და მიცემითში. ობიექტური ბრუნვა მორფოლოგიურად არ არის მარკირებული, მიცემითის ნიშანია  $\ddot{\text{a}}$  წინდებული [P→ $\ddot{\text{a}}$ ]; დამატებათა სტრუქტურის ყველა მკვლევარი მოიხსენიებს ლლარსონის ერთი დამატების ჰიპოთეზას.

ლლარსონი X-გავრცობაში დამატებებისა და სუბიექტის რიცხვს ერთით განსაზღვრავს, ვინაიდან ბუნებრივი ენებისთვის მხოლოდ ერთი მიმართება არსებობს – გარდამავლობა და მთავარ სიტყვას (თავი, tête] მხოლოდ ერთი დამატების მიერთება შეუძლია, ოთულ სტრუქტურაში PV სამსართულიანია (სამი შრისაგან შედგება): გარე არგუმენტისა და პირველი შინაგანი არგუმენტისაგან, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იმატებდეს თავის ერთადერთ დამატებას. შინაგან არგუმენტთა რიცხვი განსაზღვრულია, იგი არ შეიძლება უსასრულოდ გაიზარდოს, და უკავშირდება სათანადო ბრუნვათა რაოდენობას. ფრანგულ ენაში პოტენციური პროექცია განსაზღვრულია და პრივილეგირებული სტატუსი ბრალდებითს და მიცემითს გააჩნია.

ფრანგულ ენაში პირდაპირი ობიექტის ბრუნვა სტრუქტურულია, კონფიგურაციული დანართული განსაზღვრული. იგი გამოიხატება პირის უმახვილო ნაცვალსახელებით (კლიტიკებით), იხმარება გარდამავალ ზმნებთან, კაუზატიურ კონსტრუქციებში და გადაინაცვლებს მარტივ წინადადებებში. (სუბიექტის ან ობიექტის პოზიციაში)

აზრთა დიდი სხვადასხვაობაა ნაწილობრივი ბრუნვის “en”-ის თაობაზე. საკითხი შემდეგნაირად დგას; “en” –წარმოადგენს შინაგან ბრუნვას, თუ იგი კონფიგურაციული (სტრუქტურული) ხმარებისაა; ან ხომ არ მიაწერს მას ბრუნვას წინდებული “de”. ყველა მოსაზრებას აქვს საკმაო არგუმენტები და სარწმუნობა. ცხადია ერთი რამ, განსხვავება ბრალდებით და ნაწილობრივ

ბრუნვათა შორის უპირატესად განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის დაპირისპირებაშია, გარდა ეგზისტენციალური წინადადებებისა.

## 2.4. არააკუზატიური, არამიცემითი ზმნები

ბმისა და მართვის ოქორიის ერთ-ერთი აქ მოყვანილი ვარიანტის თანახმად ორივე ბრუნვა, ნაწილობრივი და ბრალდებითი პირდაპირი დამატების რეალიზაციას წარმოადგენს. ნაწილობრივი ბრუნვა სტრუქტურული ბრუნვაა. იგი იხმარება ძირითადად ისეთ კონსტრუქციებში, სადაც ბრალდებითი ბრუნვა ჩავარდნილია, ასეთგანია: პასიური ფორმა, საშუალი გვარი და არააკუზატივები. ნაწილობრივი ბრუნვა არ უკავშირდება თეტა – როლის მიწერას. მაგალითად:

Marie a vendu ces jupes  
Ces jupes ont été vendues  
Il a été vendu beaucoup de jupes.  
Il en a été vendu beaucoup

მაგალითად, არააკუზატიური ზმნა “arriver” –ს გააჩნია შინაგანი არგუმენტი. ნაწილობრივი ბრუნვითი შინაგანი არგუმენტი მოძრაობს სახელობითი ბრუნვის პოზიციის (არათემატური) დასაკავებლად.

Il est arrivé plusieurs Anglais  
Il en est arrivé plusieurs  
Plusieurs / (les) Anglais sont arrivés  
(ჰერშენზონი 1995: 44 )

ნაწილობითი ობიექტური ბრუნვის ვარიანტად მიიჩნევა ბრალდებითთან ერთად.

არააკუზატიურ ზმნებს არ შეუძლიათ მიაწერონ ან არ გააჩნიათ ბრალდებითი ბრუნვა. არააკუზატიურ ზმნებს არა აქვთ გარე არგუმენტი (სუბიექტი), მაგრამ მათ შეიძლება ზმნის შემდეგ ერთი არგუმენტი ჰქონდეთ (პოზიციური ობიექტი) და დამატებით მიიერთონ მეორე შინაგანი არგუმენტი, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში ჩნდება მიცემით ბრუნვაში, ხოლო თემა ისწრაფვის დაიჭიროს სუბიექტის პოზიცია:

Il leur arrive des Norvégiens, des Russes et des Chinois.  
Des Norvégiens, des Russes et des Chinois leur arrivent

ნამდვილი გარდაუვალი ზმნები მიიერთებენ სემანტიკურად მონათესავე ობიექტებს (ზმნები “courir, rêver, sourire”).

Marc a couru les cent mètres

Marc a pleuré toutes les larmes de ses yeux.

Marc a toussé un peu de fumée.

არაერგატიულებს, ფარულ გარდამავალ ზმნებს უწოდებენ იმის გამო, რომ გამონაკლის შემთხვევაში ბრალდებითი ბრუნვა მიაწერონ.

Après l'explosion, il leur pleuvait des briques dessus.

ან მიიერთონ ორი შინაგანი არგუმენტი;

Luc lui a vomi tout son repas dessus.

ამრიგად არააკუზზატივები არ მიაწერენ ბრალდებით ბრუნვას, არაერგატიულები ბრალდებითებს (შეუძლიათ მიაწერონ) ერთი ფუძიდან ნაწარმოები ობიექტებით მიაწერენ (ჰერშენვინი 1995: 73-82).

მიცემითი ბრუნვა ფრანგულ ენაში სტრუქტურულადაა განსაზღვრული ა წინდებულით, ნაცვალსახელით ან ინფინიტივით; ეს წინდებული მეორდება ყველა PN-ის (ან მისი სტატუსის იდენტური) წინ, მასთან იხმარება ნაცვალსახელი tous და კაუზატიურ კონსტრუქციებში იხმარება გარდამავალ ზმნებთან; იგი იხმარება პირდაპირი ობიექტის გარემოშიც.

კაუზატივში მისი მონაცვლეობა ბრალდებითებთან ემორჩილება კონტროლის (სუბიექტის განაწილების) პრინციპებს და არა faire-ისა და მნიშვნელობის მქონე ზმნის სელექციურ მონაცემებს. à PN არ დებულობს თეტა – როლს უშუალოდ ზმნისაგან.

მიცემითი ბრუნვის მეორე ტიპს წარმოადგენს არალექსიკური, მოჩვენებითი მიცემითი. იგი არ ქვეპატეგორიზდება ზმნის მიერ და გამოხატავს მოლაპარაკე სუბიექტის მოჩვენებითობას ან ინტერესს. მოჩვენებითი მიცემითების თემატური განსაზღვრა ისეთ თავისუფალ კატეგორიებს შეიცავს, როგორიცაა ბენეფაქტივი, მალეფაქტივი განუსხვისებადი საკუთრება, ეთიკური მიცემითები. არც სინტაქსური და არც მორფოლოგიური მახასიათებლის მიხედვით ამ კატეგორიათა შორის განსხვავება მკაცრი არაა (მაგ. ბენეფაქტივსა და მალეფაქტივს შორის პერსპექტივაზეა დამოკიდებული). ლექსიკური მიცემითები ქვეპატეგორიზდება ზმნის მიერ, მოჩვენებითი მიცემითები ასეთ ქვეპატეგორიზაციას არ ექვემდებარება, არ წარმოადგენს ლექსიკურ არგუმენტს) მათი ხმარება შეზღუდულია ლექსიკურად, სემანტიკურად და მეტყველების

აქტით. ეს ორი მიცემითი მორფოლოგიურად იდენტური, ხოლო სემანტიკურად მრავალმხრივ განსხვავებულია. მოჩვენებითი მიცემითების სემანტიკური შეზღუდვები ემყარება

PN [± სულიერი] [± მოჩვენებით]

Paul lui a fait une bronchite

მოჩვენებითი მიცემითების ხმარება დამოკიდებულია დისკურსის რეგისტრზე; ისინი იხმარება რამდენიმე სტატიკურ ზმნასთან ერთად [voir, croire].

Je lui ai vu une jupe bizarre.

Je lui croyais une maîtresse, dans chaque port

მოჩვენებითი მიცემითი იხმარება:

V<sub>tomber</sub> [-accusatif] + [mod. Adverbial]

sortir

Le plafond lui est tombé dessus

(ჰერმენული 1995: 74-76)

მოჩვენებითი მიცემითები იხმარება PPN→P<sub>sur</sub>, dans, dessus, dedans - იმ შემთხვევაში, თუ ზმნა არაერგატიულია და აღნიშნავს განზრახულ მოქმედებას. [ასეთებია gribouiller, pisser ....].

Les gosses lui ont gribouillé sur tous les murs

Le chiot lui a pissé dans ses laitues

ფსიქოზმნები განსაკუთრებით არ ეთავსება მოჩვენებით მიცემითს (საეჭვოა “humilier, intéresser, dégoûter” – სთან)

Les marionnettes lui ont amusé les enfants.

On leur déteste cette attitude pompeuse.

მოჩვენებითი მიცემითები, როგორც უკვე აღინიშნა, არ ქვეყანატეგორიზდება ზმნის მიერ, ან იჯერს განკერძოებულ პოზიციას Qu-მოძრაობით, ისინი არ გამოიყენება პირის მახვილიანი ნაცვალსახელით ხაზგასმულ (ემფატიკურ) პოზიციაში.

მოჩვენებითი მიცემითები არ წარმოადგენს სრულფასოვან არგუმენტს. ისინი მიიჩნევა მარგინალურ სემანტიკურ ვარიანტად, რასაც ამტკიცებს ამინდებულის გარდა სხვა წინდებულების გამოყენებაც. განკერძოების მიმართ ისინი უძრავია, ემფატიკურ კონტექსტებში – არაგრამატიკული.

C'est à elle, qu'il a tué son chat

Il n'a tué le chat qu'à elle

მოჩვენებითი მიცემითები შეიძლება თეტა – მატარებელ აფიქსად ჩაითვალოს, იშვიათად ისინი ჩვეულებრივ მიცემითთან ერთად იხმარებიან, I და II პირში; (უმახვილო ნაცვალსახელებთან).

ზმნათა კლასიფიკაციას არააკუზატიურ, არამიცემით, ერგატიულ, ფსიქო და გარდაუგალ ზმნებთან განუყოფლად უკავშირდება არათემატური (გარე) არგუმენტის საკითხი. ეს საკითხი ორგვარად შეიძლება იქნას გაგებული: 1) ან სუბიექტის პოზიცია დაკავებულია ცარიელი (უპირო) ნაცვალსახელის მიერ (il, ce ....] ან 2) სუბიექტის პოზიცია შევსებულია, მაგრამ იგი, სუბიექტი არ ასრულებს იმ თემატურ როლს, რომელიც მას ამ პოზიციაში მიეწერება. ე.ი. სუბიექტი არათემატურია (მაგ. პასივის ქვემდებარება, რომელიც პასივში აკუზატივშია, ხოლო აქტიურ ფორმაში ნომინატივში, მაგრამ არ არის აგენსი). არათემატური სუბიექტის არსებობა თავის მხრივ იწვევს ბრუნვათა დეფიციტს, ნაკლოვანებას. ამ შემთხვევაში ჩნდება ახალი პროცესი, თემატური როლის სუბიექტის, ან სხვა ბრუნვის პოზიციის მოძრაობა თეტა – როლის შესავსებად, ან სხვა არგუმენტთა მიერ “გადასარჩენად”. ძირითადად საქმე ეხება სახელობით და ბრალდებით ბრუნვას, სადაც უკვე იყო ლაპარაკი ნაწილობითი ბრუნვის (en) მიერ ბრალდებითის დეფიციტის გადასარჩენად. არათემატური გარე არგუმენტის მქონე ზმნებია არააკუზატიური, არამიცემითი, ფსიქოზმნები და ერგატიული ზმნები.

არააკუზატიური ზმნები არ მიაწერს ბრალდებით ბრუნვას, ირჩევს შიდა პირდაპირ არგუმენტს, მას ახასიათებს გარე არგუმენტის არათემატურობა. არააკუზატივების მოცემული ჯგუფი გამოხატავს გამოჩენას, არსებობას, გადასვლას, ესენია: (იუდლებიან ან “avoir”-ით ან “être”-ით, არააკუზატივებში არ იხმარება საურთიერთო ანაფორები). naître, mourir, venir (მისი ქვეჯგუფი), tomber, descendre, aller, sortir, arriver, entrer, rester, passer, apparaître, manquer, échapper, pleuvoir, flotter, neiger.

არამიცემითი ზმნები არ მიაწერენ მიცემით ბრუნვას და აქვთ არათემატური გარე არგუმენტი, მაგრამ შეუძლიათ მიაწერონ ბრალდებითი ბრუნვა.

ფსიქოზმნებიც თავისთავად იყოფა არამიცემით და არააკუზატიურ ზმნებად. მათაც აქვთ არათემატური გარე არგუმენტი და შეიძლება პქონდეთ ორი შინაგანი ბრუნვა.

ფსიქოზმნების შიდა არგუმენტების მოძრაობა გარე არათემატური არგუმენტის პოზიციისკენ განპირობებულია მიცემითი ან ბრალდებითი ბრუნვის რელევანტურობით (ჰერშენონი 1995: 100).

ლ.ბურციოს განზოგადება აღწერს კავშირს ნაკლულ ბრუნვასა და ნაკლულ არგუმენტს შორის, შიდა არგუმენტების მოძრაობის მექანიზმს. ბრალდებითი ბრუნვის არქონა შეესაბამება გარე თემატური არგუმენტის არქონას, სახელობითი ბრუნვის პოზიცია უბრუნვო არგუმენტისათვის არის განთავისუფლებული, ორი შინაგანი ბრუნვა მიცემითი და ბრალდებითია.

ლ.ბურციოს განზოგადება შემდეგი სახისაა:

- a) - Θ → - A
- b) Θ<sub>s</sub> ↔ A

a) გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებას ბრუნვის არქონას და სუბიექტის თეტა – როლის არქონას შორის, რაც ახასიათებს არააკუზატიურ ზმნებს. b) აღნიშნავს, რომ ზმნა თავის სუბიექტს მიაწერს თეტა-როლს, ხოლო თავის ობიექტს – ბრალდებით ბრუნვას. ლ. ბურციოს განზოგადების შემდეგი გავრცობაა:

Θ<sub>s</sub> ↔ C; C - მიცემითი ან ბრალდებითი ბრუნვა.

ამ წესის თანახმად, მიცემითი ბრუნვა, ისევე როგორც ბრალდებითი შეიძლება ან გაუქმდეს, ან დეფიციტი შექმნას და გარე არგუმენტი არათემატური უნდა იყოს, რათა უბრუნვო არგუმენტმა იმოძრაოს სუბიექტის პოზიციისაკენ. ეს წესი დასაშვებს ხდის არამიცემითი ზმნების კლასის არსებობას. (ლ. ბურციო).

ლ. ბურციოს განზოგადების მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ყველა ენა როდი ემორჩილება ამ წესებს, ისინი მიუთითებენ, რომ შიდა ბრუნვა ყოველთვის არ უქმდება გარე სუბიექტის არათემატურობის შემთხვევაში და რომ გარე არგუმენტის არათემატურობის მიუხედავად ბრალდებითი ბრუნვა შენარჩუნებულია. (ასეთი ენებია უკრაინული, ზოგჯერ ფრანგულიც) (ჰერშენონი 1995: 70)

ამრიგად, ლ. ბურციოს განზოგადება გულისხმობს ურთიერთმიმართებას შინაგან ბრუნვასა და გარე თეტა – როლს შორის. შინაგანი ბრუნვის არქონა აიძულებს შინაგან არგუმენტს იმოძრაოს სუბიექტის პოზიციისაკენ.

### **თავი III. არააქტიური პრედიკაციის სივრცის განხილვა გრამატიკული გვარის კატეგორიის გათვალისწინებით.**

- 3.1 თანამედროვე ენათმეცნიერების სხვადასხვა ვერსიები ვნებით გვართან დაკავშირებით
- 3.2 ზოგად – თეორიული მოსაზრებები ვნებითი გვარის გამოხატვის საშუალებათა შესახებ
- 3.3 პასიური პრედიკაციის ვერსია ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით

#### **3.1 თანამედროვე ენათმეცნიერების სხვადასხვა ვერსიები ვნებით გვართან დაკავშირებით**

ვნებითი გვარის მნიშვნელობა და ფორმალური ანალიზი საინტერესოდ წარმოადგინა ქართველმა ენათმეცნიერმა აკ. შანიძემ (შანიძე 1995 ტ. I); მის მიერ ბევრი ისეთი დებულებაა წარმოდგენილი ვნებითი გვარის შესახებ, რაც იმავე პრობლემის ირგვლივ არსებულ ნაშრომებში არ გვხვდება, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება მნიშვნელობის ანალიზს. ანალიზის ამოსავალი კრიტერიუმები და ტერმინოლოგია განსხვავებული აქვთ აკ. შანიძეს და სხვა თვალსაზრისზე მდგომ ენათმეცნიერებს, მაგრამ გულდასმითი ანალიზის შედეგად შეიძლება მრავალი დებულების გაერთიანება, ან ახლებურად ჩამოყალიბება. (მაგ. კონვერსია – ტრანსფორმაცია, აქტივისა და პასივის შექცევადობა, პასივის წარმოება აქტივიდან, პასივის რედუცირებული, უაგენსო ფორმები).

ვნებითი ჯგუფების ფორმის მიხედვით გამოიყოფა პირთა ურთიერთმიმართების, სულიერი /უსულოს და სრული /უსრულის მარკერები.

განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი ნიუანსების გამოყოფა, როგორიცაა შესაძლებლობის, მიწნევის და გუნების ვნებითი. ისინი ძირითადად აწმუო და მომავალი დროის ფორმებს დაურთვის.

შესაძლებლობის ვნებითის მიერ გადმოცემული მოქმედება ან ფიზიკურადაა შესაძლებელი ან დასაშეგბი, ხებადართული, არააკრძალური. მაგალითად, იჭმება – ça se mange, ისმევა - ça se boit.

მიჩნევის ვნებითის საშუალებით გადმოიცემა ობიექტის შეხედულება სუბიექტზე, ქართულში ეს ვნებითი პრეფიქსიანია და მხოლოდ ნასახელარ ზმნებში იხმარება. მეღიდება – ça se semble grand, beaucoup, nombreux, je le trouve bon.

გუნების ვნებითი გამოხატავს მოლაპარაკე პირის განწყობილებას, მემღერება - je suis disposé à chanter, à rire.

აღწერილობითი ვნებითი შედგება მეშველი (დამხმარე) ზმნისა და საუღლებელი ზმნის ნამყო -მიმღეობისაგან, იგი მარკირებულია სრული სახით (ასპექტი):

გადაახდევინებს თანხა – On a prélevé de l'argent

აკშანიძე საშუალ გვარს განსაზღვრავს, როგორც ფორმით მოქმედებითს, ხოლო ფუნქციით ვნებითს. მაგ:

ხურს – il brûle, დუღს – il bouille, ტირის – il pleure, გორავს – il roule, ხარობს – il se réjouit, (ლადობს - il se délecte), ფასობს – il vaut და ა.შ.

ქართულ ენაში ასეთ ზმნებს მოქმედებითიც მოეპოვება და ვნებითიც.

მოქმ.		ვნებითი		საშუალი	
ახურებს	il le chauffe	ხურდება	il se chauffe	ხურს	il chauffe
აღუღებს	il le bout (il le fait bouillir)	დუღდება	il bout	დუღს	il bout
ატირებს	il le fait pleurer	ტირდება	il commence à pleurer	ტირის	il pleure
აგორებს	il le fait rouller	გორდება	il se (fait) rouler	გორავს	il roule

როგორც ვნებით გვარში, საშუალ გვარშიც სუბიექტი მოქმედებს სხვა პირზე მოქმედების გადაუტანდად; საშუალი ზმნა გარდაუვალია, მხოლოდ ერთპირიანი ან ორპირიანი ფორმები აქვთ; საშუალი გვარის ერთი ჯგუფი აქტიურ ზმნებს წარმოადგენს, მეორე კი პასივის ფორმა – წარმოებას იზიარებს.

I (პირველი) ჯგუფი მედიოაქტივია და იგი ძირითადად განისაზღვრება დანაკლისი ფორმების კომპენსირებით აქტიური ზმნების ფორმებიდან კონვერსიის გზით და სუბიექტით მოთხოვნით და მიცემით ბრუნვებში.

მაგ: ცხოვრობს კაცი – L'individu vit

იცხოვრა კაცმა - L'individu a vécu

უცხოვრია კაცს - L'individu aura [aurait] vécu

ეს ზმნები გარდაუვალია, ამ ჯგუფში შედის ე.წ. მეტეოროლოგიური ზმნები, მეორადი წარმოების ზმნები.

თოვს – il neige, ცურავს – il nage

საშუალი გვარი ხშირად ენაცვლება პასივს; გადამწყვეტ როლს სრული /უსრული ასპექტი თამაშობს და ფორმათა გარჩევა შეუძლებელი ხდება. ასეთი მოვლენა ტიპიურია როგორც ქართული, ასევე ფრანგულისათვის.

II ჯგუფი, მედიოპასივი, დანაკლისს ვნებითიდან ივსებს, სუბიექტი სახელობითშია.

მოქმ.		გნებითი		საშუალი	
აწვენს	il le couche	წვება	il se couche	წვეს	il est couché
აკვირებს	il l'étonne	კვირდება	il s'étonne	გაკვირვებულია	il est étonné

მედიოპასივი დანაკლის ფორმებს ივსებს თავისივე ფუძისაგან ნაწარმოები ვნებითი გვარის ფორმებით ასეთებია:

ა) მდგომარეობის: ზის - il est assis

დგას – il est debout

წევს – il est couché

ძევს – il est posé

ბ) გრძნობის: სძულს – il hait, სურს – il désire

ეზიზდება – il l'execre, შია – il a faim

მას მისი შურს – il l'envie, სწყურია – il a soif

გ) ქონა /ყოლა: il a – მას აქვს, il possède -ის ფლობს

დ) სხვადასხვა: დირს - il vaut, სძინავს - il dort

დვიძავს - il réveille, სჯერა - il croit

ბნელა – il fait sombre,

(მას) ცივა – il a froid, (მას) ცხელა - il a chaud

აკშანიძე განსაზღვრავს უგვარო ზმნების კლასს, ე.ი. ისეთ ზმნებს, რომელთაც საპირისპირო ფორმები სრულიად აკლია: ასეთებია უცალო მოქმედებითი, უცალო ვნებითი, უცალო საშუალი.

გვარის საკითხი განუყრელად უკავშირდება გარდამავლობისა და პირიანობის საკითხებს.

ვნებითი აგრეთვე იძენს დინამიკურ და სტატიკურ მნიშვნელობას, იმის მიხედვით, თუ რა სახით გამოიხატება მოქმედება.

დინამიკური ფორმა მოქმედებას აჩენს პროცესის სახით (ე.ი. მის მსგავსობაში). სტატიკური ფორმა მოქმედებას ერთ ვითარებაში წარმოადგენს.

მაგ: ეფინება –il le jonche და აფენია - il est jonché

იღვრება – il se répand და დაღვრილია - il est répandu

სტატიკურ ვნებითს ხშირად ენაცვლება შედგენილი შემასმენელი. ისინი ასევე განსხვავდებიან.

ვნებით გვარში განსაზღვრულ როლს თამაშობს ქცევა და თემა.

რეგულარული მოვლენაა ფორმათა დამთხვევა მედიოპასივსა და საშუალ გვარს შორის.

ქართული ზმნების ფრანგული თარგმანები მიუთითებს იმ მრავალგანზომილებიან სივრცეზე, რომელიც დღეს მოიცავს გვარის ანალიზს. ქართულ თეორიაში უხვად არის მოცემული ის ფორმალური და სემანტიკური მოსაზრებანი, რომლებიც მოგვიანებით თანამედროვე თეორიად გვარის შესახებ ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა თანამედროვე ენათმეცნიერებაში იმ სტრუქტურათა სიმრავლე, როგორიცაა არააქტიური გვარი (არააქტიური პრედიკაცია).

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი კონცეფცია ერთხელ კიდევ აღნიშნავს სემანტიკური ანალიზის იმ მასშტაბურობას, რაც ქართულ კონცეფციას ახასიათებს. შესაბამისი მონდომების პირობებში იგი შეიძლება სრულიად აღეკვატურად ჩამოყალიბდეს თანამედროვე ტერმინოლოგიით და ფორმალიზმებით.

### 3.2 ზოგად – თეორიული მოსაზრებები ვნებითი გვარის გამოხატვის საშუალებათა შესახებ

ვნებითი გვარის გამოხატვის კანონიკურ ფორმას პასიური ფორმა წარმოადგენს, რომელიც თითქმის ყველა ლინგვისტური მიმდინარეობის შესწავლის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომი

განიხილავს პასიური ფორმის შედარებით ადრეულ ტრანსფორმაციულ ანალიზს. ქ. დიუბუას კონცეფციის მიხედვით, მოგვიანებით ტრანსფორმაციულ მიღებულის კენის, პერლმუტერის, მაკ – კოლის მიხედვით და ბოლოს ბმისა და მართვის თეორიის დებულებებზე დაყრდნობით ძირითადად ბურციოს და ზოგადად ჩომსკის მიერ გამოყენებული ანალიზის მეთოდს და ზოგად თეორიულ მოსაზრებებს. ყველა ჩამოთვლილ მიღებულის ანალიზის ის მომენტია წინ წამოწეული, რომელიც გამომდინარეობს დასახელებული კონცეფციების ზოგადთეორიული პოსტულარებიდან. ყოველი მათგანი საინტერესოა, როგორც მათი თანამედროვე საენაომეცნიერო აზრის ანარეკლი.

ქ. დიუბუას ანალიზი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მკვლევარი ზომიერად უხამებს ერთმანეთს ფორმალურ და მნიშვნელობით ანალიზს. ეს მომენტი განსაკუთებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მომდევნო პერიოდის გამოკვლევებში მნიშვნელობა სახეს იცვლის და სპეციფიურ სტრუქტურებში მასთან ერთად ვლინდება.. ქ. დიუბუას ანალიზი იყენებს პასიური ფორმის ირგვლივ დაგროვილ ტრადიციულ ცოდნას და გამოხატულების თანამედროვე ფორმაში აქცევს მას.

დღევანდელი ლინგვისტური თეორიის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ქ. დიუბუას ზოგიერთი დებულება ახლებურადაა გააზრებული და ფორმულირებული. მრავალი მოვლენა, რომელიც აუხსნელი რჩებოდა, ამჟამად ახსნილია და სათანადოდ ფორმალიზებული. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

ტრანსფორმაციული მიღებულის დიუბუასეულ ვარიანტში გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელად ჯგუფთა პოზიცია და გადაადგილება, სახელად ჯგუფთა მახასიათებელი [± animé], [± singulier].

ზმის ჯგუფი ხასიათდება [±accompli] ; პროპოზიცია - [± achevé] ; როლები სახელად ჯგუფებში შემდეგნაირად ნაწილდება [± actant], [± patient], [± actant] – [PPN<sub>1</sub>]

პასიური ტრანსფორმაცია პოზიციებს შეუბრუნებს სახელად ჯგუფებს, მაგრამ არ ცვლის აქტიური ფორმის მნიშვნელობას. პასიური ტრანსფორმაცია გამოიყენება [± V<sub>transitif</sub>]

[± V<sub>propominal</sub>], [+ V<sub>intr</sub>]:

პასივის წარმოების კანონიკური ფორმა

[PN<sub>1</sub>+ V+ PN<sub>2</sub>]

[PN<sub>2</sub> + V<sub>aux.être</sub> + p.p. + PPN<sub>1</sub>]

$PPN_1 \rightarrow P \text{ de, par } PN_1$

აქტიური წინადადება ფლობს პასიურ წინადადებად გადაქცევის სამ შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა დამოკიდებულია ზმნის მნიშვნელობაზე. მოცემულ შესაძლებლობას ზმნები ასე ანაწილებენ:

- I. ზმნები, რომლებიც პასიურ ფორმას *être*-ით აწარმოებენ.
- II. ზმნები, რომლებიც პასიურ მნიშვნელობას ნაცვალსახელოვანი ფორმით გამოხატავენ
- III. ზმნები, რომლებიც მხოლოდ გარდაუვალ პასიურ ტრანსფორმაციას აწარმოებენ.
- IV. გარდაუვალი ზმნები, რომლებიც პასივს “faire”-ით აწარმოებენ.
- V. ზმნები, რომლებიც ერთდროულად ორ პასიურ ტრანსფორმაციას აწარმოებენ.
- VI. ზმნები, რომლებიც ორზე მეტ ტრანსფორმაციას უშვებენ (I, II, III) ორი უკანასკნელი შესაძლებლობა ფარდობითია, მათი დაშვების მეტ – ნაკლები ალბათობით. საკითხი ეხება აგრეთვე ფრანგული ენის არჩევანს, თუ რომელ კონსტრუქციას ანიჭებს იგი უპირატესობას, აქტიურს თუ პასიურს თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ პასიური პოზიცია უფრო გრძელია და მის საწარმოებლად მეტი ენერგია იხარჯება. არსებობს თუ არა პასივის წარმოების ხმარების და შეზღუდვის წესები.

სალიტერატურო ენაში ზოგჯერ მოლაპარაკე სუბიექტის სტილისტური მიღრეკილებანი და მიზანდასახულობა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

პასიური ფორმის ხმარების სიხშირეს ძირითადად ორი ტენდენცია განსაზღვრავს:

- 1) მინიმალური დაშორების კანონი სუბიექტსა და ზმნას შორის, რომელიც პოლისემიურობის (მრავალმნიშვნელიანობის) თავიდან აშორების საშუალებაა.
- 2) კომუნიკაციის პროცესში უპირატეს როლს სულიერი ქვემდებარე ასრულებს, განსაკუთრებით პირველი და მეორე პირი. ამიტომ ბუნებრივია პასიური ფორმის ხმარება, რომლის საშუალებითაც სუბიექტი კომუნიკაციის სხვა პირებს უპირისპირდება.

C'est par moi et non pas par lui que cette idée a été formulée. (დიუბუა 1969:103)

პასივის ყველაზე გავრცელებულ ფორმას ~*être*~ –ით ნაწარმოები წარმოადგენს, თუმცა მას კონკურენციას ძირითადად უკუქცევითი ფორმა უწევს.

ძირითად ოპოზიციას პასიურ ფორმათა სიმრავლეში ქმნის დასრულებული (PPN<sub>1</sub>) და დაუსრულებელი (PN<sub>1</sub>) სტრუქტურები. სალაპარაკო ენა უპირატესობას მეორე ფორმას ანიჭებს. “პასიური ფორმა წარმოადგენს დაუსრულებლობის ნიშანს (მარკერს) (დიუბუა 1987: 87)

La lumière est éteinte

L'incendie a été éteint par les pompiers.

ამავე ნიშნით ერთმანეთს პასივის სხვა ვარიანტებიც უპირისპირდება:

სიმეტრიული ზმნები (რომელთაც აქვთ როგორც აქტიური, ასევე პასიური ფორმა)

La lumière a jauni le papier (დამთავრებული)

Le papier a jauni (დაუმთავრებელი)

უკუქცევითი ფორმა

Ce médicament accélère les mouvements du cœur (დაუმთავრებელი)

Les mouvements du cœur s'accélèrent (დამთავრებული)

გარდაუვალი ზმნები დაუსრულებელ ფრაზაში უპირისპირდება დასრულებულ ფრაზას.

Son chapeau est tombé

Le vent a fait tomber son chapeau

როდესაც აქტიური წინადადების სუბიექტი on / se განუსაზღვრელია, იგი პასიურ წინადადებაში გამოტოვებულია.

Ça le vexe; il est vexé.

On a retrouvé son portefeuille;

Son portefeuille est retrouvé (par “on”)

დამთავრებული პასიური ფორმის წარმოებისას უკუქცევით და სიმეტრიულ ზმნებში წინადებულებს “par”, “de” შეიძლება ჩაენაცვლოს “sous, avec, sous l'effet de, grâce à ...”]

Le gel a désagrégré le rocher

Avec le gel le rocher s'est désagrégé

La chaleur a assoupi les convives

Les convives se sont assoupis sous l'effet de la chaleur. (დიუბუა 1969:89)

ამრიგად, პასივს გააჩნია ორი კანონიკური ფორმა დასრულებული /არადასრულებული; ეს ოპოზიცია ნეიტრალდება, როდესაც პროპოზიციაში მოიპოვება რომელიმე რეფერენტი (კუთვნილებითი ან ჩვენებითი დეტერმინატივი,

განსაზღვრული არტიკლი და სხვა...) ასეთ შემთხვევაში პასიურაცია მიმდინარეობს ძირითადი ოპოზიციის მხედველობაში მიღების გარეშე. რეფერენტი შეადგენს სახელადი ჯგუფის კომპონენტს და უშუალოდ არის დამოკიდებული უახლოეს სახელად ჯგუფზე. ეს წესი ცნობილია, როგორც “მინიმალური დაშორების” წესი და ზოგჯერ სხვადასხვა წინადადებებში ეწინააღმდეგება სახელად ჯგუფთა იერარქიული ურთიერთმიმართების სინტაქსის. ეს რეფერენტთა მართვის ორი ფორმაა: ყველაზე ახლობელი სინტაგმა და გამონათქვამის სინტაგმა, ისინი ან ერთდროულად მოქმედებენ, ან ურთიერთსაწინააღმდეგოდ. ყველაზე ზუსტი რეფერენტი ყველაზე ახლოს დგას რეფერენტულ სინტაგმასთან. მაგალითად, აღმატებითი ხარისხი წარმატებით გამოიყენება რეფერენცისათვის განსაზღვრულ არტიკლთან ერთად.

*Le meilleur joueur britannique a été battu par un des joueurs français*

პასიური ფორმა რეფერენტთან ერთად მრავალმნიშვნელიანობის მოხსნის ოპტიმალურ საშუალებად ითვლება.

პასიურ ტრანსფორმაციაში სახელადი ჯგუფების როლი განსაზღვრულ როლს თამაშობს; ეს როლი ძირითადად განისაზღვრება სახელად ჯგუფთა ოპოზიციით სულიერი /უსულო ნიშნის მიხედვით, რომელსაც თან ერთვის სქესის ოპოზიცია, კითხვითი და პირის ნაცვალსახელებით მათი ჩანაცვლება.

სუბიექტისა და ობიექტის ჯგუფებს შორის შემდეგი მიმართებები არსებობს:

1. სალაპარაკო ენა არ გამოიყენებს პასიურ ტრანსფორმაციას თუ PN<sub>1</sub> და PN<sub>2</sub> [+ animé] -ა, ანუ სულიერია.

*Le docteur a ausculté le malade*

თუმცა პასიური ფორმაც დასაშვებია.

2. სალაპარაკო ენაში პასიური ფორმა არ გამოიყენება, როდესაც PN და PN<sub>2</sub> (- animé) -ა

*Le feu a détruit la grange*

არ არის გამორიცხული პასიური ფორმაც. პასიური ფორმა ორივე შემთხვევაში გამოწვეულია რეფერენტსა და რეფერენციის შედეგად მიღებული უმცირესი დისტანციის წესის თანახმად (ორივე შემთხვევაში განსაზღვრული არტიკლი).

რეფერენტის გარეშე კონტექსტში პასიური ტრანსფორმაცია უპირატესობას ანიჭებს რიგს [+ animé sujet -], [-animé PPN<sub>1</sub>]

Un passant a été renversé par une voiture

უფრო ხშირია ვიდრე:

Une voiture a renversé un passant

ამრიგად, ორივე ტიპის პროპოზიციების ფარდობითი (მეტ-ნაკლები)  
არაგრამატიკულობა განისაზღვრება კანონიკური წყობის animé / non animé  
დარღვევით და ჭარბი (არასაჭირო] ტრანსფორმაციის გამოყენებით.

ეს კანონიკური ოპოზიცია ირდვევა განსაზღვრული კლასის ზმნების მიერ,  
რომლებიც ძირითადად ნამყოს მიმღეობის ფორმით იხმარება. მათი აქტიური  
ფორმა გულისხმობს [- animé sujet] [-+ animé objet] ასეთებია ზმნები დეპიტ, vexer,  
accoutumer;

ამათგან vexer შეიძლება ქონდეს [±sujet animé -]

Il est dépité par cet insuccès.

Ma remarque l'a vexé

Il l'a vexé par mes remarques.

Il est accoutumé à vos sauts d'humeur.

ორი განსხვავებული დისტრიბუციის მქონე ზმნები ერთმანეთისაგან  
განსხვავდებიან [-objet]-ს მახასიათებლებით; აქტიური ზმნას [ --- - animé, objet]  
ექნება, ხოლო პასიურს [ --- + animé, objet]; მაგ. ზმნა abattre :

Les bucherons abattent les arbres.

Pierre est très abattu par la mort de son père

ზმნა adorer თრივე კონსტრუქციაში იხმარება, პასივი დასაშვებია [+animé  
objet], გამორიცხულია, [- animé, objet], იგივე შეიძლება ითქვას ზმნის bénir –  
შესახებ:

Il adore sa femme et il est adoré d'elle.

La musique de Mozart est adoré de lui

La foule a été beni par l'évêque

Toute la famille a bénit ce concours de circonstances qui nous a réunis.

Le concours de circonstances qui nous a réunis a été bénit par toute la famille.

როდესაც [+animé, sujet], პასიური ფორმა არ დაიშვება გამოხატულ  
მოქმედების აგენსთან ერთად;

Il avisa un de ses amis dans la foule

Il bafouilla quelque mots.

\* Un de ses amis fut avisé par lui

\* quelques mots furent bafouillés par lui

სიმეტრიული ზმნების შემთხვევაში პასიური ფორმა ორივე სახის  
სუბიექტის შემთხვევაში იხმარება:

Elle brunit au soleil

Le soleil les a brunis

Ils ont été brunis par le soleil.

როდესაც აქტიური ფორმის სუბიექტი პირის ნაცვალსახელია [+animé],  
პასიური ფორმა ძირითადად არ იხმარება;

Il remplit de hautes fonctions.

\* De hautes fonctions sont remplies par moi.

ამრიგად კანონიკური ფორმა ცდილობს შეინარჩუნოს აქტიური ფორმა,  
პასიური ტრანსფორმაცია კი მოასწავებს ამ ფორმის აღდგენისადმი  
მისწრაფებას. კანონიკური ფორმა კი ასეთია: animé – non animé, პასიური  
ტრანსფორმაცია კი ამ წყობას შეაბრუნებს, რიცხვის რეალიზაციის კანონიკური  
ფორმა შემდეგი სახისაა.

Sujet singulier → agent pluriel

პასიური ტრანსფორმაციის სიხშირე შეიძლება აიხსნას ამ კანონიკური  
რიგის აღდგენისადმი მისწრაფებით. საერთოდ რიცხვის გამოხატვის  
შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიის პრინციპი; ენა  
ცდილობს თავიდან აიცილოს მარკერთა თავმოყრით გამოწვეული სიჭარბე, რაც  
თავს იჩენს იმ შემთხვევაში თუ ქვემდებარე მრავლობითშია [+pluriel sujet] და  
ზმნის ჯგუფი რიცხვის მარკერებით დაიტვირთება.

Les troupes du front ukrainien ont effectué la percée.

La percée a été effectuée par les troupes du front ukrainien.

სხვა ქვეწობილ წინადაღებებთან შედარებით, პასიური ფორმის სიხშირე  
მიმართებით წინადაღებაში აიხსნება კანონიკური წყობის [sujet → verbe →  
complément d'agent] აღდგენისადმი მისწრაფებით, გინაიდან მიმართებით  
ნაცვალსახელსა და მის ანტეცედენტს შორის არსებული მიმართებათა მკაცრი  
შეუზღუდველობა იძლევა სახელად კომპონენტთა გადაადგილების საშუალებას.

ამრიგად: L'ambassadeur a présenté ses lettres de créance; l'attaché culturel  
l'accompagnait.

შეიძლება გარდაიქმნას:

L'ambassadeur que l'attaché culturel accompagnait, a présenté ses lettres de créance.

L'ambassadeur, qu'accompagnait l'attaché culturel, a présenté ses lettres de créance.

L'ambassadeur, qui était accompagné de l'attaché culturel, a présenté ses lettres de créance.

ყველაზე გავრცელებულია შეკვეცილი ფორმა:

L'ambassadeur, accompagné de l'attaché culturel, a présenté ses lettres de créance.

### 3.3 პასიური პრედიქაციის გერსია ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით

პასიური ტრანსფორმაცია უპირატესად იხმარება იმ შემთხვევაში, თუ:

I. რამდენიმე ფაქტორი შერწყმულად მოქმედებს მაშინ იმატებს შეზღუდვები და პასიური ტრანსფორმაცია ცდილობს აღადგინოს ერთდროულად რამდენიმე კანონიკური წყობა.

- ა) ეს ფაქტორები შეიძლება იყოს: სახელადი ჯგუფების თავმოყრა.
- ბ) თავმოყრა სულიერი / უსულო (animé →non animé) და მხოლობითი / მრავლობითი (singulier →pluriel)
- გ) თავმოყრა სულიერი / უსულო (animé →non animé) და რეფერენტის სისტემისა.
- დ) თავმოყრა მხოლობითი / მრავლობითი (singulier →pluriel) და რეფერენტის სისტემისა.

მაგალითად:

- ა) Les étudiants, concernés par ces mesures, seront reçus au secrétariat
- ბ) Le voleur a été trahi par les indices qu'il avait laissés derrière lui
- გ) Son père est fatigué par l'exubérance de ses enfants.
- დ) Sa voiture a été révisée par les employés du garage

II. პირიქით, როდესაც რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, აქციური ფორმის სასარგებლოდ მიიღება მეტ-ნაკლებად არასწორი (გრამატიკულად) პროპოზიციები. ეს ფაქტორებია I და II პირის უმახვილო ნაცვალსახელები.

J'ai cassé un verre;

Un verre a été cassé par moi

Le vase a été cassé par moi, et non par les enfants.

როდესაც პროპოზიციაში ერთდროულად მოქმედებს

singulier → pluriel    et animé → non animé

თუ არ არის დაპირისპირება ხილული ან მალული.

Un enfant a commis des bêtises

\* Des bêtises ont été commises par un enfant

III. როდესაც წესები ურთიერთსაპირისპიროდ მოქმედებს, მათ შორის ერთგვარი იერარქია არსებობს. მინიმალურ ფრაზაში გადამწყვეტი ფაქტორებია – დაუსრულებლობა [non – achievement] და რეფერენტის იქ ყოფნა, პირველი ფაქტორი ენის სტრუქტურიდან მომდინარეობს, მეორე – საკომუნიკაციო პირობებიდან. რეფერენტის შემთხვევაში პასიური ტრანსფორმაცია ცდომილებათა წინასწარი გასწორების და ორაზროვნების მოხსნას ემსახურება, ხოლო non – achievement მომდინარეობს აქტიური ფრაზის სუბიექტის გამოუხატველობისას.

წესი მხოლობითი / მრავლობითი (singulier → pluriel) უფრო მკაცრია, როდესაც აქტიური ზმნა ჩვეულებრივად ხმარობს [±animé complément d'objet]

პირიქით, თუ აქტიური ზმნა იყენებს [+animé complément d'objet], უპირატესობა პასიურ ფორმას ენიჭება. ეს რიგი animé → non animé (სულიერი-აუსულო) დაჯაბნის რიგს singulier → pluriel(მხოლობითი-მრავლობითი).

Le pont est contrôlé par les insurgés

წესთა ურთიერთდაპირისპირება სხვადასხვა სახეს იღებს, ამდენად დასაშვებ წინადადებათა ხმარება მეტ – ნაკლებად ფარდობით ხასიათს ატარებს. (დიუბუა 1969:103).

ყოველი ტიპის ტრანსფორმაციას თავისებური თვისებები გააჩნია, ეს ტიპები და მათი მახასიათებლები ზოგადად ასე გამოიხატება:

ტიპი I. კანონიკური ფორმა, იგი შექცევადია, ახასიათებს გარდამავალ ზმნებს, რამდენიმე ირიბი გარდამავალი ზმნა აწარმოებს ასეთ ტრანსფორმაციას. ამ შემთხვევაში უპირატესობა შემდეგ რიგს ენიჭება: როდესაც ობიექტი სულიერია [+animé objet] და თვითონ პასიურ, უსრულ [non – achevé] წინადადებას. ასეთი ზმნებია: obéir, désobéir, pardonner.

On pardonne à qn → Il est pardonné

On obéit (désobéit) à qn → Il est obéi.

აქტიური და პასიური წინადადებების მნიშვნელობა ძირითადად იდენტურია. სქესის, რიცხვის, დროისა და ასპექტის მარკერები ნაწილდება დამხმარე ზმნებზე (avoir-ზე სრული ასპექტის შემთხვევაში) (être –ზე] და ნამყოს

მიმღეობაზე. ენაში შესაბამისი მარკერების განაწილების ზოგადი წესების თანახმად. I ტიპის ტრანსფორმაციას გარდაუგალი ზმნები არ აწარმოებს, გარდა მათი გარდამავალი მეწყვილისა.

entrer, sortir, monter, descendre

რაც შეეხება წინდებულებს “par და de“ -არსებობს მათი ხმარების რამდენიმე სპეციფიკური წესი:

Par იხმარება ყველა ზმნასთან

de ძირითადად იხმარება როდესაც [+animé sujet, + animé objet]

de არ იხმარება, როდესაც [- animé sujet -]

Les peintres ont refait l'appartement → L'appartement a été refait par le peintre.

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც [+pluriel sujet -] [--- + singulier objet]  
აქტიურ ფორმაში, ან [-animé sujet -] [ $\pm$ animé objet]

Les soucis l'accablent → Il est accablé de soucis

II ტიპი

[SN<sub>1</sub>+V+SN<sub>2</sub>] → [SN<sub>2</sub>+v+PPN<sub>1</sub>]

Le soleil brunit la peau → La peau brunit au soleil

ა) სახელად ჯგუფთან გადანაცვლებასთან ერთად რიცხვის, სქესის და პირის შესაბამისი მარკერები გადაინაცვლებს SN<sub>1</sub> და SN<sub>2</sub>-ზე.

ბ) SN<sub>1</sub> წინ წინდებულის გაჩენა ნორმალურია გარდა [-animé SN<sub>1</sub>]

შემთხვევისა: P → à, de, sous, l'effet, grâce à ...]

La sécheresse a tari le puits → Le puits a tari sous l'effet de la sécheresse.

II ტიპის ტრანსფორმაცია წარმოადგენს non – achèvement -ის მარკერს, ხოლო [sujet actif → Ø, on, ça] ეს ზმნები ჩვეულებრივ დამხმარე ზმნით - იხმარება. ეს ზმნებია: réussir, caler, claquer, commencer, stopper, continuer, changer, augmenter, épaissir;

მაგ: Ça épaisse la sauce → la sauce épaisse.

On cale le moteur → Le moteur cale.

შემდეგი სახის აქტიურ წინადადებას:

[+animé SN<sub>1</sub>] → [ $\pm$ animé SN<sub>2</sub>]

შეიძლება ჰქონდეს შემდეგი პასიური ფორმა:

[ $\pm$ animé sujet]+V+[Ø agent]

ასეთებია ზმნები: casser, guérir, doubler, cuire, finir, bouger, tourner, tremper, plaignir, ouvrir.

La branche casse.

Le rôti cuit à feu vif.

სხვადასხვა [PN<sub>2</sub>] -ით

Elle n'a pas embelli avec l'âge.

La clef tourne dans la serrure.

Les légumes trempent dans l'eau.

La porte ouvre mal.

Les mains plongent dans l'eau.

ოუ [PN<sub>1</sub> – sujet] → [PPN<sub>1</sub> agent]

პასიური წინადაღება უფრო მოძრავი ხდება და PPN<sub>1</sub> შეიძლება  
წინადაღების თავში გადაინაცვლოს და ეს წყობა უფრო გრამატიკულიც ჩანს.

L'âge a diminué son activité → Avec l'âge son activité a diminué.

Ce régime va l'engraisser → A ce régime il va engraisser.

II ტიპის ტრანსფორმაცია არ ხასიათდება აქტიური და პასიური ფორმების  
სრული სიმეტრიულობით, ზოგიერთი ამ ზმნათაგან ტრანსფორმაციას აწარმოებს  
[Aux être + p.p], სხვები უპარეზითი ფორმით, ხოლო შებრუნებული  
ტრანსფორმაცია იწარმოება:

[faire + infinitif]

Il gonfle le ballon → Le ballon est gonflé [par lui].

L'abscès gonfle sa joue → sa joue a gonflé

Le café a passé → Le café est passé

Le papier a jauni → Le papier est jauni

ორი დამხმარე ზმნის ხმარება და განსხვავებული წინდებულები გავლენას  
ახდენს პასიური ფორმის დასრულებულობაზე.

კონფიგურაციას დამხმარე ზმნათა ხმარების თვალსაზრისით II ტიპის  
პასიურ ფორმაში გადაწყვეტს დაპირისპირება achievevé – non achievevé -ს შორის.  
პასიური ფორმა დამხმარე ზმნა ეტე აღარ გამოხატავს non - achievevé-ს და  
გამოხატავს achievevé –ს სიმეტრიულ ზმნებში.

Une torpille a coulé le navire → Le navire a été coulé par une torpille → Le navire a  
coulé.

გარდამავალ ზმნებში შეიძლება მარკერთა შებრუნებაც მოხდეს “avoir“-  
მარკირებული, ხოლო “être“-არამარკირებული პასიურ და - achievevé  
წინადაღებებში;

L'agent a stoppé la voiture au carrefour → La voiture est stoppée par l'agent au carrefour.

On a stoppé la voiture au carrefour → La voiture a stoppé au carrefour.

ამ წინადაღებებში, დამხმარე ზმნები გამოხატავენ ოპოზიციას [+accompli, présent → [+accompli présent / passé]

III ტიპი პასიური ტრანსფორმაციის.

[PN<sub>1</sub>] + V + PN<sub>2</sub>] → [PN<sub>1</sub> V<sub>pron. se</sub> PN<sub>2</sub>] → [PN<sub>2</sub> +V<sub>pron. se</sub> + PPN<sub>1</sub>]

III ტიპის ტრანსფორმაცია ხასიათდება შემდეგი წესებით:

ა) სახელად ჯგუფთა გადაადგილებას თან ხდევს სინტაქსური დამოკიდებულების გადანაცვლება, V<sub>se pron</sub> იდებს PN<sub>2</sub>-ის მარტივებს და არა PN<sub>1</sub>-ისას.

Il accumule les erreurs → Ses erreurs s'accumulent.

ბ) უპუქცევითი ნაცვალსახელის დამატება იწვევს ვარიაციებს რიცხვში, სქესში, პირში]; უპუქცევით ნაცვალსახელს შეიძლება დაერთოს მხოლოდ [le, en, y, ne ... pas]

III ტიპის ტრანსფორმაცია ცხადყოფს უპუქცევით ფორმისა და სიმეტრიული ზმნის ეკვივალენტურობას:

La branche casse → La branche se casse.

გ) être + p.p= se V<sub>pron.</sub>

La ficelle est cassé → La ficelle s'est cassée

დ) უპუქცევითი ფორმა სინონიმურ ურთიერთობებს ამყარებს გარდაუვალ ზმნებთან (კომუტაციის პრინციპი).

s'adapter → aller bien, convenir

se remettre → aller mieux

ერთსებობს განსაზღვრული სინონიმური რიგები, პასიური მნიშვნელობით.

Le lait aigrit, s'aigrit facilement

La voiture arrête, s'arrête devant la porte.

Le mal de tête passe, se passe.

მათ შორის განსხვავება არ არის გამორიცხული, როგორც მნიშვნელობის, ასევე დისტრიბუციის ოვალსაზრისით:

Les jours allongent

Le visage s'allonge

3) უკუქცევითი ფორმა შეიძლება დაუპირისპირდეს [Aux être + p.p.]  
ასპექტის თვალსაზრისით accomplished → non accomplished:

Le sable est aggloméré / Le sable s'agglomère

Son veston est abîmé / son veston s'abîme

La route est affaissée / La route s'affaisse

ასეთი ზმნები შეადგენენ საკმაოდ სპეციფიკურ ჯგუფს:

S'affaler, s'affairer, s'affaïsser, s'adonner, s'agenouiller, s'agglutiner, s'avérer,  
s'astrophier, s'attabler, s'entêter, s'infatuer, s'infiltre.

მაგ: Il s'est affaissé sur le trottoir

Les convives sont attablés.

ზოგიერთი ამ ზმნათაგან იხმარება უკუქცევითი და პასიური ფორმით. ამ  
შემთხვევაში ეს ფორმები თითქმის ეკვივალენტურია.

Sa santé est affermie = Sa santé s'est affermee

L'affaire est arrangée = L'affaire s'est arrangée

დ) უკუქცევითი ფორმა მარკირებულია ნიშნით non – achèvement; მის  
შესაბამის აქტიურ ფორმაში [--- sujet] = “on”; როდესაც

on → - animé, მაშინ [- animé, objet]

On abrège un exposé → L'exposé peut s'abréger.

On refuse une invitation → Cette invitation ne se refuse pas.

On apprend une leçon facilement → Cette leçon ne s'apprend pas facilement.

ე) აქტიური პროპოზიცია მარკერით achevé შეიძლება შეიცვალოს  
უკუქცევითი ზმნით და ამგვარად გამოხატოს პასიური მნიშვნელობა ამ  
შემთხვევაში [+actif PN<sub>1</sub>] → [-actif PPN<sub>1</sub>]

P→de, avec ...

Sa mort m'a affligé → je m'afflige de sa mort.

Un rien l'affole → Il s'affole d'un rien

როდესაც [+actif, -animé, +sujet ---] პასიური ტრანსფორმაცია ყველაზე მეტად  
მოსალოდნელია:

Le café froid me désaltère → je me désaltère avec du café froid.

გ) აქტიური და უკუქცევითი ზმნების დისტრიბუცია მთლიანად არ  
ემთხვევა ერთმანეთს; უკუქცევითი ზმნების საღისტრიბუციო სივრცე ჩამორჩება  
არაუკუქცევითი ზმნების დისტრიბუციის არეს.

ბ) როდესაც [+animé, sujet<sub>passif</sub> ---] = [---+animé, objet passif], მაშინ ასეთი უკუქვევითი ზმნა იწოდება რეფლექსიურ უკუქვევით ფორმად:

Elle s'accoutre d'une manière ridicule = Elle accoustre elle – même.

მნიშვნელობით ეს ფორმა პასიურია; დაპირისპირება accomplished / non accomplished რეალიზდება [se V] da [être +p.p.] შორის, თანაც “se” = [---+ animé, actif, objet];

Il s'abrite sous un arbre / il s'est abrité sous un arbre.

Il se promène dans le jardin → il s'est promené dans le jardin.

Elle s'accoutre mal → elle est mal accoutrée.

Il s'accoutume à sa nouvelle vie → il est accoutumé à sa nouvelle vie.

Il se lave → il est lavé

თ) იმ შემთხვევაში, როდესაც PN<sub>1</sub> და PN<sub>2</sub> ამყარებენ ურთიერთმიმართულ მოქმედებას PN<sub>1</sub> ← PN<sub>2</sub>, ასეთ მიმართებას საურთიერთო ეწოდება.

Pierre et Paul se battent ← Pierre bat Paul. Paul bat Pierre.

ზმნის ჯგუფი რიცხვის მარტერის მატარებელია

... se tuer → s'entretuer ...

IV. პასიური ტრანსფორმაციის ტიპი ეხება გარდაუგალ ზმნებს და მას პასიური წინადადების შებრუნებული ტრანსფორმაცია ეწოდება. დაპირისპირება აქტიურ და პასიურ (გარდაუგალ)პროპოზიციებს შორის იდებს ფორმას achevé [active] / non – achevé [passif intransitif]

აქტიური ტრანსფორმაცია მოწოდებულია ადადგინოს სუბიექტი → მოქმედების აგენტი → [+agent sujet] → [+agent PPN<sub>1</sub>] → P → de, a, sous, avec, par ... აგ შემთხვევაში [+actif, achevé] = [passif, achevé]

Pierre est tombé sous le coup de poing → Le coup de poing a fait tomber Pierre.

Il ment par intérêt → L'intérêt le fait mentir. (დიუბუ 1969:119)

სახელადი ჯგუფების ადგილის შეცვლას, PPN<sub>2</sub> P-ს ამოვარდნას, “faire”-ის და Infinitif intr. შემოყვანას თან სდევს მორფოლოგიური მარტერების რიცხვის, პირის, დროისა და ასპექტის თავის მოყრა ზმნაზე “faire” და animé / non animé-ს რეალიზაცია ნაცვალსახელებით on, ça.

Il dort avec un somnifère → Un somnifère le fait dormir.

Les fruits pourissent avec l'humidité → L'humidité fait pourrir les fruits.

L'enfant pleure → On fait pleurer l'enfant.

Les voisins jasent → Ça fait jaser les voisins.

გარდაუვალი      ზმების      აქტიური      ტრანსფორმაცია      შეესაბამება  
მნიშვნელობით სიმეტრიული ზმების აქტიურ ფორმას;

On stoppe la voiture → On fait stopper la voiture ⇒ La voiture stoppe

Le rôti cuit. On fait cuire le rôti; On cuit le rôti.

Il claque la porte → il fait claquer la porte. La porte claque.

Elle épaisse la sauce → Elle fait épaisser la sauce.

La sauce épaisse.

Caserne les troupes = faire caserner les troupes

Fondre la glace = faire fondre la glace;

მოცემული ტრანსფორმაცია, კ.ი. faire + infinitif (კაუზატიური კონსტრუქცია)  
საშუალებას იძლევა გააერთიანოს და წარმოადგინოს კონკრეტული ზმის  
ტრანსფორმაციათა შორის არსებული ურთიერთშემავსებელი და  
ურთიერთმაკომპენსირებელი მიმართებანი. მაგალითად ზმა “rougir”-ის  
ტრანსფორმაციული დისტრიბუცია შემდეგნაირად წარმოსდგება:

აქტიური პროპოზიცია

პასიური პროპოზიცია

Le sang rougit le tapis

Le tapis est rougis par le sang

გარდაუვალი ხმარება

გარდაუვალის ტრანსფორმაცია

Pierre rougit sous l'insulte

L'insulte le fit rougir

[±animé, sujet --] მიხედვით წარმოიქმნება მოცემული ზმის sens propre / sens figuré თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი შექცევადი ტრანსფორმაციით actif – passif ორი აქტიური ფორმის არსებობამ გამოიწვია მათ შორის მნიშვნელობათა განსხვავება და ზმისათვის “faire” -კაუზატივის მნიშვნელობის მინიჭება (მხოლოდ ზოგიერთი ზმისათვის).

La mère coucha les enfants → La mère fit coucher les enfants.

ის ზმები, რომლებიც მხოლოდ უკავევითი ფორმით იხმარებიან გარდაუვალი ზმებივით ფუნქციონირებენ, ასეთებია se lever, s'évanouir, se repentir, s'en aller, s'échapper, se faire; faire -თან ისინი ან კარგავენ ნაცვალსახელს “se”, ან არა.

Les enfants se taisent → On fait taire (ან se taire) les enfants.

Le prisonnier s'est échappé → Le gardien a fait échapper le prisonnier.

La mère fit coucher les enfants = La mère fit se coucher les enfants.

“se“ გამოიტოვება იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტრუქციას “faire + infinitif”, ეკისრება არა აქტიური, არამედ პასიური ტრანსფორმაციის წარმოება; ეს ასე ხდება

[+actif sujet] → [+agent] → [+agent passif]

[+ passif sujet] → Ø აქტიურ წინადადებაში

[PN<sub>1</sub> +V + PN<sub>2</sub>] → [ PN<sub>3</sub> + faire Infinitif + PN<sub>2</sub> + PPN<sub>1</sub>]

PN<sub>3</sub> → Ø

P→ par, de, à, avec ...

Son assistant acheva son travail → Il fitachever son travail par son assistant.

Par son assistant = [+actif sujet ---]

Sa petite fille mange un gâteau → Il fait manger un gâteau à sa petite fille.

“se“ არ გამოიტოვება, როდესაც [+animé sujet --- +animé Verbe se PN<sub>1</sub>]

Il s’habille

[+animé PN<sub>1</sub>] = se = PN<sub>1</sub>

ორმაგი ტრანსფორმაცია se faire + Infinitif → Pr passive.

Un bon tailleur habille mon mari

[Pr +active, +achevée]

Mon mari se fait habiller par un bon tailleur.

Par un bon tailleur = [+agent] = [+actif sujet]

არსებობს უკუქცევითი ფორმაც:

Mon mari s’habille chez un bon tailleur.

“se faire Infinitif” იხმარება ყოველთვის, როდესაც საჭირო ხდება კონსტრუქციის ერთმნიშვნელიანობის დადგენა, რაც გულისხმობს “se” – შემცველობას, ვინ ჩაენაცვლება ნაცვალსახელს “se”; როდესაც ასეთი სუბსტიტუტი ბუნდოვანია, ბუნდოვანია კონსტრუქციის მნიშვნელობა.

Il est aimé de ses amis, il se fait aimer de ses amis

accompli (non accompli)

ასეთი ტრანსფორმაცია მუდმივია ისეთ ზმნებთან, რომელთაც

[+actif + animé sujet ---, + actif + animé, objet]

La police l'a pincé sur le fait → il a été pincé sur le fait par la police → Il s'est fait pincer par la police sur le fait.

Il se pince - ქონსტრუქციას ექნებოდა განსხვავებული მნიშვნელობა და ტრანსფორმაცია. იგივე ხდება ზმნებთან se coiffer, se battre, აქაც ამ ზმნათა მნიშვნელობა განსხვავებული იქნებოდა se faire Infinitif-ის მნიშვნელობიდან.

Le patron du salon l'a coiffé → Il a été coiffé par le patron du salon → Il s'est fait coiffer par le patron du salon.

Il a battu ses adversaires → Il s'est fait battre par ses adversaires → Il a été battu par ses adversaires.

ამრიგად, სტრუქტურული ანალიზის ამ საფეხურზე პასიური ფორმის ანალიზისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი ცნებები და პროცედურები:

ა) აქტიური, მინიმალური გარდამავალი კონსტრუქციის კომპონენტთა (სახელად ჯგუფთა) ადგილის შეცვლა, PPN<sub>1</sub> (აგენტის – სუბიექტის) შემოყვანა.

ბ) დამხმარე ზმნისა და ნამყოს მიმღეობის გამოყენება.

გ) დროის, ასპექტის, პირისა და რიცხვის გადაადგილება – თავმოყრა მნიშვნელობის მქონე ზმნიდან დამხმარე ზმნაზე (être).

დ) PN<sub>2</sub> (სუბიექტის და ობიექტის) და ზედსართაულ (P.P.) ჯგუფებში სქესისა და რიცხვის მარკერების შემოტანა და შეთანხმების წესების ამოქმედება.

ე) მნიშვნელობის იდენტურობის შენარჩუნება აქტიურ და პასიურ პროპოზიციათა შორის

ვ) ტრანსფორმაციულ ოპერაციათა ჩატარების ძირითადი შეზღუდვები და სისშირე გამომდინარეობს შემდეგი სქემის აღდგენის [+animé sujet ---, --- - animé objet], [+ sing sujet ---, - singulier objet] მისწრაფებიდან.

ზ) ძირითადი დაპირისპირება აქტიურ და პასიურ პროპოზიციათა შორის გამოიხატება ოპოზიციით achevé / non achevé და განპირობებულია, როგორც სტრუქტურათა და პროპოზიციათა შიდა და ურთიერთგანლაგების წყობით, ასევე რეფერენტთა სისტემის არსებობით.

თ) პასიური და აქტიური კონსტრუქციების სისშირე დამოკიდებულია სამწერლობო და სალაპარაკო ენებს შორის განსხვავებასა და ენის რეგისტრზე. ასეთი სმარების მკაფიოდ განსაზღვრული წესები არ არსებობს. სალიტერატურო ენა პასიურ კონსტრუქციებს ანიჭებს უპირატესობას.

ი) პასიური პრედიკაცია გადმოიცემა უკუკევევითი ფორმით, გარდაუგალი ზმნებით და კონსტრუქციით [“faire + Infinitif”]; თითოეულ ტიპს ახასიათებს სპეციფიური მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ნიშნები.

კ) პასიური და აქტიური ფორმის წარმოებასა და ხმარებას განსაზღვრავს მოლაპარაკე პირი, საკომუნიკაციო პროგრამა (შეცდომების თავიდან აცილება) და ეკონომიკის პრინციპი: ე.ი. არჩევანის შესაძლებლობა იაფ და უფრო ძვირად დირებულ კონსტრუქციებს შორის, თუმცა აქაც აბსოლუტური წესი არ არსებობს.

ასეთია პასიური პრედიკაციის ზემომყვანილი ვერსია, რომელიც სახის უცვლელად იქნა წარმოდგენილი, როგორც ტერმინოლოგიური, ასევე კონცეპტუალური თვალსაზრისით, ძირითადი დებულებების ახლებურად გადააზრების და ფორმალიზების გარეშე.

პასიური ფორმის ტრანსფორმაციული ვერსია ტრანსფორმაციული გრამატიკის ის ვარიანტია, რომელშიც პირველად ხდება პასიური ფორმის წარმოების საკითხის დასმა, რომელიც შემდეგ კითხვებს წამოჭრის:

- 1) აქტიური და პასიური წინადადებები წარმოადგენს ერთი და იგივე სიდრმის სტრუქტურიდან მომდინარე ზედაპირულ სტრუქტურებს თუ მათი სიდრმის სტრუქტურები განსხვავებულია?
- 2) რა განსაზღვრავს სიდრმის სტრუქტურიდან პასიური და აქტიური ფორმების წარმოშობის საკითხს?

მეორე კითხვა პირველი კითხვის გადაჭრის საშუალებას წარმოადგენს. პასიური ფორმის წარმოქმნის საფუძველს ქმნის სახელადი ფრაზების, (სუბიექტებისა და ობიექტების) სელექციური შეზღუდვები, რომლებიც იძლევა შემდეგი განზოგადების საფუძველს:

- I. პასიური წინადადების ზმნის შესაძლებელ სუბიექტთა კლასი იგივეა, რაც აქტიური წინადადების დასაშვებ ობიექტთა კლასი.
- II. პასიური წინადადების ზმნის par, de PN კლასი იგივეა, რაც აქტიური წინადადების შესაძლებელ სუბიექტთა კლასი.

### I სელექციური შეზღუდვა.

ზოგიერთი ზმნის სუბიექტი შეიძლება მიუთითებდეს პიროვნებაზე, ინსტიტუციონალურ დაწესებულებაზე, ან კანონებზე ...

### II სელექციური შეზღუდვა.

ზოგიერთი ზმნის ობიექტი შეიძლება მიუთითებდეს მთავრობის ოფიციალურ პირებზე. ასეთი შეზღუდვები შეიძლება განმეორებულ იქნას კონკრეტული ენის უკელა კონკრეტულ ზმნათა მიმართ და ისინი პასივისა და აქტიური ფორმების სიდრმის სტრუქტურის იდენტურობის სასარგებლოდ

მეტყველებს, ვინაიდან ეს შეზღუდვები ავტომატურად გამომდინარეობს ამ ზმნათა მიერ სახელთა ფრაზების სელექციიდან, რაც შეიძლება შემდეგნაირად განხოგადდეს: წინადადებათა სიღრმის სტრუქტურა აქტიური ფორმაა. პასიური ფორმა იწარმოება აქტიური წინადადებიდან პასივიზაციის ნებაყოფლობითი წესის გამოყენებით.

პასიური ტრანსფორმაცია სუბიექტის – შემცვლელი ტრანსფორმაციაა და იგი გულისხმობს სახელად ჯგუფთა გადაადგილებას, დამხმარე ზმნის (*être*) შემოყვანას და ნამყო მიმდევობის დამატებას, სუბიექტის გადატანას *Par (de)* წინდებულთან ერთად წინადადების ბოლოს. შემოკლებულ პასიურ ფორმაში *Par (de) PN* არ ფიგურირებს, იგი მიიჩნევა სიღრმის სუბიექტად ფორმით “On”, “quelqu’un” ... ნიშნით “non spécifié”, ვინაიდან პასივის წარმოება ნებაყოფლობითი წესია. იგი ციკლურ ტრანსფორმაციად არ მიიჩნევა, ოუმცა ეს წესი ძლიერ ჰგავს ციკლურ ტრანსფორმაციას, იგი შეიძლება ალალბედა ტრანსფორმაციად ჩაითვალოს, ვინაიდან არ არსებობს (მაკოლი 1988 : 75-84, პერლმუტერი 1982 : 71-205) პასივიზაციის კატეგორიულად შემზღუდავი წესი. ეს წესი სუბიექტს ცვლის, მაგრამ მნიშვნელობას ინარჩუნებს. ამრიგად, მნიშვნელობა ორ ფრაზაში

Ch. Colomb découvrit l'Amérique

L'Amérique fut découverte par Ch.Columb.

ერთი და იგივეა.

გენერაციული გრამატიკის არც ერთი ვარიანტისათვის პასიურ ფორმას პრობლემა არ შეუქმნია. იგი სრულიად და არაწინააღმდეგობრივად თავსდებოდა გენერაციული გრამატიკის ყველა პოსტულატში. სახელდობრ, იგი ემყარებოდა ქვეპატეგორიზაციისა და სელექციის წესებს, სიღრმისა და ზედაპირული სტრუქტურების ცნებას, ტრანსფორმაციულ ოპერაციათა აუცილებელ და ფაკულტატიურ მოძრაობას, ფონოლოგიური და ლოგიკური ინტერპრეტაციის წესებს, სახელად ჯგუფთა მოძრაობის შეზღუდვებს, მორფოფონოლოგიურ წესებს. ამდენად, გენერაციულ გრამატიკაში იგი უფრო საილუსტრაციო მასალად გამოიყენებოდა, ვიდრე რთული ენობრივი ანალიზის დამამტკიცებლად. პასივიზაცია ძირითადად თავის სივრცეში თავსდებოდა, ოუმცა საჭიროების შემთხვევაში იგი გამოყენებულ იყო წესთა ურთიერთქმედების დასამტკიცებლად ზედაპირულ დონეზე.

გენერაციული სემანტიკის მიმდევრები პასიურ ფორმას დიდ ყურადღებას არ აქცევენ.

მართვისა და ბმის თეორია პასიურ პრედიკაციას განიხილავს იმ პარამეტრების ფარგლებში, რომლებიც ძირითადია ამ მიმართულებისათვის; ყველაზე რთული საკითხი აღმოჩნდა ბრუნვის მიწერის საკითხი პასიური ფორმისათვის. აქტიურ კონსტრუქციაში ზმნა მიაწერს ბრალდებით ბრუნვას ობიექტს და სახელობით ბრუნვას სუბიექტს. პასიურ პოზიციაში სუბიექტის პოზიციაში მყოფი არგუმენტი სახელობით ბრუნვაშია, ხოლო აქტიური წინადადების სუბიექტი აგენსის როლში გადადის. ამრიგად, წინადადების სუბიექტი მართალია ბრუნვაში დგას, მაგრამ თეტა – როლს, რომელსაც იგი უნდა ასრულებდეს, როგორც აგენსი – სუბიექტი – მოკლებულია. სინტაქსის პოზიციაზე დაყრდნობით. პასიურ სუბიექტთან დაკავშირებულ საკითხებს და ბურციო შემდეგნაირად განიხილავს:

პასივები და ერგატიული ზმნები არ მიაწერენ თეტა – როლს სუბიექტს.

Le navire a été coulé par la flotte

\* Le navire coula par la flotte

პასივები არ განსხვავდება შესაბამისი აქტიური ზმნებისაგან თეტა – სტრუქტურის (ანუ არგუმენტთა სტრუქტურის) თვალსაზრისით.

ერგატიული და პასიური ზმნების განსახვავებლად შეიძლება დაშვებული იქნას განსხვავება “სუბიექტისათვის თეტა – როლის მიწერისა” და “თემატური სუბიექტის როლის მიწერას” შორის.

პირველი გულისხმობს თეტა – როლის მიწერას სტრუქტურულად განსაზღვრული პოზიციისათვის, ე.ი. სუბიექტისათვის, პასიური და ერგატიული ზმნები ასეთ პოზიციას თეტა – როლს არ მიაწერენ.

მეორე გულისხმობს სპეციფიური “თემატური” (ანუ სემანტიკური) როლის მიწერას. ე.ი. “თემატური სუბიექტის, ანუ სემანტიკური სუბიექტის” როლის მიწერას, ისე, რომ არ მიუთითებს (არ უკავშირდება) სტრუქტურულად განსაზღვრულ პოზიციას. პასივები ერგატივებისაგან განსხვავებით შესაბამის აქტივებს ემსგავსება თავიანთი უნარით, მიაწერონ რა ასეთი თემატური სუბიექტის როლები.

თემატური სუბიექტის როლი შეიძლება შესრულდეს ორი განსხვავებული გზით.: 1) არგუმენტით სუბიექტის პოზიციაში; 2) par, (de) წინადადებით. არჩევანი ამ ორი შესაძლებლობის მიერ განისაზღვრება იმით, მიეწერება თუ არა თეტა – როლი სუბიექტის პოზიციას. პირველი ვარიანტი ამოირჩევა იმ შემთხვევაში, თუ დაიშვება, რომ ერთადერთი თეტა – როლი, რომელიც შეიძლება სუბიექტის

პოზიციას მიეწეროს არის თემატური – სუბიექტის როლი. წინააღმდეგ შემთხვევაში აირჩევა მეორე შესაძლებლობა, ერგატიულ ზმნებს არ მოეპოვებათ თემატური სუბიექტი, რომელსაც ასეთ როლს მიაწერდნენ.

ამრიგად, დასაშვები ჩანს ორი პარამეტრი: თემატური სუბიექტის როლის ქონა ან არქონა, ან სუბიექტის პოზიციისათვის თემატური როლის მიწერა – არმიწერა. ეს ორი ვარიანტი ურთიერთისაგან დამოუკიდებელი რომ იყოს, მოსალოდნელი იქნებოდა ოთხი შესაძლებელი ვარიანტი, თუმცა თემატური სუბიექტის არქონა გულისხმობს თეტა – როლის სუბიექტის პოზიციისათვის არ მიწერას

სუბიექტი – არგუმენტის აუცილებელი თანხლება აქტიურ ზმნებთან ეწინააღმდეგება par (de) წინდებულიანი წინადაღების ნებაყოფლობით ხმარებას, ამიტომ აუცილებელია დაშვებულ იქნას თეტა – როლის მიწერის აუცილებლობა სუბიექტის პოზიციისათვის იმ ზმნების მიერ, რომლებიც მიაწერენ სუბიექტს თეტა – როლს. თეტა – როლის მიწერა ოდნავ განსხვავებულად მოქმედებს, როდესაც საქმე ბრალდებითი ბრუნვის მიწერას ეხება, რომელიც არ არის თანდაყოლილად (შინაგანად) აუცილებელი ობიექტისათვის, თუ ასეთი არის.

მოცემული პოსტულატები დასაშვებად მიიჩნევს ისეთი PV დამატებების par (de) არსებობას, რომლებსაც აკლიათ სუბიექტის პოზიცია, ასეთ შემთხვევაში ზმნა აქტიურ ფორმაში იხმარება.

ამრიგად, ერთხელ კიდევ ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ის ზმნები, რომლებიც მიაწერს სუბიექტს თეტა – როლს, აგრეთვე ობიექტს მიაწერს ბრალდებით ბრუნვას, ამდენად შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი პირდაპირი ობიექტი.

## თავი IV

არააქტიური პრედიკაციის გამოხატვის საშუალებები  
ფსიქოლოგიური და უკუქცევითი ზმნების არგუმენტულ-თემატური და  
ბრუნვითი სტრუქტურისა და დიათეზური მნიშვნელობის  
გათვალისწინებით

- 4.1. განსხვავებული თეორიულ თვალსაზრისთა ანალიზი ფსიქოზმნების შესახებ
- 4.2. ფსიქოზმნების ანალიზი ბმისა და მართვის თეორიის პრინციპებზე დაყრდნობით ნაცვალსახელოვანი ზმნების ტრანსფორმაციული ანალიზი.
- 4.3. ნაცვალსახელოვანი ზმნების არგუმენტულ-თემატური და ბრუნვითი სტრუქტურა
- 4.4. რეფერენტული და არარეფერენტული “se”

### 4.1. ფსიქოზმნების შესახებ განსხვავებული თეორიული თვალსაზრისთა ანალიზი

ფსიქოლოგიური ზმნები არააქტიური პრედიკაციის გამომხატველი ერთ-ერთი დიდი კლასია;

ფსიქოლოგიური ზმნები სხვადასხვა თვალსაზრისით ანალიზდებოდა, ამ ზმნებს შეისწავლიდა გენერაციული გრამატიკა. მნიშვნელოვანი მიღწევა იყო მარკირების სემანტიკური პრინციპების გამოყენება ფსიქოზმნათა კლასიფიკაციისა და რუბრიკების შედგენის პროცესში, თემატურ მიმართებებს დაყრდნო ბმისა და მართვის თეორიაში ფსიქოზმნების არგუმენტული და სემანტიკური სტრუქტურები.

ყოველ მიღგომას განსაზღვრული არგუმენტაცია და შედეგები ჰქონდა. ფსიქოზმნების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამ ზმნათა განსაზღვრულ ჯგუფებს ურთიერთშებრუნებული მიმართება აქვთ სუბიექტთან და ობიექტთან, ვინაიდან ფსიქოზმნათა უმრავლესობა ხასიათდება თემატური მიმართებებისა და არგუმენტთა სტრუქტურის თავისებურებებით, ისინი შეიძლება ჩაითვალოს

ძირითადად საშუალი გვარის ზმნებად, ვინაიდან მოქმედება კონცენტრირდება სუბიექტის ან სუბიექტისკენ მოძრავ ობიექტების ირგვლივ.

გენერაციული სემანტიკა მიმართებას სუბიექტთან და ობიექტთა ან ტრანსფორმაციებზე, ან ინტერპრეტაციის წესებზე დაყრდნობით განიხილავს. გამოიყენება ე.წ. “ფსიქიური მოძრაობის” ტრანსფორმაცია [PSYCH-MOVEMENT] და ტრანსფორმაციაში მონაწილე ზმნები [±PSYCH-MOVEMENT] ნიშნით დახასიათდება, ტრანსფორმაციული ანალიზის მომხრეა პოსტალი, მას ბუნებრივად მიაჩნია ერთმანეთთან დააკავშიროს NP (პიროვნება), (სულიერი) და სუბიექტის D (სიღრმის) პოზიციები; ნ.რიუვეს არ მიაჩნია ერთი მახასიათებლის ქვეშ სიღრმის სუბიექტის, აგენსის და NP (პიროვნების ან სულიერის) გაერთიანება მოცემული ტრანსფორმაციის დასასაბუთებლად, ვინაიდან “სულიერი სუბიექტის” მოწოდების მოტივაცია “ავტონომიური აქტიურობისკენ” ვიდრე უსულო სუბიექტისა ხშირად ირდვევა, ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი წესების შემოღება, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავს აგენსთა დისტრიბუციას (მაგ.: I. მხოლოდ სიღრმის სუბიექტი შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც აგენსი. II. être-ის სიღრმის სუბიექტი არასოდეს არ განისაზღვრება, როგორც აგენსი), თუმცა ზოგჯერ წინადადებათა არაერთმნიშვნელიანობის გამო, საჭირო ხდება, რომ აგენსის თემატურ ფუნქციას შეუერთდეს “ადგილის” ან “თემის” ფუნქციები. გარდა ამისა, პოსტალის აზრით, ზმნიზედასთან “personnellement” სიღრმის სუბიექტი იხმარება მხოლობითი რიცხვის I პირში (რაც აგრეთვე ყოველთვის არ მართლდება):

Personnellement, je suis dégoûté de Marie

Personnellement, je méprise Marie

\* Personnellement je dégoûte Marie.

ვითარების ზოგიერთი სხვა ზმნიზედის დისტრიბუცია არ ემორჩილება ხსენებულ ტრანსფორმაციას: ზოგიერთი მათგანი უკავშირდება სიღრმის სუბიექტს, ზედაპირულ სტრუქტურაში კი – ობიექტს.

ფსიქო-მოძრაობის ტრანსფორმაცია ერთმნიშვნელოვნად ვერც კორეფერენციის საკითხებს ვერ ხსნის, რის გამოც პოსტალმა მოითხოვა დერივაციებზე გლობალური შეზღუდვების შემოღება კორეფერენციის პრობლემის გადასაწყვეტად.

ამრიგად, ფსიქომოძრაობის ტრანსფორმაციას არ შეუძლია გადაჭრას სუბიექტ-ობიექტთან დაკავშირებული სემანტიკური და სინტაქსური პრობლემები და აუცილებელი ხდება დამატებითი წესების შემოღება.

ტრანსფორმაციული მიღომის თვალსაზრისით განსხვავებანი ფსიქოზმნიან კონსტრუქციებს შორის ძირითადად ზედაპირულ დონეზე მჟღავნდება და წესთა თვისებებით განისაზღვრება და ლექსიკურ რუბრიკაში აისახება. წინდებულების ხმარება, უკავშევითი ფორმის გამოყენება, “ადგილის” არსებობა PP-სთვის ოქმატური მიღომის თვალსაზრისით ყველა ჩამოთვლილი განსხვავება სიღრმის სტრუქტურაში აისახება და მოქმედებაში მოდის ზმნის მკაცრი-ქვე-პატეგორიზაციის წესების საფუძველზე. (რიუგე 1972: 181-196).

თქმატური ანუ სემანტიკური ანალიზი შექმნეს ჯეკენდოფმა, გრუბერმა, ფილმორმა, ისინი სემანტიკურად მსგავს და ხშირად ომონიმურ ზმნებს ორ დიდ ჯგუფად ყოფენ:

A ჯგუფში შედის “mépriser”-ს მსგავსი ზმნები, ხოლო B-ჯგუფში dégoûter – კლასი; ორივე ზმნა გარდამავალია.

თქმატური ფუნქციები ერთგვარი სემანტიკური პრიმიტივებია, რომლებიც გამოხატავს (ფორმალურად) ისეთ ცნებებს, როგორიცაა “აგენსი”, “პაციენსი”, “ბენეფიციარი”, “ინსტრუმენტი”, “წყარო”, “მიზანი”, “თქმა” და სხვა. რომლებიც პროექციის წესების საშუალებით უკავშირდება არგუმენტებს. ამ თქმატურ პრიმატივთაგან (ანუ თეტა-როლთაგან) ყველაზე ნეიტრალური, ნაკლებმარკირებული –თქმაა. იგი ძირითადად გარდაუვალი ზმნების ქვემდებარება. (ე.წ. ბუნებრივი მოვლენების გამომხატველ ზმნებში, თქმა ჩართულია თვით ზმნაში. მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში თქმა მოძრავი NP-ეა, “ლოკატიურ” ზმნებში თქმა – ლოკალიზებულია NP.

თქმატური ფუნქციები განსხვავებულად ნაწილდება წინადაღებაში, ე.ი. განსხვავებულ სინტაქსურ პოზიციას იკავებენ და ხშირად რამდენიმე მნიშვნელობას ითავსებენ. მაგალითად აგენსის (სუბიექტის) თქმატური ფუნქცია (თეტა-როლი) იქრთებს “წყარო+აგენსი”, “მიზანი+აგენსი”, “თქმა+აგენსი”. (source-agence, but-agence, théme-agence)

თქმატური ფუნქციების თეორია აერთიანებს სემანტიკურ პრიმიტივებს, (თეტა-როლებს) ახლოს დგას ფილმორის ბრუნვათა თეორიასთან, სემანტიკურ პრიმიტივებს აკავშირებს აბსტრაქტულ სინტაქსურ ცნებებთან და წარმოადგენს

კონკრეტული და აბსტრაქტული, ფიზიკური და ფსიქოლოგიური პროცესების თანაკვეთის არეს.

მაგალითად: ქვემდებარე, ემოციის განცდის “ფსიქოლოგიური ადგილი” არ წარმოადგენს ფსიქოზების ნამდვილ აგენტს, ხოლო თვითონ ზმნებიც მოქმედებას არ გამოხატავენ (aimer, admirer, redouter), სწორედ ამიტომ ხდება სუბიექტისა და ობიექტის თება – როლების დამთხვევა. მაგალითად, ზმნების: ”mépriser“-ს და ”dégoûter“-ს შემთხვევაში. ფსიქოლოგიური განწყობის, ანუ ფსიქოზების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამ ზმნათა განსაზღვრულ კლასებს ურთიერთშებრუნებული მიმართება აქვთ სუბიექტთან და ობიექტთან. ფრანგულ ენაში სემანტიკურად მსგავსი და ხშირად, ომონიმური ზმნები ორ დიდ ჯგუფად გაიყო: A ჯგუფში გაერთიანდნენ ”mépriser“-ს, ხოლო B-ში ”dégoûter“-ს ტიპის ზმნები.

ტრანფორმაციული ანალიზის თვალსაზრისით განსხვავება ამ ორ კლასს შორის, ძირითადად, ზედაპირული სტრუქტურების დონეზე აისახება, კონკრეტული წინდებულებისა და უკაპცევითი ფორმის არსებობა-არარსებობის ფონზე. თემატური პიპოტების მიხედვით შესაძლოა, სიღრმის სტრუქტურაში წარმოჩნდეს და ზმნის მკაცრ ქვემახასიათებლებს დაემორჩილონ.

ლექსიკურ რებრიკაში აისახება ფსიქოლოგიური პროცესის ერთი მხრივ – სუბიექტის, ხოლო მეორე მხრივ – ობიექტის მიერ შესრულება (განცდა), რომელიც შემდეგნაირად ფორმულირდება:

méprisée [+V], [+ - NP], [+ [+ [Humain] - ]

[+ [ lieu] - ]

dégoûter [+V], [+ - NP], [± - humain] ], [+ - [ - lieu] (რიუვე 1972: 187)

შეიძლება გარდამავალ ზმნათა განსაზღვრული სიმრავლე განაწილდეს ორ კლასად, რომელთაგან ერთი ”mépriser“, ხოლო მეორე ”dégoûter“-ს მსგავსად გაანალიზდება:

- I. mépriser, aimer, adorer, admirer, détester, supporter, déplorer, redouter, regretter, estimer, apprécier.
- II. dégoûter, amuser, intéresser, agacer, ennuyer, effrayer, gêner, terrifier, horrifier, humiliier, surprendre, étonner, impressionner, préoccupper.

ტრანსფორმაციული მიღებობის თანახმად მოცემულ ზმნათა კონსტრუქციები შეიძლება დაექვემდებაროს შესაბამის ტრანსფორმაციებს, რომლებიც აისახება ზედაპირულ სტრუქტურებში, მაგალითად, სუბიექტის წინ

გამოტანა, (montée du sujet) და ობიექტის შექმნა, ფსიქომოძრაობა, პრონომინალიზაცია (განაცვალსახელება) და უმახვილო ნაცვალსახელთა მოთავსება.

კორეფერენტული მიმართებების ანალიზის სრულყოფის მიზნით ჯეპენდოფი თემატურ ფუნქციებს შემდეგ იერარქიულ რიგს ანიჭებს:

- 1) თემა, 2) მიზანი, წყარო, აღილი, 3) აგენსი.

ამ რიგის მიხედვით უკუკევითი ნაცვალსახელი მხოლოდ ისეთი NP-ს კორეფერენტული შეიძლება იყოს, რომელსაც იერარქიაში მისი იდენტური აღილი უჭირავს, ხოლო ის NP, რომელიც “აწევის” მეშვეობით გადაადგილდა, იერარქიაში ყველაზე დაბალ დონეზე გადაინაცვლებს. (რიუგა 1972: 216).

განსხვავება A და B კლასის ზმნებს შორის ძირითადად შემდეგი კონსტრუქციებით გამოიხატება:

NP<sub>1</sub> ... V ... NP<sub>2</sub>

NP<sub>2</sub> ... V ... NP<sub>1</sub>

ეს კონსტრუქციები მოიცავს ე. წ. “ომონიმურ ზმნათა” სიმრავლეებს, რომელთაგან A- ფიზიკური მოქმედების, ხოლო B- ფსიქოლოგიური პროცესის გამომხატველი ზმნაა; მაგ: განსხვავება ზმნა “frapper”-ს ორ ვარიანტს შორის, რომელთაგან “frapper<sub>A</sub>”-ფიზიკურ მოქმედებას, ხოლო “frapper<sub>B</sub>”- ფსიქოლოგიურ პროცესს გამოხატავს. მათ შორის განსხვავება დადგენილია სხვადასხვა ტრანსფორმაციული ტესტების და თემატური როლების ანალიზის საშუალებით.

agacer, altérer, abasourdir, affaiblir, agiter, anéantir, aigrir, apaiser, ahurir, attendre, accrocher, affoler, attacher, attirer, affecter, achever, assombrir.

bouleverser, broyer, brûler, briser, blinder, charmer, choquer, casser, chiffonner, coincer, calmer, consumer, contracter, claquer, couler, crucifier, chabouiller, corrompre, débiter, défoncer, détourner, démanger, désemparer, disperser, détruire, défriser, détendre, déchirer, démonter, dérouter, désorienter, déranger, dégrader, doucher, distraire, éblouir, exciter, épater, énervier, écraser, édifier, embarrasser, empoisonner, ensorceler, endormir, éreinter, égarer, étouffer, emmerder, étourdir, épaiser, exténuer, éprouver, échauder, éclabousser, écorcher, effleurer, émousser, empoigner, encombrer, emberlificoter, embrasser, enterrer, enfiévrer, enivrer, envahir, étrangler, enchanter, ébranler, éclairer, emballer, fracasser, froisser, fatiguer, frater, foute, gêner, glacer, griser, irriter, illuminer, inquiéter, lasser,

miner, manquer, mordre, nouer, outrager,

percer, peler, perturber, pénétrer, prendre, purifier,

révolter, ruiner, retourner, ronger, renverser, remuer, refroidir, rafraîchir, rompre, raser, secouer, séduire, surprendre, saper, sonner, saouler, suffoquer, submerger, subjuger, stupéfier, tordre, tourmenter, tortuer, tuer, tracasser, travailler, tenailler, tripoter, trahir, vider etc.

A და B კლასის ზმნებს შორის სისტემური მიმართება არსებობს. ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ყველა გრძნობს ამ ორ ჯგუფს შორის არსებულ სემანტიკურ მიმართებას.

A და B ჯგუფებში მოთავსებული ზმნების NP სუბიექტი შეიძლება გამოხატავდეს ამ ზმნების მიერ გადმოცემულ პროცესთა მიზეზს. ხოლო NP ობიექტზე ეს პროცესი გარკვეული სახით მოქმედებს ან ეხება მას.

ორიგუ ჯგუფის ზმნები თავიანთი მნიშვნელობით უახლოვდება კაუზატივებს (მაგ: ნ.ჩომსკი ზმნას amuse (amuser) -ს განიხილავს კაუზატივის მნიშვნელობით).

A და B ჯგუფის ზმნების შიდა არეში განსაზღვრული მოძრაობა და არამდგრადობა შეიმჩნევა, მაგ: ომონიმურ ზმნათა ხმარებაში რეგისტრული და სტილიდან გამომდინარე განსხვავებული გამოყენება, მნიშვნელობის ცვლილება და ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლა შეინიშნება.

ამრიგად, ომონიმური ზმნების როგორც ტრანსფორმაციული, ასევე თემატური ანალიზი ზოგიერთ, ძირითად კითხვას დიად ტოვებს: ეს საკითხი ეხება ფსიქოზმნათა შორის ომონიმის საკითხს. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში A და B ჯგუფებს შორის სიღრმის სტრუქტურათა იდენტურობა და სემანტიკური რეპრეზენტაციის დაკავშირებაა სიღრმის სტრუქტურასთან ინტერპრეტაციის წესებით და არა სიღრმის სტრუქტურის პირდაპირი პროექცია სემანტიკურ წესებში. აღსანიშნავია აგრეთვე არამკაფიო დიქტომიის არსებობა A და B ჯგუფის ზმნებს შორის, როგორც აღნიშნულ იქნა, ზმნები ხშირად მოძრაობენ ჯგუფიდან ჯგუფში და ზოგჯერ მნელდება ზუსტი მნიშვნელობის გამიჯვნა, რაც ბუნებრივად წარმოქმნის გარდამავალ არეს.

ჩვეულებრივი ლექსიკონები ყველაზე კარგად ასახავს შესაბამის სალექსიკონო რუბრიკებში თავმოყრილ ბუნდოვანებას.

“ომონიმურ ზმნათა ” შორის, ზოგჯერ A და B ჯგუფებს შორის განსხვავება მოლაპარაკის მიერ აღიქმება, როგორც ერთ – ერთი მათგანის მეტაფორული ხმარება, მნიშვნელობის გარკვევას გააადგილებს ზმნიზედის “littéralement” ხმარება ასეთ კონსტრუქციებში; როდესაც A ტიპიდან არ

გამოიყვანება B ტიპის მნიშვნელობა, უმჯობესია განსხვავებული ლექსიკური რებრიკის დადგენა A და B ტიპებისათვის.

ნ.რიუვე “ომონიმური” A და B ტიპის ზმნებისათვის იყენებს “მარკირების” თეორიას; არ განიხილება გარდამავალი ტიპის ზმნები; ყოველ ზმნას მიეწერება სათანადო სემანტიკური და სინტაქსური მახასიათებლების მქონე განსხვავებული ლექსიკური რებრიკა, მაგალითად: არსებობს სამი ზმნა “toucher” – *toucher<sub>a</sub>*, - ფიზიკური ზედაპირის შეხების ზმნა; *toucher<sub>B</sub>*- “ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეცვლის” ზმნა; *toucher<sub>A2</sub>* - “ფიზიკური მდგომარეობის შეცვლის” ზმნა. არსებობს 2 “impressionner”, 2 – “effleurer”;

რებრიკები შემდეგნაირად ყალიბდება:

*toucher<sub>A1</sub>*: [+V], [+ - NP], [+ - [+ lieu]], [+phys], [- changt], [- Np être [ A --- ant ] ];

*toucher<sub>A2</sub>* : [+v], [ + --- NP], [+ - [+ lieu] ], [phis], [+changt], [- NP être [ A --- ant ] ]

*toucher<sub>B</sub>* : [+V], [+ - NP], [+ - [+ lieu] ], [+ psych], [+ changt], [+NP être [A --- - ant]]

გრამატიკა უნდა შეიცავდეს განსაზღვრული რაოდენობის შეთანხმებებს, თითოეული შეთანხმება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ მოცემულ პირობებში, მახასიათებელი (*αF*), სადაც *a* ცვლადია, [+ an -] გაიგება, როგორც არა – მარკირებული.

ეს შეთანხმებები ასე გამოიყერება

პირობებში (1....., C<sub>1</sub>....., C<sub>n</sub>, [*αF*] → [*uF*]

(სადაც *a* –არამარკირებულია (unmarked)

შეფასების პრინციპი, რომელიც გაზომავს გრამატიკის სირთულეს იმ სიმბოლოთა რიცხვის გამოყენებით, რომლებიც იხმარება გრამატიკაში (სპეციფირებულ მახასიათებელთა რიცხვი ლექსიკაში) არ იღებს მხედველობაში არამარკირებულ მახასიათებლებს. ეს პროცედურა ძლიერ ეკონომიურს ხდის მახასიათებელთა აღწერას ლექსიკაში და გრამატიკა, რომელიც ასეთ წესებს შეიცავს მარტივია და შეფასების მაღალი ხარისხით ხასიათდება.

მოცემულ შეთანხმებებში [*αF*, ... , *βG*] წარმოადგენს ფონოლოგიური და მორფოლოგიური მახასიათებლების მატრიცას.

I. თუ ლექსიკა შეიცავს რებრიკა I რომელიც მატარებელია მახასიათებლებისა [*αF*, ... , *βG*], [+V], [ + --- NP], [+ - [lieu] ], [+ phys], ერთი მხრივ რებრიკისა J რომელიც ატარებს მახასიათებლებს [*αF*, ... , *βG*], [+V], [ + --- NP], [+ - [lieu] ], [+ psych], და მეორეს მხრივ

მახასიათებლები [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ -- [lieu ] ], [+psych], J-ში არამარკირებულია.

- II. თუ ლექსიკა შეიცავს რეტრიკა I-ს, რომელიც ატარებს მახასიათებლებს [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ - [lieu ] ], + [phys], ერთის მხრივ, და რეტრიკას, რომელიც შეიცავს ნიშნებს [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ - [lieu ] ], [+ changt], მეორე მხრივ, ნიშნები [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ - [lieu ] ], [+ phys], [+changt] არამარკირებულია.
- III. თუ ლექსიკა შეიცავს რეტრიკა J-ს, რომელიც ატარებს მახასიათებლებს [+V], [+ --- NP], [+ - [+ lieu ] ], [psych], [+changt], ნიშანი [+changt] I-ში არამარკირებულია.
- IV. თუ ლექსიკა შეიცავს რეტრიკას I რომელიც ატარებს ნიშნებს [+V], [+ --- NP], [+ - [+ lieu ] ], [+ psych], [+NPêtre [ A --- - ant], მახასიათებელი [+NPêtre [ A --- - ant]] I-ში არამარკირებულია.
- V. თუ ლექსიკა შეიცავს რეტრიკა I-ს რომელიც ატარებს მახასიათებლებს [+V], [+ --- NP], [+ - [+ lieu ] ], [+ phys], [- NPêtre [ A --- - ant]], მახასიათებელი [- NPêtre [ A --- - ant]] I-ში არამარკირებულია.
- VI. ეს შეთანხმებები შეესაბამება შემდეგ ინტუიციურ მონაცემებს:  
 I ნიშნავს, რომ თუ არსებობს ლექსიკაში ფიზიკური ქმედების გარდამავალი ზმნა, არსებობს აგრეთვე გარდამავალი ფსიქოლოგიური ზმნა – ომონიმი.  
 II. ნიშნავს, რომ თუ არსებობს ლექსიკაში ზმნა, რომლის ობიექტი არის “ადგილი” არსებობს ზმნა ომონიმი, რომელიც აღნიშნავს მდგომარეობის შეცვლას.  
 III. აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ზმნა საინტერესო კლასისა ამავე დროს არის მდგომარეობის შეცვლის ზმნა.  
 IV. აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ზმნისთვის ნორმალურია ფიგურირებდეს NP<sub>1</sub> être [ A Vant] (pour NP<sub>2</sub>) - ჩარჩოში.  
 V. ამბობს, რომ აქ ფიზიკური მოქმედების ზმნები არ შედის ზემოდასახელებულ ჩარჩოში.  
 ყველგან გამონაკლისს წარმოადგენს ზმნები effleurer, heurter.

I-V შეთანხმებების გამოყენება იძლევა მახასიათებელთა დიდ ეკონომიას.  
ამრიგად:

toucher [+ V], [+ -- NP], [+ - [+ lieu]], [+ phys], [- chant ...]

étonner : [+V], [+ --- NP], [+---[+ lieu]], [+psych] ...

impressionner: [+V], [+ -- NP], [+ - [+ lieu]], [+phys], [+changt],

[laisser une image sur une pellicule photographique] ...

ეს შეთანხმებები არაფერს ამბობს ფსიქოლოგიური ზმნების მეტაფორულ თუ არამეტაფორულ მნიშვნელობაზე. ასეთი წესები ჯერ არ შემუშავებულა (რიუვე 1972: 181-250). ფილმორის ბრუნვათა თეორიის მიხედვით A კლასის ზმნების ბაზისური მნიშვნელობა “ფიზიკური მოქმედებაა”, მათ შორის ორი სემანტიკური კლასი გამოიყოფა: “casser”-ს ტიპის ზმნები “მდგომარეობის შეცვლის ზმნებს” წარმოადგენს (ობიექტი განიცდის მდგომარეობის შეცვლას); “frapper”-ს ტიპის ზმნები “ზედაპირთან შეხების” გამომხატველი ზმნებია და გამოხატავენ კონტაქტს ორ ობიექტს შორის, მაგრამ ობიექტი არ განიცდის აუცილებლად ძირეულ ცვლილებას. I ჯგუფის ზმნები თხოულობს ობიექტურ ბრუნვას და აქვთ კაუზატიკური ხასიათი; ამ შემთხვევაში სუბიექტი იწვევს მდგომარეობის შეცვლას ობიექტში.

II ჯგუფის ზმნები თხოულობს “ლოკატივს”. აღნიშნული სემანტიკური განსხვავებანი სინტაქსურ განსხვავებებში აირეკლება. I ჯგუფის ზმნები აწარმოებენ სტატიკურ ზედსართავებს (ნამყო დროის მიმღეობის pp – ომონიმებს), რომლებიც მოქმედების შედეგს აღნიშნავს და სუბიექტი ამ შედეგის მატარებელია.

ზედაპირთან შეხების ზმნები სხეულის ნაწილების სახელებთან (გაუსხვისებადი საკუთრება) ქმნიან ლოკატიურ წინდებულიან სახელად ჯგუფს, რომლებშიც მფლობელი – პირდაპირი ობიექტია, ხოლო PNP- სხეულის ნაწილის სახელი.

J'ai touché (son dos, sa jambe)

Je l'ai touché (dans le dos, a la jambe)

ორივე ტიპის ზმნასთან ობიექტს იდენტური თემატური ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

Je lui ai cassé la jambe

Pierre est touché [blessé, frappé] de ce que tu lui as dit.

B ჯგუფში მიმართება ზმნასა და ობიექტს შორის იცვლება. *frapper<sub>B</sub>*, *toucher<sub>B</sub>* და *blesser<sub>B</sub>* “ფსიქოლოგიურ ცვლილებას” უნდა გამოხატავდეს, რაც კიდევაც მტკიცდება წარმოებული სტატიკური ზედსართავების საშუალებით.

ფილმორის თეორია ისევ ეჭვის ქვეშ აყენებს A და B ჯგუფებს შორის სემანტიკური მიმართების რეგულარობას, ზღვარი A და B ჯგუფებს შორის ისევ არამკვეთრი რჩება და არც ომონიმია ინარჩუნებს სტაბილურობას. ირლვევა ფილმორისეული განზოგადება წინდებულიანი ლოკატივის შესახებ. A ტიპში იგი დასაშვებია, B ჯგუფი – ხმარობს ძირითადად “ფსევდო ლოკატივებს”, და ამ ჯგუფის ყველა ზმნა არ აწარმოებს შესაბამის სტატიკურ ზედსართავებს.

არსებობს “ფსიქოლოგიური ზედაპირის შეხების ზმნები”, A ტიპის ზმნათაგან ზოგიერთი “მდგომარეობის შეცვლასაც გამოხატავს”. ნ.რიუგეს მიაჩნია, რომ უმჯობესია ორივე ჯგუფის ზმნები მარკირებულ იქნას [+ -- [ + lieu ] ] მახასიათებლით, რაც დაუშვებს გარკვეული რაოდენობისათვის მდგომარეობის შეცვლას. (რიუგე 1972: 245).

ბმისა და მართვის თეორია ფსიქოზმნებს განიხილავს ამ თეორიაში აღიარებული ცნებითი აპარატის ფარგლებში. ამოსაგალი ცნებებია ზმნათა კლასიფიკაციის განსხვავებული პრინციპები, არგუმენტო რაოდენობა, განაწილება და მათთვის თეტა-როლების და ბრუნვის მიწერა, რეფერენციისა და კორეფერენციის საკითხები, მნიშვნელობის ცვალებადობა.

#### 4.2. ფსიქოზმნების ანალიზი ბმისა და მართვის თეორიის პრინციპებზე დაყრდნობით. ნაცვალსახელოვანი ზმნების ტრანსფორმაციული ანალიზი.

ბმისა და მართვის თეორია ფსიქოლოგიური ზმნების სამ კლასს აღიარებს: გარდამავალი, არამიცემითი და არააკუზატიური. ისინი 5 ნიშნით განსხვავდება ტიპიური აგენსური ზმნებისაგან, ესენია: თეტა-როლების განაწილება, ინტერპრეტაცია და მნიშვნელობის ცვალებადობა, სუბიექტის არათემატურობა, ბრუნვის გაუქმება და უკუანაფორა (anaphore arrière). ის ფსიქოლოგიური ზმნები, (გარდამავალნი “adorer”-ს ტიპისა), როგორებიცაა: *admirer, adorer, aimer, apprécier, déplorer, détester, estimer, mépriser, redouter, regretter, supporter*. (ჰერშენზონი 1995: 48-102)

ზედაპირულ სტრუქტურაში სუბიექტიად პაციენტის(patient) ავლენენ, ხოლო პირდაპირ ობიექტიად – თემას.

“Amuser” – კლასის ზმნები, არამიცემითი ზმნებია; მათი სუბიექტი თემაა, ხოლო პაციენტი – პირდაპირი დამატება, ეს კლასი მოიცავს ზმნებს: agacer, dégoûter, effrayer, ennyer, gêner, étonner, horrifier, humiliier, impressionner, intéresser, préoccuper, surprendre, terrifier; ისინი უგუქცევითი ფორმითაც შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგალითად, “s'amuser”, რომელთანაც სუბიექტიად პაციენტი, ხოლო თემად ხშირად PNP – ობიექტი (წინდებულიანი) იხმარება, მიუხედავად იმისა, რომ “se” სუბიექტის იდენტურია, ძნელია მისი თემატური როლის განსაზღვრა.

მაგალითად:

Les marionnettes amusent les enfants

თემა                          პაციენტი

Les enfants s'amusent

პაციენტი

Ce projet intéresse Jean

თემა                          პაციენტი

Jean s'intéresse à ce projet (à Marie) (à elle)

“Manquer”–ტიპის კლასს არააკუზატიური ფსიქოზმნები შეადგენს, რომლებსაც თემად სუბიექტი, ხოლო ობიექტიად მიცემითი ბრუნვა აქვთ. აქ შედის შემდეგი ზმნები:

manquer, plaire, aller bien, appartenir, arriver, déplaire, importer, disparaître, apparaître, répugner, rester, suffrir, tomber, servir, revenir, parvenir,

Il lui manque plusieurs livres

თემა                          ობიექტი

(პაციენტი)

Les livres volés manquent à Marie

თემა                          ობიექტი

ეს უპირო წინადადებები სპეციფიური ხასიათისაა. პირველი წანადადება კონკრეტულია, მეორე უფრო ზოგადი. უპირო ნაცვალსახელის შემდეგ დასაშვებია თემა - en ნაწილობრივი (ვინაიდან ზმნების შინაგანი არგუმენტები, რომლებიც ბრუნვას ამ ზმნებისგან მიიღებს და როცა ისინი ბრუნვანაკლულია, თემა ხშირად ისწრაფვის და მოძრაობის სუბიექტის პოზიციისაკენ.

არამიცემითებს სპეციფიკური კონფიგურაცია ენიჭებათ ბრუნვის მიწერის დროს, სპეციფიკური ბრუნვის გამო. არააკუზატივები იყენებენ ნაწილობრივ “en”-ს (partiel) ნაკლული ბრუნვის კომპენსირებისათვის. არამიცემითებს ასეთი შესაძლებლობა არა აქვთ. “en” წარმოადგენს შინაგან ბრუნვას (ან წინდებული de მიაწერს ბრუნვას) ნაწილობრივი და ბრალდებითი ბრუნვა პირდაპირ დამატების რეალიზაციას წარმოადგენს. ნაწილობრივი ბრუნვა სტრუქტურული ბრუნვაა, იგი იხმარება ისეთ კონსტრუქციებში, სადაც ბრალდებითი ბრუნვა ჩავარდნილია, ასეთებია პასიური ფორმა, საშუალი გვარი და არააკუზატივები). ამ კლასის ზმნები ძირითადად გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით იხმარება; ვინაიდან ეს ზმნები არააკუზატიურია, ისინი ხშირად დამხმარე ზმნა “être”-ით იხმარება, მაგრამ არა ყოველთვის, როგორც უკვე აღინიშნა ეს ზმნები ხასიათდებიან არგუმენტის იდენტური დისტრიბუციით და თეტა – როლების შებრუნებითი მიწერით. ისინი ომონიმურ რიგებს ქმნიან, ამდენად თვლიან მნიშვნელობას და ძნელდება თემატური როლების და არგუმენტთა განაწილების ურთიერთდაკავშირება.

ფსიქოზმნათა გარე არგუმენტები (სუბიექტები) – არათემატურია, ვინაიდან არცერთი არგუმენტი არ არის ნამდვილი აგენსი და ყოველი მათგანის თეტა – როლი აგენსის როლზე დაბლა დგას.

უკუანაფორის (anaphore arrière) საკითხი სადაოა ძირითადად C-კომანდის (C\_commande) პრინციპის დარღვევის გამო: თუმცა ფრანგული ენა უშვებს უკუანაფორის შესაძლებლობას.

Ces rumeurs sur lui-même plaisent (à) / inquiètent Jean →

Ces rumeurs sur lui-même présentent Jean faussement →

თეტა – როლების განაწილება, ტრანსფორმაციული მიდგომა, თემატური იერარქია, უკუანაფორის საკითხი, აფიქრებდა ნ.რიუვეს, ჯეკენდოფს, ლეჟანდრს, ბელეტის და რიცის, გრიმშოუს, პესეცკის. მაგალითად, გრიმშოუს მიაჩნია, რომ თემატური სტრუქტურების თემატურ სტრუქტურებში ჩართვა ორ განზომილებაზე, თემატურზე და ასპექტურზეა დამოკიდებული, მაგალითად წყვილში *craindre / effrayer* განსხვავება ამ ორ ფაქტორზეა დამოკიდებული. “*craindre*” – ის სუბიექტი - პაციენსია, “*effrayer*”– ში პირიქით, – ობიექტია.

ასპექტური დაპირისპირება უკავშირდება თემატური როლების დისტრიბუციის შებრუნებულ მიწერას. ასეთი მიღღომა ერთმანეთისაგან განსხვავებულად განიხილავს არამიცემითების და არააკუზატივების საკითხს და არ აყენებს გარე არგუმენტების არათემატურობის საკითხს.

პესეცკი მიიჩნევს, რომ ფსიქოზმნებს უფრო რთული მორფოსემანტიკური სტრუქტურა გააჩნიათ, ვიდრე ეს ჩანს და შემოაქვს ახალი სემანტიკური პრიმიტივები. თემა იცვლება “causer” –თი, ხოლო მიზანი წარმოადგენს ემოციის სუბიექტურ წყაროს. ის ზმნები, რომლებიც ექსპერიენცერს თხოულობენ, ამას დებულობენ ზმნის სიღრმისეული ლექსიკური მნიშვნელობიდან, რომელსაც დაქმატა კაუზატიური პარამეტრი, ვინაიდან თვით ზმნა ამ მნიშვნელობას ნულოვანი მორფემით გამოხატავს. ამასთანავე მას დასაშვებად მიაჩნია უკუნაფორის არსებობა და არამიცემითების გარე არგუმენტების თემატურობა.

მაგ. გრიმშოუ თვლის, რომ სუბიექტი/არგუმენტი ზმნაში “craindre” (avoir peur), ასპექტური და თემატური თვალსაზრისით ყველაზე რელევანტური, წინწამოწეულია, ხოლო “effrayer, [faire peur]”-ში სუბიექტი/არგუმენტი მაქსიმალურად გამოყო-ფილია ასპექტურად, მაგრამ არა თემატურად, აქედან გამომდინარე “effrayer”-ს თემა – მიზეზია. ასპექტური განზომილების შეგანის აუცილებლობა ფსიქოზმნებისათვის არცთუ ძლიერ დამაჯერებლად გამოიყერება.

ამდენად, “craindre, avoir peur” – მარტივი ზმნაა, ხოლო “effrayer, faire peur” – რთული ზმნაა და ართულებს ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას.

ზოგადად ფსიქოზმნები არ არდვევენ C-კომანდის (C-commande) და ანაფორის განლაგების პრინციპს. ფრანგული ენა შესაძლებლად მიიჩნევს უკუნაფორას ზოგიერთ კონსტრუქციაში. ნ.რიუვე უარყოფს ასეთ ანაფორათა ხმარების და ანალიზის კანონზომიერებას.

პერშენზონის აზრით ანაფორული მართვის ანომალიები პრაგმატიკის სფეროს განეკუთვნება. თუმცა, არის მცდელობა შეიცვალოს ბმის თეორია იმგვარად, რომ მან შეძლოს როგორც სიღრმის, ასევე ზედაპირული სტრუქტურის ინტერპრეტირება. თუ მაგალითად, ჯეკენდორფს დასაშვებად მიაჩნია წინადადება:

Les photos de lui-même amusent Paul

თემატური იერარქიის პრინციპიდან გამომდინარე, გამოყოფის იდეა რელევანტურია იმისათვის, რომ ანაფორა lui-même წინ უსწრებდეს ანტეცედენტს (Paul) ე.ი. პაციენსი უფრო გამოიყოფა, ვიდრე თემა, მეორე წინადადება:

\* Les photos de lui-même représentent Paul faussement.

ბმის თეორიის მიხედვით ანტეცედენტს შეუძლია მართოს ანაფორა D\_(სიღრმის)სტრუქტურაში, ასეთი მიდგომით შესაძლებელია იდენტური D-(სიღრმის) სტრუქტურისა და თეტა-როლების შესაბამისობის შემუშავება ფსიქოზმნების რამდენიმე კლასისათვის.

[VP [ V<sub>1</sub> amuser [ DP photos de lui même ] ] [DP Paul]

უკუქცევითი ზმნები იმართება მხოლოდ თემატური გარე არგუმენტებით, გარდა ზმნების manquer / amuser-ს სუბიექტებისა.

Les enfants se lavent les uns les autres.

ფსიქოზმნათა სამი კლასი აჩვენებს ოტა – როლების სამ განსხვავებულ სიღრმისეულ კონფიგურაციას: გარდამავალს, არამიცემითს და არაბრალდებითს. არააკუზატიურ ფსიქოზმნების ობიექტს (manquer-ს კლასს) არა აქვთ ბრალდებითი ბრუნვა (აკუზატივი) და აქვთ არათემატური გარე არგუმენტი. არამიცემითი ფსიქოზმნების ობიექტს არა აქვს მიცემითი ბრუნვა და აქვს არათემატური გარე არგუმენტი (სუბიექტი). ამ ზმნათა შინაგან ბრუნვათა და არგუმენტთა რიცხვი ორია. არათემატურ ფსიქოზმნებს არა აქვთ ერთი გარე არგუმენტი და ერთი ბრუნვა. “manquer” კლასს აქვს ბრალდებითი, მაგრამ არა აქვს მიცემითი ბრუნვა. გარე თემატური არგუმენტი ორივე კლასისათვის არათემატურია, თემა ხშირად ისწრაფვის, მოძრაობის სუბიექტის პოზიციისკენ, ვინაიდან ორივე კლასი ბრუნვანაკლულია. არამიცემითებს სპეციფიკური ბრუნვის გამო სპეციფიკური კონფიგურაცია ენიჭებათ ბრუნვის მიწერის დროს. არააკუზატივები იყენებენ ნაწილობრივ “en”-ს ნაკლული ბრუნვის კომპენსირებისათვის. არამიცემითების შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა გაუქმდებულია.

Agacer-გაღიზიანება, თავის მობეზრება

Agacer<sub>1</sub> - V<sub>tr</sub>

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>

PN<sub>1</sub> – agent

PN<sub>2</sub> – patient

$PN_1$  – აგენსია, მაგრამ ძნელად აღსაქმელია მისი, როგორც აგენსის აქტიური მოქმედება;

$PN_2$  – პაციენსი, აქაც ზეგავლენა თითქოს მექანიკურია, მაგრამ ძნელად აღსაქმელია როგორც ნამდვილი მექანიკური ზემოქმედება.

Agacer<sub>2</sub>-გაბრაზება

$PN_1 V_{tr} PN_2$

$PN_1 \rightarrow$  თემა, აგენსი, მაგრამ იგი წარმოადგენს პრედიკაციის წყაროს.

$PN_2$  - პრედიკაციის მიზანი, ობიექტი, სადაც თავს იყრის პრედიკაცია,

$PN_2 \rightarrow PN_2$  être Adj<sub>p.p.</sub> agacé

ფსიქოზმნაა, თემატურ – არგუმენტული ფუნქცია რეალურად გარდამავალი ზმნისაა, მაგრამ მოქმედების განაწილება და კონცენტრაცია თავისებურია, ეს არ არის სუბიექტის ჩვეულებრივი მოქმედება ობიექტზე.

ობიექტი განიცდის განსაზღვრულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

Altérer<sub>vtr.</sub>-შეცვლა

Altérer<sub>vtr.</sub> -გაუარესება

$PN_1 V_{tr} PN_2$

ეს ფიზიკური ზემოქმედების ზმნაა, თუმცა სპეციფიური,  $PN_1$  აგენსურობა აქაც ძნელი აღსაქმელია.

Altérer<sub>vtr2</sub>-გაყალბება

არაფიზიკური ზემოქმედების ზმნა,  $PN_1$

$PN_1$ - არათემატურია, იგი არ არის რეალური აგენსი, იგი აღიქმება, როგორც მენტალური ზმნა.

s'altérer-გაუარესება, გაფუჭება

უკუქცევითი ფორმა ამტკიცებს ზმნის მრავალმნიშვნელიანობას. იგი აღიქმება როგორც ფიზიკური და როგორც არაფიზიკური ზმნა;

se =  $PN_1 - PN_2$

სუბიექტი ითავსებს სახელობით და ბრალდებით ბრუნვას.

Alanguir<sub>vtr.</sub> -დასუსტება, დაუმდურება

ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზემოქმედების ზმნა, თვითონ ზმნა შეიცავს ორივე მნიშვნელობას.

$PN_1 V_{tr} PN_2$

$V_{tr}$  [+ --- physique, psychologique] + [± animé  $PN_2$ ] s'alanguir

$PN_1 = se$

**se** = აერთიანებს Nom და Acc

მას არა აქვს უკუქცევითი მნიშვნელობა, იგი ძირითადად მიუთითებს, რომ მდგომარეობა (alanguissement] თავს იყრის სუბიექტის  $PN_1=PN_2$  ირგვლივ. აქ შედის ზმნები: abassourdir, affaiblir, agiter, anéantir, aigrir, apaiser, accrocher, affoler, attacher, attirer, affecter,achever, assombrir.

ამ ჯგუფში შემავალი ყველა ზმნა ამჟღავნებს ზემომოყვანილ თვისებებს; ყველა ეს ზმნა გარდამავალია, თუ ერთი გამოხატავს ფიზიკურ ზემოქმედებას, მისი ვარიანტი (ან ვარიანტები) გამოხატავს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, შესაბამისი უკუქცევითი ფორმა მოქმედების კონცენტრაციას ახდენს სუბიექტ /ობიექტის ირგვლივ. სუბიექტი მეორე შემთხვევაში არათემატურია, არათემატური პაციენსი, განიცდის რეალურად მდგომარეობას. რომელი გზაც არ უნდა იქნას არჩეული მათ გასაანალიზებლად, ტრანსფორმაციული, სემანტიკური (სიჭარბით თუ რუბრიკებით) თუ თემატური, ფუნქციური, მოცემული პარამეტრები მეტ-ნაკლებად უცვლელი დარჩება. დასაშვებია უმნიშვნელო ვარიაციები.

bouleverser vtr. –დანგრევა, არევ-დარევა

$PN_1 V_{tr.} PN_2$

ფიზიკური ზემოქმედების გამოხატველი, მდგომარეობის შეცვლის ზმნაა

$PN_1 \rightarrow$  აგენსია,  $PN_2 -$  პაციენსია

bouleverser vtr2. –აღშფოთება

ფსიქოლოგიური ზემოქმედების ზმნაა;  $PN_1 -$  მოქმედების წყაროა, მიზეზი, მაგრამ არარეალური აგენსი.

$PN_1 [\pm\text{animé}] PN_2 \rightarrow [\pm\text{animé}]$

პაციენსი – მოქმედების (ფსიქოლოგიური მდგომარეობის თავმოყრის ადგილი)

bouleverser vtr.3-თავზარის დაცემა

სუბიექტი არათემატური, იგი არის ემოციის გამოწვევის მიზეზი.

$PN_1 [\pm\text{animé}] PN_2 =$  ემოციის თავმოყრის არქ.

$PN_2 [\pm\text{animé}]$

blinder tr

$PN_1 V PN_2$

blinder tr1-დაჯავშნა

ფიზიკური ზემოქმედების გამოხატველი ზმნაა

blinder <sub>tr2</sub>-ჯავშნით დაფარვა  
 ფიზიკური ზემოქმედების ზმნაა  
 [PN<sub>1t</sub> --- animé] [--- -animé]  
 blinder <sub>tr3</sub>-გამაგრება, წინააღმდეგობის გაწევა  
 ფიგურალური, - არაფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური მდგომარეობის ზმნა.

PN<sub>1</sub> →[±animé], PN<sub>2</sub> [ --- ±animé]  
 არც PN<sub>1</sub> არც PN<sub>2</sub> რეალურად არ წარმოადგენს თეტა – როლით აღნიშნულ ფუნქციებს.  
 PN<sub>1</sub> - აგენსურია PN<sub>2</sub> პაციენსი.  
 ფსიქოლოგიური (წყარო ემოციის) მდგომარეობის კონცენტრაციის ადგილი:

se blinder-თავის დაცვა  
 PN<sub>1</sub> = se = PN<sub>2</sub>  
 se აერთიანებს Nom და Acc  
 blinder <sub>4 intr.</sub>  
 blinder - érgatif  
 ამ ჯგუფში შევა ზმნები ფრიერ, brûler, briser.  
 Chiffoner-დაჭმუჭნა  
 PN<sub>1</sub> V<sub>tr.</sub> PN<sub>2</sub>  
 Chiffonner<sub>tr1</sub>-დაჭმუჭნა  
 ფიზიკური ზემოქმედების ზმნაა, აღნიშნავს მდგომარეობის შეცვლას.  
 PN<sub>1</sub>- სუბიექტის თეტა – როლის (აგენსი)  
 პოზიცია უჭირავს, იგი ნამდვილი აგენსი არ არის, არამედ მოქმედების ადგილია.

PN<sub>2</sub> - პაციენსი, მოქმედების თავისმოყრის ადგილია  
 Chiffonner<sub>tr2</sub>-გაბრაზება, შეწუხება  
 PN<sub>1</sub>- ემოციის წყაროა და არა აგენსი – იგი არ ასრულებს აგენსის თეტა – როლს.  
 PN<sub>2</sub>- ემოციის კონცენტრაციის ადგილი პაციენსია მაგრამ რეალურად განიცდის მოქმედებას, თემატური სუბიექტის იდენტური  
 se chiffoner-დაჭმუჭნა (დაიჭმუჭნება)

se → PN<sub>1</sub> = PN<sub>2</sub> → NOM, ACC

მნიშვნელობა მედიოპასიურია.

Chiffoner<sub>3 intr</sub> - ergatif

აქ ქვეჯუფში შევა ზმნები charmer, choquer, casser, chiffrer.

Coincer<sub>tr.</sub> -სოლის ჩასობა

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>

Coincer<sub>tr1</sub>- სოლით დამაგრება

ფიზიკური ზემოქმედების ზმნაა

PN<sub>1</sub>\_ თეტა – როლი აგენსი

PN<sub>2</sub>\_ თეტა – როლი პაციენსი.

Coincer<sub>tr2</sub>-გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება

ფსიქოლოგიური ზმნაა

PN<sub>1</sub> – თეტა – როლი აგენსი, მაგრამ არარეალური, არამედ მოქმედების წყაროა.

PN<sub>2</sub>- ფსიქოზმნის მიზანია, თეტა – როლი - მიზანი

V<sub>tr</sub>-média – phych – passif

se coincer-სოლით დამაგრება

se – PN<sub>1</sub> = PN<sub>2</sub> = Nom, acc

V<sub>pron.</sub> mediopassif

Coincer<sub>int3</sub> - ergatif

ამ ქვეჯუფში შევა ზმნები: Calmer, consumer, contracter, claquer, couler, crucifier, chatouiller, corrompre.

Défriser<sub>tr</sub>-დახვეული თმის დაშლა

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>

Défriser<sub>1</sub> წინააღმდეგობის გაწევა

ფიზიკური ზემოქმედების, მდგომარეობის შეცვლის ზმნაა.

PN<sub>1</sub>-თეტა-როლი –აგენსი

PN<sub>2</sub>- პაციენსი

Défriser<sub>tr2</sub>-იმედის გაცრუება

ფსიქოზმნაა

PN<sub>1</sub> → P<sub>ronom</sub> Neutre<sub>dem. ind.</sub>

V<sub>tr</sub>-ფსიქოლოგიური ზმნაა

$PN_1 \rightarrow$  თეტა-როლი-წყარო ქმოციის

$PN_2 \rightarrow$  ქმოციის ადგილია

Doucher  $\rightarrow$  წყლის გადასხმა

$PN_1 V_{tr} PN_2$

Doucher  $\rightarrow$  დასველება

$PN_1 - agent$

$PN_2 - patient (experiencer)$

$V_{tr} - ფიზიკური ზემოქმედების ზმნაა$

doucher  $\rightarrow$  დაწუწვა

$PN_1 - თემატური როლი არააგენსურია.$

$PN_1 \rightarrow PN_{indifini}$

$PN_2 \rightarrow ფსიქოზმნის მიზანი$

ზმნა ფსიქოლოგიურია,

se doucher-ღნების უცებ განელება

$PN_1 = se = PN_2 = Nom, Acc;$

$V = გედიოაქტიურია$

აქ შევა ზმნები დებილი, დეფონცი, დემანჯი, დესემპარი, დისპერსი, დეტრიური, დეფრისი, დეტენდერი, დეჩირერი, დემონტერი, დერიენტერი, დერანერი, დეგრადერი, დუშერი, დისტრაირება.

Émousser-დაბლაგვება

$PN_1 V_{tr} PN_2$

$PN_1 - აგენსია$

$PN_2 - პაციენსი$

$V_{tr} - ფიზიკური ზემოქმედების ზმნაა$

emousser  $\rightarrow$  დასუსტებება

$PN_1 \rightarrow [\pm\text{animé}] თეტა-როლი$

აგენსი, თუმცა ძნელად აღსაქმელი როგორც აქტიური.

$V_{tr} \rightarrow$  მნიშვნელობის დადგენაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასპექტი; აწმეო დროში ფიზიკური ზემოქმედების დადგენა შესაძლებელია, მაგრამ ბუნდოვანი. სასრულ დროებში ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს. ძირითადად იხმარება ამ ზმნის Participe passé - ზედსართავის მნიშვნელობით.

$PN_2 - პასციენსი, მასზე იყრის თავს მოქმედება.$

émousser  $\text{tr}_2$  – მოდუნება, მოშვება  
 ფსიქოლოგიური ზმნაა  
 PN<sub>1</sub> [ - animé, - concret ]  
 არათემატური, არააგენსური, იგი მდგომარეობის წყაროა  
 PN<sub>2</sub> - ფსიქოლოგიური მდგომარეობის ადგილი  
 V  $\text{tr}_2$  - მედიოპასიური ზმნაა  
 s'émousser-დაბლაგვება, დაჩლუნგება  
 ინარჩუნებს როგორც პირველ, ასევე მეორე მნიშვნელობას. სელექციის  
 წესები იგივე რჩება.  
 se = PN<sub>1</sub>, PN<sub>2</sub> ითავსებს Nom და acc  
 Emberlificoter  $\text{tr}$ . – ჩახლართვა, გაბლანდვა  
 PN<sub>1</sub> V<sub>tr 1,2</sub> PN<sub>2</sub>  
 იხმარება მხოლოდ უკუქცევითი ფორმით ორივე შემთხვევაში  
 V  $\text{tr}_1$  ფიზიკური მდგომარეობის ზმნაა  
 V  $\text{tr}_2$  ფსიქოლოგიური მდგომარეობის ზმნაა  
 se → PN<sub>1</sub> → PN<sub>2</sub>, Nom, acc  
 V  $\text{tr}_2$  მედიოაქტიური ზმნაა  
 ეს ჯგუფი მრავალრიცხოვანია, მოიცავს შემდეგ ზმნებს:  
 éblouir, exciter, épater ... embaler - დაახლოებით 44 ზმნას.  
 glacer  $\text{tr}$   
 PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>  
 აქ რამდენიმე ზმნა “glacer”- ა, glacer<sub>1,2,3,4,5,:6.</sub>  
 მათ შორის რამდენიმე ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველია და  
 რამდენიმე გადატანითი მნიშვნელობის მქონეა.  
 ფიზიკური მდგომარეობის ზმნებში მეტ-ნაკლებად ჩანს სუბიექტის  
 თემატური-როლი – აგენსი PN<sub>1</sub> და PN<sub>2</sub> სელექციით შეუზღუდავია.  
 ფსიქოლოგიური მდგომარეობის ზმნებში აგენსი არათემატურია – იგი  
 ემოციის წყაროა.  
 PN<sub>2</sub> = მიზანი, ადგილი ემოციის  
 აქ შედის ზმნები გენერ, glacer, ...  
 Irriter-გალიზიანება  
 PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>

Irriter <sub>tr 1.</sub> -გამოცოცხლება

ფიზიკური მოქმედების ზმნა, აქაც ორი ზმნა შეიძლება ჩაითვალოს, irrriter  
1- გაღიზიანება, irrriter 2 - ანთება, ანთების გამოწვევა.

PN<sub>1</sub> - irrriter <sub>1</sub> \_ შემთხვევაში აგენსია,

irriter <sub>2</sub> - შემთხვევაში უფრო მიზეზია.

Irriter <sub>3</sub> - ფსიქოლოგიური ზმნაა,

PN<sub>1</sub> - არააგენსური თეტა-როლის შემსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს,  
იგი ემოციის წყაროა.

PN<sub>2</sub> ემოციის რეალური ადგილია,

ზმნა – მედიოპასიურია

irriter <sub>4</sub>-ამ ზმნაში მეტია ფსიქოლოგიური დატვირთულობა.

PN<sub>1</sub> [ - --- concret N ] [ --- - concret N ]

ფსიქოლოგიური ზმნა-მედიორაქტიური

s'irriter –ვინმეს მიმართ გაღიზიანება

se = PN<sub>1</sub> = PN<sub>2</sub> = Nom, Acc

PPN → en, [ contre N]

უკუქცევით ზმნაში რეალურ აგენსად PN<sub>2</sub> → en ან contre N -წარმოსდგება;

Il s'en irrite; Ils l'irritent ...

ასეთი ტიპის ზმნებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ზმნები: irrriter,  
illuminer, inquiéter, lasser.

Miner <sub>tr-დანაღმება</sub>

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>

miner<sub>1</sub>-ჩამორეცხვა

ფიზიკური მოქმედების ზმნაა

PN<sub>1</sub> -აგენსია

miner <sub>2</sub>-ხვრელის გაყვანა

ფიზიკური მოქმედების ზმნაა, მაგრამ აქ ზმნის ასპექტური მნიშვნელობა  
თამაშობს განსაზღვრულ როლს.

უსულო ასპექტის შემთხვევაში PN<sub>1</sub> წყაროა

სრული ასპექტის შემთხვევაში – აგენსი.

PN<sub>2</sub> \_ მოქმედების მიზანია.

miner <sub>3</sub>-გამოფიტვა

miner 4-ძირის გამოთხრა, ავტორიტეტის შერყვევა

miner 3 და miner 4 \_ორივე ფსიქოლოგიური ზმნებია, განსხვავება მათ შორის  
PN<sub>1</sub> და PN<sub>2</sub> –სელექციით განისაზღვრება.

[ - concret N ---]

თეტა როლები: [ --- - concret N ]

სუბიექტი – წყარო, ობიექტი –მიზანი

ამ ტიპის ზმნებია: miner, marquer, mortifier, mordre, nouer, outrager

nouer -ს აქვს უპუქვებითი ფორმაც და ერგატიულიც.

Peler <sub>tr-</sub> ბეჭვის გაცლა

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>

Peler<sub>1</sub>-დასკდომა, აქერცვლა

ფიზიკური მოქმედების ზმნაა.

PN<sub>1</sub> -აგენსი

PN<sub>2</sub> -პაციენსი

Peler <sub>intr</sub> → ergatif

Peler<sub>2</sub> -ფსიქოლოგიური მდგომარეობის ზმნაა

V<sub>intr</sub>

PN<sub>1</sub> → P<sub>ronom</sub> indéfini

V → საშუალი გვარის ზმნაა

Se peler-აქერცვლა

Se – refléchi

PN<sub>1</sub>- nom

PN<sub>2</sub> – Acc

V – საშუალი აქტიური

ამ ტიპის ზმნებია: révolter, ruiner, retourner, ronger, renverser, remuer, refroidir, rafraîchir, rompre, raser.

Raser <sub>tr.</sub> (არა გაპარსვა) ძირში გადაჭრა

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>

ეს ზმნაც აერთიანებს ფიზიკური მოქმედების რამდენიმე ზმნას.

PN<sub>2</sub> \_თეტა-როლი ძნელი დასადგენია, ყველა ფიზიკური მოქმედების ზმნაში PN<sub>1</sub> -აგენსია

Se raser <sub>1</sub> → გაპარსვა

$Se = PN_1 = PN_2 = \text{Nom} = \text{acc}$

Raser 2-თავის მობეჭრება

ფსიქოლოგიური ზმნაა, მოქმედება სრულდება ქვემდებარის ინტერესით.

გარდაუვალი → საშუალი

ამ ტიპის ზმნებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ზმნები: révolter, ruiner, retourner, ronger, renverser, refroidir, rafraîchir, rompre, raser.

უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიური მდგომარეობის ზმნათა შორის აღინიშნება სემანტიკური ვარიაციები, განსაკუთრებით საყურადღებოა გარდამავალი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ზონები, სადაც ძნელია მპვეტრი დიქოტომიის დადგენა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას შორის, ზოგჯერ ჭარბობს ერთი ან მეორე მნიშვნელობა, ალბათ უპრიანია ასეთი ზმნები (საშუალი) ნეიტრალური გვარის ზმნებს მიეკუთვნოს, ან მათ მიმართ შენარჩუნებულ იქნას ტერმინი მედიოაქტივი, მედიოპასივი, რაც რომანულ ენათა (კონკრეტულად ფრანგული ენის) მიმართ არ იხმარება. ზოგჯერ ფსიქოლოგიური ზმნის მნიშვნელობა მხოლოდ ფამილარულ სტილში ან მნიშვნელობის გაფართოებით მედავნდება, მაგრამ არა გამოკვეთილად. ზოგჯერ ეს მნიშვნელობა იდიომატურ გამოთქმებშია ჩაქსოვილი. მაგ: ზმნების “sonner”, ”raser” –ს შემთხვევაში. რაც ამნელებს აგრეთვე  $PN_1$ ,  $PN_2$  და  $S$  თეტაროლის სტატუსის დადგენას.

Saper-ძირის გამოთხრა

$PN_1 V_{tr} PN_2$

Saper<sub>1</sub>, Saper 2-ძირის გამოთხრა, დანგრევა

ფიზიკური ზემოქმედების ზმნაა, პროცესის მიმდინარეობის ვარიაციებით, პირველი მეტად რადიკალური ზმნაა, მეორე უფრო ხანგრძლივი მოქმედების.

$PN_1$  - აგენსი

$PN_2$  -მიზანი (პაციენსი)

Saper 3-საფუძვლის მორალური შერყევა

ფსიქოლოგიური ზმნა

$PN_2 \rightarrow [ \dots \text{-concret N} ]$

$PN_1$  -წყარო, თეტაროლი არააგენსი

$PN_2 \rightarrow$  მიზანი (ეს თეტაროლი ხშირად პაციენსი იდენტურია)

ზმნა - მედიოპასიურია

აქ შედის ზმნები: secouer, séduire, surprendre, saper, sonner, saouler, suffoquer, submerger, subjuger, stupéfier.

Tanner tr-ტყავის ტრიმპლა

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PN<sub>2</sub>

tanner 1,2-გალახვა, გამუქება

ორივე ზმნა ფიზიკური ზემოქმედების ზმნებია;

tanner, PN<sub>1</sub> → აგენსია; tanner 2 -პაციენსია

სუბიექტის ზემოქმედება დამოკიდებულია ასპექტზე.

უსრული ასპექტის შემთხვევაში იგი ნაკლებ აგენსურია, ვიდრე სრული ასპექტის შემთხვევაში.

tanner 3, tanner 4 – თავის შეწყენა

ფსიქოლოგიური ზმნებია

PN<sub>1</sub> -თეტა-როლი წყაროა

PN<sub>2</sub> - ემოციის მიზანი, აღგილი

ზმნები-მედიოაქტიურია

ამ ტიპის ზმნებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ზმნები როგორიცაა: tordre, tourmenter, torturer, tuer, tracasser, travailler, tenailler, tripoter, trahir, tanner, vider.

Dégoûter tr-გასინჯვა

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> PPN<sub>2</sub>

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> à PN<sub>2</sub>

ეს ზმნა საინტერესოა არგუმენტთა განლაგებით და მათზე მიწერილი თეტა-როლებით.

à PN<sub>2</sub> → ყოველთვის მიცემითია და იგი არის ძირითადად ფსიქოლოგიური მდგომარეობის განმცდელი სუბიექტი, თუმცა გამონათქვამში იგი პაციენსი როლში გამოიდის.

PN<sub>1</sub> → სუბიექტის პოზიციაში მდგომი არააგენსური სუბიექტია, იგი წარმოადგენს ემოციის წყაროს, მიზეზს.

არგუმენტთა ასეთი ურთიერთმიმართება ცხადი ხდება Dégoûter<sub>2</sub> de, რომელიც მართალია მნიშვნელობას იცვლის, მაგრამ არა მთლიანად; აქაც შეიძლება გამოიყოს Dégoûter<sub>3</sub> de, რომელიც უფრო ახლოს დგას პირველ ზმნასთან თავისი მნიშვნელობით.

PN<sub>1</sub> V<sub>tr</sub> de PN<sub>2</sub>

de PN<sub>2</sub> → en

$\text{PN}_1 \text{ en } V_{\text{tr}} t$

$\text{PN}_1 \rightarrow$  არააგენსური სუბიექტია, უფრო მეტად პაციენსი, de  $\text{PN}_2$ -წყარო, ფსიქოლოგიური ზმნის შედეგი და რეალურად იგი ასრულებს სუბიექტის თემატურ როლს, იგი მოქმედების გამომწვევი მიზეზია, წყაროა.

Se dégoûter de  $\text{PN}_2$ -მოხვდა, გაიტყვა

$\text{PN}_2 \rightarrow \text{en}$

$\text{PN}_1 \text{ se en } V_{\text{tr}} t$

$\text{NP}_1 \rightarrow \text{se} \rightarrow \text{Nom}$

$\text{PN}_2 \rightarrow \text{en} - (\text{part. Acc ou Gen}]$

de  $\text{PN}_2$  - წარმოადგენს ფსიქოლოგიური პროცესის წყაროს და იგი ასრულებს სუბიექტის თეტა-როლს, თუმცა არააგენსურს,  $\text{PN}_1$  - სუბიექტის პოზიციაში მდგომი რეალურად პაციენსია se-სთან ერთად. ზმნა მედიოპასიურია.

არსებობს ერგატიული ფსიქოზმნა Dégoûter

$\text{PN}_1 \text{ V dégoûter erg.}$

Répugner tr. -ზიზდის განცდა

არსებობს ამ ზმნის შემდეგი ვარიანტები

Répugner 1-შეზიზდება

$\text{PN}_1 \text{ V}_{\text{tr}} \text{ à Infinitif}$

Répugner 2-ზიზდის შოაგონება

$\text{PN}_1 \text{ V}_{\text{tr}} \text{ à } \text{PN}_2 \text{ à PN} \rightarrow y$

$\text{PN}_1 \text{ y } V_{\text{tr}} t \longrightarrow$

Répugner 3-წინააღმდეგობაში ყოფნა

$\text{PN}_1 \text{ V}_{\text{tr}} \text{ PN}_2$

$\text{PN}_1$  ყველა ვარიანტში არააგენსურია, იგი წარმოადგენს ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიზეზს.

à  $\text{PN}_2$  და  $\text{PN}_2$  გამოხატავენ ემოციის რეალურ სუბიექტებს, თუმცა ისინი პაციენსის თეტა-როლის მატარებლები არიან.

#### 4.3. ნაცვალსახელოვანი ზმნების არგუმენტულ-თემატური და ბრუნვითი სტრუქტურა

6. რიუგეს თვალსაზრისის თანახმად უკუქცევითი ზმნები ჰქმნის ორ დიდ ჯგუფს, რომელთაგან ერთი ტრანსფორმაციების შედეგს წარმოადგენს, ხოლო

მეორე შეიძლება განხილული იქნას ლექსიკური სიჭარბის მონაცემების საფუძველზე. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ნამდვილი და საურთიერთო უკუქცევითი ზმნები (ნამდვილი რეფლექსივები), ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენს ის ზმნები, რომელთაც არა აქვთ გამოხატული გარდამავალი მნიშვნელობა და ნაცვალსახელი se -არ არის მარკირებული, როგორც ნამდვილი ან საურთიერთო ნაცვალსახელის ნიშნით. ასეთი დაყოფა არ ამოწურავს უკუქცევით ზმნათა წიაღში არსებულ სემანტიკურ და ფორმალურ თავისებურებებს, ამიტომ ნ. რიუვეს შემოაქვს ორი ახალი ცნება: “საშუალი” და “ნეიტრალური” უკუქცევითი კონსტრუქციები. (რიუვე 1972: 87-94 )

რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ეს ორი კონსტრუქცია?

1) საშუალ კონსტრუქციებს “პასიური” (ვნებითი) მნიშვნელობა აქვთ, ზედაპირული სუბიექტი განსხვავდება არგამოხატული რეალური აგენსისაგან, რომელსაც ანალიზი გამოავლენს. ნეიტრალურ ზმნებს ასეთი აგენსი არ გააჩნიათ.

2) ძლიერ პროდუქტიული საშუალი კონსტრუქციები ზოგადი ხასიათის სინტაქსური და სემანტიკური შეზღუდვებით ხასიათდება. სახელდობრ, საშუალი კონსტრუქციები ემორჩილება დროის შეზღუდვას, არ გამოხატავს უეცრად (მყისიერად) შესრულებულ მოქმედებას, მაგრამ იგი იდებს საჭიროების შემთხვევაში ჩვეულებრივ, ნორმატიულ, გვარეობით მნიშვნელობას, ისეთ ზმნიზედებთან, როგორიცაა “facilement”, “fréquemment” და საშუალი სქესის ქვემდებარეებთან “cela”, “ça”. ნეიტრალური კონსტრუქციები ხასიათდება მრავალნაირი სახის ლექსიკური შეზღუდვებით

Ces lunettes se sont nettoyés hier à huit heures et quart: (საშუალი)

Cette branche s'est cassée hier à huit heures et quart. (ნეიტრალური)

Les femmes, ça bavarde sans arrêt.

Un maximanteau, ça se porte avec une minijupe.

3) რიუვეს, კეინისა და ობენაურეს საპირისპიროდ (რიუვე 1972: 96-97), მიაჩნია, რომ საშუალი ზმნების სუბიექტი შეიძლება იყოს [± animé, personne ], რომელთა მიხედვით ასეთი სუბიექტი უნდა იყოს (+ animé, personne]

Les ponts, ça se détruit facilement

Un pont, ça se détruit facilement, il y suffit un gros orage.

Le lait, ça se lappe facilement (par un chat)

4) გამონაკლისები, რომლებიც საშუალ კონსტრუქციებში აღინიშნება, რეგულარულ კლასიფიკაციას ემორჩილება, ასეთია მაგ. აგენსზე დაყვანის შეუძლებლობა.

ნეიტრალური კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელი გამონაკლისები დიალექტურ, იდიოლექტურ და დიაქრონიულ ვარიანტებს წარმოადგენს.

5) საშუალი კონსტრუქციები ტრანსფორმაციული წარმოშობისაა; ნეიტრალური კონსტრუქციები ბაზისური წარმონაქმნებია. ამ ტიპის ზმნებად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. მუდმივად უკუქცევითი ზმნები, ისინიც პირდაპირ ბაზისურ კომპონენტში შეიყვანებიან.

6) თითქმის ყველა არსებული დიდი ლექსიკონი გარდამავალი ზმნის პარალელურად იძლევა შესაბამის ნეიტრალურ ზმნას და არ მოიხსენიებს საშუალი ზმნების რებრიკას, რაც უნდა მიუთითებდეს ამ ზმნათა წარმოების რეგულარულ, ხოლო ნეიტრალურ ზმნათა წარმოქმნისა და ხმარების უჩვეულო სინტაქსურ და სემანტიკურ ხასიათზე.

7) საკუთრივ უკუქცევითი ზმნები იმით განსხვავდება ნეიტრალური უკუქცევითი ზმნისაგან, რომ ზოგიერთი მათგანი იხმარება პირდაპირ გარდამავლ კონსტრუქციაშიც და ეს ზმნები, რომლებიც ორივე კონსტრუქციაში იხმარება განსხვავებულ სელექციურ წესებს მისდევენ.

On a tassé la farine

La farine s'est tassé

- On a tassé les désaccords
- Les désaccords se sont tassés.

შეზღუდვები ეხება ორივეს, როგორც გარდამავალ, ასევე უკუქცევით კონსტრუქციას:

Cette nouvelle remplit Paul de joie

\* Paul se remplit de joie

ნეიტრალური ზმნები თავისუფალია სელექციური წესების ინტერპრეტაციის პროცესში.

8) ნეიტრალურ კონსტრუქციებში სუბიექტი ძირითადად კონტროლს ემორჩილება, ე.ი. ინფინიტიურ კონსტრუქციაში იგი ორივე კომპონენტის სუბიექტია (მაგ: ზმნები oser, daigner, forcer)

La foule a osé se réunir

La foule a daigné se disperser

Les policiers ont forcé la foule à se disperser (à s'attrouper)

ეს მოვლენა და ნეიტრალური უკუქცევითი ზმნების ხმარება ფაქტიტიურ (კაუზატიურ) კონსტრუქციაში ( ზმნასთან “faire”) სენაცვალსახელის გარეშეც ნეიტრალურ ზმნათა ბაზისური წარმოშობის სასარგებლოდ მეტყველებს:

Je les ai fait asseoir

J'ai envoyé les enfants se promener

ფაქტიტიურ კონსტრუქციაში არ ჩაირთვება არც საკუთრივ უკუქცევითი (réfléchi, რეფლექსივები) არც საურთიერთო უკუქცევითი (réciproque) ზმნები.

9) საშუალი კონსტრუქციები ტრანსფორმაციული წარმოშობისაა, უფრო სწორებ ისინი ისეთი კლასის ტრანფორმაციის შედეგია, როგორიცაა Passif, Montée du sujet, Formation d'objet.

10) საშუალი უკუქცევით ზმნებთან იხმარება ნაცვალსახელი soi-même, ნეიტრალურებთან soi, რაც მათი განსხვავებული სიღრმის სტრუქტურების შედეგია.

Cela se dit facilement de soi – même.

Quand tout s'effondre autour de soi, on perd la tête.

11) საშუალი და ნეიტრალურ კონსტრუქციათა შორის განსხვავების დასადგენად შეიძლება გამოყენებული იქნას მიმართება, რომელიც არსებობს შესაბამის ზმნათა სუბიექტებსა და ზოგიერთ ზმნიზედათა შორის. ზმნიზედა ძირითადად სიღრმის სუბიექტთან მიმართებაშია და ამ შემთხვევაში გადამწყვეტილებს თამაშობს სელექცია ( $\pm$  animé)-ს შორის. როდესაც სელექციის წესი არ ირღვევა და არსებობს შესაბამისობა სუბიექტსა და ზმნიზედას შორის – შედეგია საშუალი კონსტრუქციისა; ნეიტრალური კონსტრუქციები ანალოგიურ პირობებში მრავალმნიშვნელოვანია; ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ისეთი სიღრმის სტრუქტურა, რომლის სიღრმის და ზედაპირული სუბიექტი დააკმაყოფილებს სათანადო ზმნიზედის მოთხოვნებს.

12) მნიშვნელობით საშუალი, არანაცვალსახელოვანი ზმნები ნეიტრალური ზმნების იდენტური ხდება, ისინი არ ემორჩილება დროის შეზღუდვებს, და მათი სუბიექტები სიღრმის სუბიექტის ყველა თვისებას ფლობს და ფაქტობრივად შეიძლება იქცეს განსაზღვრული ზმნების დამატებად და დაემორჩილოს ზმნიზედებზე შეზღუდვებს:

L'ennemi a coulé le cuirassé

Le cuirasé a coulé

Le vent a cassé la branche  
 La branche a cassé  
 La branche s'est cassée  
 La branche a cassé sous son propre poids  
 La branche a cassé d'une seule main  
 საშუალ კონსტრუქციაში არანაფვალსახელოვანი ზმნა არ იხმარება:  
 Un rôti, ça se cuit tout en lisant  
 \* Un rôti, ça cuit en lisant

“se” –ს ტრანსფორმაციული ვერსია

უკუქცევითი ნაცვალსახელების, ნამდვილი უკუქცევითების (réfléchi),  
 საურთიერთო (réciproque) და დამახასიათებელი (intrinsèque] ადგილი  
 ტრანსფორმაციულ გრამატიკაში განისაზღვრება ტრანსფორმაციით “pl-se”-  
 placement de “se” [ “se” - ადგილზე მოთავსება და ეს ტრანსფორმაცია განსხვავდება  
 უმახვილო ნაცვალსახელების მოთავსების სხვა ტრანსფორმაციებისაგან კ.წ. pl –  
 ce (placement des clitiques).

პასიური კონსტრუქციისა და NP - (სახელადი ჯგუფის განკერძოება –  
 ამოღების) ანალიზმა და კონსტრუქციაში. “faire + infinitif” სპეციფიურმა  
 ფუნქციონირებამ აჩვენა, რომ “se” რეფლექსიური და საურთიერთო სხვა  
 უმახვილო ნაცვალსახელებზე ადრე იკავებს თავიანთ პოზიციას, ასეთი  
 მოძრაობის საფუძველს იძლევა “se”-ს ბრალდებითის ან მიცემითის  
 კორეფერენცია სუბიექტთან.

Jean se regarde

Elles se sont donnés des coups de pied

ამრიგად se-ს ანტეცედენტი უნდა იყოს სუბიექტი და არა ობიექტი,  
 ვინაიდან pl - se განიხილება, როგორც ტრანსფორმაცია, რომელიც  
 ნაცვალსახელს აერთებს ზმნასთან, მაშინ იგი ცხადად უნდა შეიცავდეს V-ს  
 (ზმნას); ეს ტრანსფორმაცია ასეთ სახეს მიიღებს:

PL – se: x NP; v y P<sub>roi</sub> Z

1 2 3 4

[+R] - მიუთითებს ნაცვალსახელთა კორეფერენციაზე სუბიექტთან და  
 აღნიშნავს III პირის ნაცვალსახელს “se”-ს ).

ცვლადები შეზღუდულია განსაზღვრულ შემთხვევებში: Pro - დგას ან  
 მიცემითში ან ბრალდებითში, x, y, z - ცვლადებია; ნიშანი [+R] ოხოულობს, რომ

NP გარემოით უსწრებდეს წინ Pro, ერთდროულად წინასწარ და ზუსტად მას შემდეგ, რაც მოთავსდება ნაცვალსახელის პოზიციაში, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ “se” –ს ანტეცედენტი ...-სუბიექტი იქნება.

“Se”-ს გადაადგილება პასიურ ტრანსფორმაციაზე ადრე ხდება, სხვა ნაცვალსახელთა მოთავსება მოსდევს პასიურ ტრანსფორმაციას. PL-CL წინ უსწრებს აგრეთვე NP – სახელადი ჯგუფის -ტრანსფორმაციას.

Il s'est dénoncé trois mille hommes ce mois-ci.

[trois mille hommes se sont dénoncés ce mois-ci].

ტრანსფორმაცია PL-SE მიცემით ან ბრალდებით ბრუნვაში მდგომ ნაცვალსახელს NP-ს პოსტვერბალური პოზიციიდან გადაადგილებს მარცხნივ და მიამაგრებს მას სათანადო ზმნას; იგი იდებს III პირის ფორმას და რეალიზდება, როცა საჭიროა, I და II პირში.

არსებობს უკუქცევით ნაცვალსახელთა ანალიზის სხვა გზაც, დაშვება იმისა, რომ ისინი სიღრმის სტრუქტურაშივე წარმოიქმნებიან. ასეთ თვალსაზრისს მრავალი მომხრე ჰყავს, მაგრამ რ.კეინი ასეთ მიღებობას არ ემხრობა. (კეინი 1977: 344-360) რ.კეინის აუცილებლად მიაჩნია, რომ “se” ნაცვალსახელის პოზიცია ზედაპირულ სტრუქტურაში წარმოადგენს PL-SE (placement de se) ტრანსფორმაციული მოძრაობის შედეგს. კვალი “se” ნაცვალსახელი ასე უპრობლემოდ არ ემორჩილება მოცემულ ტრანსფორმაციას, ვინაიდან, ასეთებიდან ე.წ. თანდაყოლილი “se”, (intrinsèques), ვინაიდან არ არსებობს ისეთი პოსტვერბალური PN, რომელთაგან ისინი ადვილად და უპრობლემოდ მომდინარეობდნენ, ისეთ ზმნებს, როგორიცაა s'évanouir, s'en aller, s'imaginer (qch) არა აქვთ.

“évanouir (à NP, en aller à (PN), imaginer qch à NP”, გარდა ამისა მათ არა აქვთ დამატება . ნაცვალსახელები არაუკუქცევითები ბრალდებითში და მიცემითშია.

მაგ. \* Marie m'a évanoui

\* Marie évanouit – elle (-même) / soi (même)

\* Ils nous en ont allés

\* Ils en iront moi

\* Jean leur imagine cela

Quand on imagine à soi- (même)

ასეთი მდგომარეობის გამო არსებობდა შეხედულება, რომ “se”-intrinsèque პირდაპირ სიღრმის სტრუქტურაშივე, თავისავე პოზიციაში წარმოიქმნება სინტაგმური წესების საშუალებით.

რ. კეინი მიიჩნევს, რომ თვით ასეთი “se” წარმოადგენს PL-SE დერივაციის შედეგს, და “se” ისევე ფუნქციონირებს, როგორც სხვა დამატება ნაცვალსახელები, რასაც მოწმობს მისი შეთანხმება p.p (ნამყოს მიმღეობა)

Elle s'est décidée le lendemain

თუმცა უნდა აღინიშნოს ამ ზმნათა შემდეგ PN- სემანტიკური განსაზღვრის სიძნელე და ზოგჯერ სრული შეუძლებლობა. არც p.p. შეთანხმების წესია აუცილებელი. ტრანსფორმაციული მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს “se” ხმარება კაუზატიური ფორმასა და ინვერსიაში;

ამის საფუძველს იძლევა აგრეთვე ის გარემოებაც რომ ზოგ კონტექსტში se-უპირატესობითი მომდინარეობს PL-SE (placement de se) საშუალებით მიცემითი ბრუნვიდან და არა sur, après, de, pour, NP -დან.

Elle lui a acheté un jouet; elle a acheté un jouet pour lui → Elles se sont acheté des jouets l'une pour l'autre. (კეინი 1977: 375)

“se” საშუალი (se moyen) უპირატესად მიიჩნევა სიღრმეშივე წარმოქმნილ ნაცვალსახელად; იგი იხმარება შემდეგ კონტექსტებში:

Cela se dit surtout pour ennuyer les gens

Les noisette se mangent bien en parlant

Un tel jouet pourrait s'acheter pour soi-même.

იგი არ იხმარება ზმნა faire + infinitif ანუ კაუზატიურ კონსტრუქციაში.

რ.კეინი მაინც იმ აზრისკენ იხრება, რომ შესაძლებელია მოიძებნოს შემთხვევები, რომლებშიც se-moyen ფუნქციონირებს, როგორც ობიექტი; თუმცა თვით კეინისაც უჭირს მოძებნოს შესაფერისი მაგალითები და აღიარებს: “ტრანსფორმაცია PL-SE, რომელიც, როგორც ჩვენ ვამტკიცებდით, გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვეულებრივი და ორგანულად ნიშანდობლივი “se”-ს შემთხვევაში, შეიძლება არავითარი როლი არ ითამაშოს se-moyen –ის დერივაციაში (კეინი 1977: 372) “se”-პარადიგმაში არსებული ასიმეტრია ადვილად შეიძლება აიხსნას ტრანსფორმაციული ციკლის თეორიის პრინციპების მიხედვით.

სხვა ნაცვალსახელებთან შედარებით “se”-ს არარეგულარული ფუნქციონირება და თვით “se” –ს დისტრიბუცია იმ რიგის ავტომატური შედეგია, რომლითაც ეს ტრანსფორმაციები იქნა გამოყენებული.

PL-SE, FP, FI / INS - A წარმოადგენს ციკლურ ტრანსფორმაციებს, ხოლო PL-CL პოსტციკლურ ტრანსფორმაციას (კეინი 1977: 381)

ამრიგად, “se” – განსხვავებული ფუნქციონირება, ბრალდებითები და არანაცვალსახელოვანი (არარეფლექსური) მიცემითები და არასაურთიეროვნი შედეგია PL-SL ციკლური ხასიათის საპირისპიროდ PL-CL პოსტ-ციკლური ხასიათისაა; “se”-ს ყველა სხვა საინტერესო კორეფერენციული მიმართებანი და ას შემოყვანის არაერთგაროვნება შედეგია PL-SE და FI / INS – ა მიმართებისა ციკლოან.

PL-Se-ს ციკლური ხასიათი, საპირისპიროდ PL-CL პოსტციკლური ხასიათისა, განაპირობებს იმას, რომ PL-SE და არა PL-CL წინ უსწრებს FI / INS A-ს; სწორედ ეს განსაზღვრავს “se”-ს მიმაგრებას faire+infinitif-ზე, განსხვავებით სხვა კლიტიკებისაგან. “se” – პოზიცია Faire-ისა და Infinitif-ის მიმართ განისაზღვრება მისი ადგილით ყოველ კონკრეტულ ციკლში.

მაგალითად წინადადებაში:

La peur de la police a fait se dénoncer un de mes amis.

Se ეკუთვნის ზმნას და წინ უსწრებს faire-ის შემოყვანას, ე.ო. ჯერ I ციკლია.

Jean se fera connaître à Marie

მეორე ციკლის PL-SE და Ins / A შემოდის ჰა და სე ციკლთა გამოყენების მომენტა შორის განსხვავება აისახება ნაცვალსახელთა განსხვავებულ პოზიციებში;

ის ფაქტი, რომ PL-SL და PL-CL განსხვავებული ტრანსფორმაციებია, გულისხმობს, რომ se არ მოითხოვს le, lui, en და სხვა, ერთდროულად ისინი თავიანთ პოზიციებში სხვადასხვა დროს თავსდება,

Il s'en est dénoncé trois mille

Elle s'en achètera une paire

Elle s'en est grillé un.

se და en დერიგაციის სხვადასხვა მომენტში დაიკავებენ თავიანთ პოზიციებს. (კეინი 1977: 399).

ამრიგად, ტრანსფორმაციები PL-Se FI / INS-A როდესაც ისინი ციკლურად გამოიყენება და ურთიერთმოქმედებს და იძლევა შემდეგ, ზედაპირულად რთულ წინადაღებებს:

- a) Le hasard a fait se connaître Jean et Marie
- b) Jean s'est fait connaître à Marie
- c) Jean s'est fait arrêter par la police
- d) Jean s'est fait passer par un fou
- e) Sa vanité a fait se faire photographier le frère de Jean.
- f) Sa mère a fait se faire avorter la jeune fille
- g) Ils se faisaient se laver les mains
- h) Elle fait faire sauter des ponts à ses enfants.

ტრანსფორმაციათა გამოყენების წესი ასეთია:

- a) PL- SE – FI;
- b) FI / Ins – A → PL-SE;
- c) FP → PL-Se;
- d) FI – PL –SE;
- e) FP → PL-SE → FI
- f) FI → PL – SE → FI
- g) PL –SE → FI / INS – A → PL – Se
- h) FI → Fi / INS – A და ა.შ.

რითაც გადმოიცემა “se” –ს ანტეცედენტის სხვადასხვა პოზიციები, და პ-ს ასიმეტრიული (ზედაპირულად) დისტრიბუცია (კეინი 1977: 412)

რ.კეინი აღიარებს ციკლური პრინციპის ძალას და უნივერსალურ ხასიათს.

#### **4.4 რეფერენტული და არარეფერენტული “se”**

ფრანგულ ენაში “se” ანაფორაა და იგი დაკავშირებულია (დაბმულია) ლექსიკურ ან ნაცვალსახელოვან სუბიექტთან. უპარეზეთი ნაცვალსახელები განიხილება ორ ძირითად კლასად: Id (მაიდენტიფიცირებელი, ანუ რეფლექსური და საურთიერთო (réiproque) ნაცვალსახელი) და absorber (Abs “se”) (შთანმთქმნელი, ანუ შემთავსებელი ნაცვალსახელი) – თანდაყოლილი, ნეიტრალური, საშუალი გვარის და ფსიქოზმნების თანხმლები ნაცვალსახელი).

მათგან პირველი სახეობა რეფერენტულია, ხოლო მეორე – არარეფერენტული, რეფერენტული “se” შეიძლება იდებდეს როგორც ბრალდებით, ასევე მიცემით ბრუნვას; არარეფერენტული “se” – ს

მაგალითებია:

1. Marthe se repentit (მუდმივი, ნიშანდობლივი - se)
2. La vitre se rompt (ნეიტრალური)
3. Le livre se lit (საშუალი)
4. L'audience s'amuse (ფსიქო)

მუდმივი “se” ისეთ ზმნებს დაერთვის, რომლებიც მხოლოდ უკუქცევით ფორმაში იხმარება.

საშუალი “se” იხმარება ძირითადად აგენსთან გარდამავალ ზმნებთან, რომლებიც მიიერთებენ უსულო ობიექტს, ფსიქოლოგიური “se” იხმარება იმ კლასის ზმნებთან რომელთა არგუმენტებიც არამიცემითია.

ორი, დასახელებული კლასის “se” ნაცვალსახელთა შორის რამდენიმე სინტაქსური განსხვავებული მახასიათებელი არსებობს.

მაგალითად Abs “se” არ იხმარება “ne ... que”- კონსტრუქციასთან; გარდა ამისა, Abs “se” ზმნები სისტემატურად განსხვავდებიან სემანტიკურად შესაბამისი არანაცვალსახელოვანი ფორმისაგან, რაც არ არის დამახასიათებელი Id se კლასის ზმნებისათვის.

ზოგიერთ შემთხვევაში Abs–se-სთან დაკავშირებულია გარე არგუმენტის/თეტა-როლის და ბრალდებითი ბრუნვის არარსებობა პასიურ კონსტრუქციაში. მაგალითად ჯერ ჩომსკი, ხოლო შემდეგ ბელეტი (1982) უკავშირებს საშუალი “se”-ს (middle se) - პასივს. “si” (იტალიურზეა ლაპარაკი) მიეწერება ის თეტა-როლი, რომელსაც VP მიაწერს NP სუბიექტს. si ითავსებს ობიექტურ ბრუნვას, რომელსაც V მიაწერს თავის პირდაპირ ობიექტს NP. ბურციო (1986) განაზოგადებს ასეთ ანალიზს ნეიტრალურ და მუდმივ Si ნაცვალსახელებზე და ორივე მათგანს ერგატიულ კლასად მიიჩნევს: ”ამ შემთხვევაში si ნაშთია სუბიექტის მიერ თეტა-როლის დაკარგვისა, რაც მოასწავებს ერგატიული ერთეულების წარმოქმნას გარდამავალი ერთეულებიდან: ლექსიკურ პროცესს.

სუბიექტის მიერ თეტა-როლის არქონა უკავშირდება ბრალდებითი ბრუნვის მიწერის უნარის არქონას (ბურციოს განზოგადება; ეს თვალსაზრისი

მრავალმა ენათმეცნიერმა გაიზიარა: ბუშარი, ჟეგლი, ოტერო), Abs se -ეს თვისება გადამწყვეტია მათი ფუნქციონირების ანალიზისათვის ბრუნვანაკლულ ზმნებში.

Abs se (absorber -Abs "se" შთანმთქმნელი, ანუ შემთავსებელი ნაცვალსახელი) არასწორ კონსტრუქციებს წარმოშობს არააკუზატიურ ზმნებთან, ე.ი. ისეთებთან, რომლებიც არასოდეს არ მიაწერენ ბრალდებით ბრუნვას; ასეთებია გარდაუვალი, არააკუზატიური და ამწევი (raising) ზმნები და პასიური მნიშვნელობის მქონე ზმნებში.

Abs se ვერ შეითავსებს მიცემით ბრუნვას, იმ შემთხვევაშიც კი თუ ზმნას ლექსიკურად შეუძლია მიცემითი ბრუნვის მიწერა; მაგ: მუდმივი მიცემითი se ზმნაში s'imaginer, მოწმობს, რომ ზმნა მიაწერს ორივე ბრუნვას, მიცემითს და ბრალდებითს და არა მხოლოდ მიცემითს:

Il se l'imagine

და ამდენად ეს "se" არ წარმოადგენს მუდმივ "se", იგი Id se -ს კლასს განეკუთვნება

ორივე სახის se განსხვავებულად მოქმედებს ნამყო მიმდეობის შეთანხმების თვალსაზრისით. Participe passé ეთანხმება ბრალდებით se-ს და არ ეთანხმება მიცემითს, ეს რაც შეეხება Id se-ს, Abs se-ს შემთხვევაში se ზმნის მორფოლოგიის ნაწილია და უერთდება სუბიექტს (თუ ასეთი არსებობს და არ არის არათემატური).

Elle s'est lavé les mains

\* elle se les est lavées

Il s'est vendu plusieurs jupes

(Il -არათემატური)

Les jupes se sont bien vendues

se - moyen

ამრიგად, Abs se ითავსებს აკუზატივს საშუალ, ნეიტრალურ, ფსიქო და მუდმივად უკუჭცევით ზმნებში. არააკუზატიურს არ აქვს se, ხოლო არამიცემითს აქვს დეთემატიზაცია, თემიდან დაცლა. თემის წართმევა Abs se ზმნების გარე არგუმენტი (სუბიექტი) - არათემატურია, რასაც მოწმობს უპირო II-ის ხმარების შესაძლებლობა სუბიექტის პოზიციაში; გარდა ამისა, ნაცვალსახელის on ხმარება დასაშვებია, მხოლოდ თემატური, გარე არგუმენტის როლში, არ შეიძლება საურთიერო ანაფორების ხმარება. (რომლებიც იხმარება- პირველად

და თემატურ სუბიექტებთან); კაუზატიურ კონსტრუქციებში Abs se აუცილებლად იხმარება და იგი არაპირველადია, წარმოებული, ზედაპირული, ხოლო თემატური სუბიექტი ასეთ კონსტრუქციაში შეიძლება არ იხმარებოდეს. რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ Abs se-ს გარე არგუმენტი (სუბიექტი) –არათემატურია.

მაგალითად:

Il s'est brisé deux verres.

On s'est dispersé

(nous, vous, ils)

\* Les vestons se lavent les uns les autres

Le vent a fait se briser

Cette nouvelle choquante fait s'évanouir Marie

ყველა მოყვანილი წინადადება მოწმობს, რომ Abs se-ს ზმნათა გარე არგუმენტი (სუბიექტი) უთემოა, დარჩენილია თემის გარეშე. საშუალი და ნეიტრალური სენაციები სუბიექტს.

ფსიქოლოგიური ზმნების გარე არგუმენტი უთემოა და ბრუნვანაკლული, ამიტომ თემას ამჯერად მიცემით ბრუნვაში მდგარი ობიექტი კარგავს.

მაგალითად: \* Ce bar dégoûte Marie de la bière

დამატებათა ორობითი ზღვარი გამორიცხავს არამიცემით ფსიქოზმნებისათვის სამიდან ერთ თეტა-როლს. ეს ზმნები მიაწერენ ბრალდებით ბრუნვას და ამდენად მათთან იხმარება Abs se, რომელიც იერთებს ბრალდებით ბრუნვას, ერთ თეტა-როლს და ერთ არგუმენტს, იგი როგორც პაციენსი იკავებს სუბიექტის პოზიციას; და ითავსებს გამომწვევის (causer)- თეტა-როლს; პესეცის მიაჩნია, რომ ფსიქოარამიცემით ზმნებს სამი შინაგანი თეტა-როლი აქვთ: ექსპერიენცერი, კაუზერი და მიზანი/ ემოციის სუბიექტი, (განმცდელი, გამომწვევი მიზანი) ასეთი მიღვომა სსნის ამ ზმნათა მიმართ დეთემატიზაციის პრობლემას.

ამრიგად, მიზეზის და აგენსის თეტა-როლები, და მათი შესაბამისი არგუმენტები შეითავსა Abs se-მ, ასევე კარგავს თემას მეორე პირდაპირი ობიექტი და გარდამავალი ზმნა ხდება გარდაუგალი; ამრიგად, ფსიქოუკუცევითი ზმნები არიან არამიცემითები, არააკუზატივები, ორმაგად არათემატურები და ორმაგად (სტრუქტურულად) ბრუნვანაკლულნი.

ერთადერთი დასაშვები ბრუნვა სახელობითია, თუმცა მათ შეიძლება აირჩიონ წინდებულიანი არგუმენტი, რომელიც თავისთავად ბრუნვითაა მარკირებული (შინაარსი, მნიშვნელობა – the subject matter) (ჰერშ. 112-126)

ფსიქონაცვალსახელთა დილემა გამოწვეულია მათი დერივაციით და სხვა კლასის “se”-თან მიმართებით. ფსიქო se არ ასრულებს იმავე მოთხოვნებს, რომელსაც სხვა არარეფერენტული “se”. სახელდობრ, ისინი ყველანი თქმას აცლიან [Np, IP] და არ მიაწერენ ბრალდებით ბრუნვას. ისეთი ფსიქოზმნები, როგორიცაა

(se préoccuper და s'amuser), ირჩევენ არათემატურ გარე არგუმენტს, რომლის ადგილს ავსებს (იჭერს) შინაგანი არგუმენტი. გარდა ამისა, ისინი, (ფსიქოზმნები) არ მიაწერენ მიცემით ბრუნვას. აქედან გამომდინარე ფსიქო “se” არ არის პირდაპირი რეფერენტული და გარდა ამისა მათ არ გააჩნიათ გარე არგუმენტი/ თეტა როლი, რომელსაც იგი შეითავსებდა. ფსიქოზმნები უპირატესად აიგება ან წინდებულიანი დამატებით, რომელიც სუბიექტის ემოციის საგანს წარმოადგენს, ან მის გამომწვევს. თუ წინადადებაში ორივე თეტა როლი მონაწილეობს, იგი გრამატიკულად ყალბია.

ამრიგად, ფსიქოზმნების კვლევის ძირითად პრობლემას ამ ზმნათა მხრივ შემთავსებელი პარამეტრები და ნაკლული მიცემითი ბრუნვა წარმოადგენს.

როგორც ავღნიშნეთ, ფსიქოლოგიური ზმნები არააქტიური პრედიკაციის გამომხატველი ერთ-ერთი დიდი კლასია. ფსიქოზმნების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამ ზმნათა განსაზღვრულ ჯგუფებს ურთიერთშებრუნებული მიმართება აქვთ სუბიექტთან და ობიექტთან.

ფსიქოლოგიურ ზმნებს შორის განსხვავება ტრანსფორმაციული თვალსაზრისით ძირითადად ზედაპირული სტრუქტურების დონეზე აისახება, კონკრეტული წინდებულებისა და უკუქვევითი ფორმის არსებობა-არარსებობის ფონზე. თემატური პიკოტენის მიხედვით განსხვავებანი, შესაძლოა სიღრმის სტრუქტურაში წარმოჩნდეს და ზმნის მპაცრ ქვემახასიათებლებს დაემორჩილოს.

საინტერესოა ამ ზმნების არგუმენტთა განლაგება და მათზე მიწერილი თეტა-როლები. მათ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ თუ ზმნა გამოხატავს ფიზიკურ ზემოქმედებას, მისი ვარიანტი გამოხატავს ფსიქოლოგიურ

მდგომარეობას, შესაბამისი უკუჭცევითი ფორმა მოქმედების პონცენტრაციას ახდენს სუბიექტ/ობიექტის ირგვლივ.

თემატური ფუნქციები განსხვავებულად შეიძლება იქნას განაწილებული წინადადებაში. ე.ი განსხვავებულ სინტაქსურ პოზიციას იკავებენ და ხშირად რამდენიმე მნიშვნელობას ითავსებენ.

სწორედ ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ წარმოგვედგინა გარკვეული ზმნები თავისი ფორმულებით და თეტა-როლების განაწილებით, რომ უფრო მარტივი გახდეს მათი გამოყენება წინადადებაში.

**s' absenter-(იქ)** არყოფნა, წასვლა, გასვლა.

quitter, s'éclipser, sortir

absenter – არყოფნა

[NP, se—,— Mod. adv] + [+intr], [P psychologique]

NP— Nom, agent

se— Non, agent

Mod, adv→ clitique en

s'en absenter – ცოტათი არყოფნა

NP en V t adv. mod.

s'abstenir de son domicile,

de son poste – დროებით სახლიდან წასვლა, მოშორება

Verbe « essentiellement » pronominal

se=NP sujet            Acc=O

**s'abstenir - თავის არიდება**

abstenir [ NP, se — Pinf faire NP] + [+intr] + [P psych]

[NP<sub>1</sub>, se—, Mod. adv]+[+intre], [P psych]

NP<sub>1</sub> se— Nom

Acc=0

de Vfaire NP→ clitique→ en

abstenir - თავის შეკავება

NP en V t [de faire N]

s' empêcher, se garder, s'interdire,

se refuser, se dispenser, se priver,

éviter, repousser (à)

ორი ზმნის გარდა, ყველა მისი სინონიმი უძუქცევითია.

s' abstenir → essentiellement pronominal.

s'abstenir de le faire

de V<sub>faire</sub> NP de en NP Mod.

de le faire NP { Adv.

**s' acharner** - გაბორობება

Acharner → Vtr. vieilli

Acharner → [NP—, —NP]

s'acharner - ჩაკირკიტება

s'acharner [NP—, se— P Np]

[NP —, se— Psur contre, après NP]

+ [+intr] + [Ppsych]

NP = se Nom.

s' acharner - საკუთარი თავის საზიანოდ მოქმედება

s'acharner → [NP— se → (à) V<sub>faire</sub> NP]

[+trind] + [Ppsych]

[NP—, se clitique V<sub>faire</sub>]

[NP—, se, y V<sub>faire</sub>]

s'y acharner

acharner [se, y Vt. NP]

s'acharner → [NP, —se— V<sub>intr</sub>]

V<sub>ergatif</sub>

**s'acheminer** - რაღაცისკენ მისწრაფება

aheminer

[NP—, —NP]

Vtr.

s' acheminer – წინ სვლა

[NP—, V<sub>se</sub>, —PNP]

Vacc. pron. NP=se=Nom- Agent

PNP → Mod. adv. loc.

Acheminer – გადაგზავნა

Vint.

[NP—, Vintr.— PNP]

V<sub>intr</sub>→Vergatif

PNP→Mod. Ad. but, loc.

**s' adonner** - ოავის გადაგება, მიღრეცილების ქონა

se,

[NP— Vtr.ind.—PNP] [PPsych]

NP $\leftarrow$ se= Nom, source

PNP→clitique→y

se y V t à NP

adonner - ქარის მიმართულების შეცვლა

[NP— Vint à- ]

არ არის ერგატიული, კინაიდან არ გააჩნია პირ. დამატებიანი კონსტრუქცია.

ამ შემთხვევაში ეს ზმნა ნამდვილად გარდაუგალი ზმნაა.

**s'affaiblir-** დასუსტება

[NP se Vpassif] —]

NP= se=Nom= patient

affaiblir – ძალის გამოცდა, შემცირება

ნაცვალსახელებისათვის განკუთვნილი, რაც შეესაბამება X-ზტრიხ სქემის მიხედვით VP გავრცობას. ფრანგულ ენაში ორი ნაცვალსახელოვანი კვანძის არსებობა გამართლებულია თანდაყოლილი ნაცვალსახელოვანი se და ასეთივე en და y –ით s'evanouir, y avoir და s'en aller.

Abs se კონსტრუქციები იღებენ ორ შინაგან არგუმენტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრუნვა გაუქმებულია.

ნეიტრალური და მუდმივი (ორგანული) se შეიძლება აგებულ იქნას არაუმეტეს ორი არგუმენტისა.

მედიალური და მოწვენებითი მიცემითებიც მოცემულ მოსაზრებას ამტკიცებს, გარდა PP შემთხვევებისა, როდესაც ორობითი ზღვარი არ არის მკაცრად განსაზღვრული.

Il se dit des choses scandaleuses des stars au public.

ამრიგად, Abs se-ს ლექსიკური ხასიათი იწვევს შიგა არგუმენტის მიერთებას და ბრალდებითი ბრუნვისას, და ზმის მნიშვნელობის შეცვლას გარდამავალიდან ნეიტრალურით;

განსხვავება Id se და Abs se შორის განპირობებულია ლექსიკური შევსების დონით. ფსიქო se ისეთივეა, როგორც Abs se, ვინაიდან ისინიც მიიერთებენ ზმის ერთ თემატურ არგუმენტს და ცვლიან ზმის მნიშვნელობას. ყველა ფრანგული se წარმოადგენს არგუმენტს [+arg] (პერშ. 126-137).

## 5.2. რეფლექსივები - უკუქცევითები

ამ ნაცვალსახელთა მიმართ ძირითადად საში საკითხი განიხილება.

1. რატომ ეკისრებათ ნაცვალსახელებს დამხმარე ზმის მიწერის როლი..?
2. როულ პრედიკატებში (კაუზატივებში და ინფინიტივებში) ცხადი ხდება, რომ ობიექტი - ნაცვალსახელები ბაზისური წარმოშობისაა და ლოკალურად უკავშირდება თავიანთ ec (ცარიელ კატეგორიებს) ყველა დონეზე.
3. უკუქცევითები ასრულებს არა მარტო ობიექტი-ნაცვალსახელების როლს და იღებენ Θ-როლს, არამედ ფუნქციონირებს როგორც ლექსიკური აფიქსები, რომლებიც ითავსებენ სუბიექტის თეტა-როლს.

საერთოდ უკუქცევითები ორაზროვანია ორი შესაძლო ანალიზის თვალსაზრისით.

რეფლექსივები საერთოდ ორნაირ, უკუჭცევით და საურთიერთო ინტერპრეტაციას ემორჩილება (რაც არ იწვევს მათ შორის დიდ სინტაქსურ განსხვავებას).

ბმის მიმართვები განისაზღვრება როგორც მიმართება ისეთ ელემენტებს შორის, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი თეტა-როლი, არამედ დებულობენ მათ ცარიელი პატეგორიებისაგან. მაგ:

- 1) Jean est arrivé
- 2) Jean s'est accusé [e<sub>i</sub>]
- 3) Jean a accusé lui-même;

პირველ ორ წინადაღებაში მიმართებანი ბმის მიმართებებია, ხოლო 3) ასეთი მიმართებანი არ არსებობს; ასეთი მიმართება არ არსებობს აგრეთვე PRo-სთან ვინაიდან ეს უკანასკნელი არ იმართება ზმნით.

დამხმარე ზმნის E (être) -ის მიწერა და PP შეთანხმება რეალიზდება S-ზედაპირულ სტრუქტურაში; ვინაიდან ამ სტრუქტურაში მიმართებანი ამოძრავე ა-თი მყარდება, აქ პროექციის პრინციპის თანახმად ყველა მიმართება შეადგენს ჯაჭვს.

E (être) მიწერა და PP (ნამყო მიმღეობის) შეთანხმება ყოველთვის ჯაჭვურ მიმართებებში რეალიზდება. რაც შეეხება მესამე წინადაღებას, (avoir-ს და არა შეთანხმებას), არ არის მოთხოვნა იმისა, რომ იგი არსებობდეს S-ზედაპირულ სტრუქტურაში, არამედ მხოლოდ FL- სტრუქტურაში. ის მიმართებანი, რომლებიც არ ქმნიან ჯაჭვს არ მიაწერენ E(b) და არ იწვევენ PP- შეთანხმიებას.

Se რეფლექსივი იხმარება მხოლოდ არა-წარმოებულ ანტეცედენტებთან (არ იხმარება NP-მოძრაობით მიღებული ანტეცედენტები, ე.ი. პასივი, ობიექტის გადაწევა, აწევა და ერგატივები)

პროექციის პრინციპი ამბობს:


მიმართება ბაზისური წარმოშობის არგუმენტ ნაცვალსახელსა და მის ცარიელ კატეგორიას (ec) შორის არსებობს ყველა დონეზე.


ეს წესი უზრუნველყოფს თეტა-როლის გადაცემას თეტა-პოზიციიდან არგუმენტისათვის. D- სიღრმის სტრუქტურაში ნაცვალსახელთა შორის ანტეცედენტური მიმართებების წარმოქმნა, აფართოებს პროექციის პრინციპს:

ყველა მიმართება ბაზისური წარმოშობის ნაცვალსახელთა შორის უნდა არსებობოდეს ყველა დონეზე.

ეს წესი თეორიულად ამართლებს იმ დებულებას, რომ ანტეცედენტ → se-ს მიმართებანი უნდა დამყარდეს D-სიდრმის სტრუქტურაში.

ობიექტი-ნაცვალსახელებიც აგრეთვე ბაზისური წარმოშობისაა. რეფლექსივები, როგორც ლექსიკური აფიქსები, ზმნები, რომლებთანაც იხმარება თანდაყოლილი- რეფლექსივი se- ერგატიული ზმნებია.

Les nuages    se sont dissipés t  


Jean    s'est repenti t  


ამ შემთხვევაში se-ლექსიკური აფიქსია და არ შეუძლია ზმნას მიაწეროს სუბიექტის თეტა როლი.

ვაქტიურად se მიეწერება ორივე პოზიციას – ობიექტის და სუბიექტის პოზიციებს. აქაც ადგილი აქვს E (être) -ს მიწერას და pp შეთანხმებას.

მხოლობითი რიცხვის გამოყენება ფრანგულ ენაში უპირო რეფლექსში ასახავს შეთანხმების სუსტ პირობას სხვა რომანულ (ესპანურ და იტალიურ ენებთან ) შედარებით. ქვემდებარედ აღიქმება il და მას ეთანხმება se და pp.

Il    s'est repenti plusieurs terroristes  


1. [e] se – VNP  


2. NP se - V [e]

I განსხვავდება 2-სგან მხოლოდ იმით, რომ 2-ში se- ობიექტი მიმართება გულისხმობს თეტა-როლის გადაცემას, ხოლო I-ში, se –სუბიექტის მიმართება მყარდება. ამრიგად se I-ში უფრო სუბიექტია, ვიდრე ობიექტი, მაგრამ სინამდვილეში იგი უფრო აფიქსია, ვიდრე სუბიექტი-ნაცვალსახელი, როგორც ერგატიული თანდაყოლილი- რეფლექსივი se. მისი ძირითადი დანიშნულებაა შეითვისოს სუბიექტის თეტა-როლი ძირითადად ლექსიკურ, ვიდრე სინტაქსურ დონეზე. ამის შემდეგ დასაშვები ხდება მორფოლოგიური პროცესი, რომელიც აფიქს se-ს მიაწერს გარდამავალ ზმნას accuser და წარმოიქმნება s'accuser (accuser soi-même). თუ se (ერგატიულიც და თანდაყოლილიც) ლექსიკურად შემოყვანილი აფიქსია, მაშინ იგი, რა თქმა უნდა, უნდა ფიგურირებდეს D-სტრუქტურაში.

se-ს ასეთი ანალიზი გამოსადევია ირიბი ობიექტების მიმართაც

Un individu qui s'est acheté une auto

მკაცრად თეორიული თვალსაზრისით უკუქცევითი se-ს ანალიზი და მისი დაახლოება ერგატიულ და თანდაყოლილ si- ზმნებთან და ერთ მორფემად მოცემული se-ს მიჩნევა, რა თქმა უნდა, სუსტად გამოიყურება. იგი უფრო ემპირიულ ხასიათს ატარებს. და არ ვრცელდება არაუკუქცევით უმახვილო ნაცვალსახელთა ანალიზზე.

“se”-ს თვისებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- 1) იგი არ იხმარება NP-ს მოძრაობით მიღებულ კონსტრუქციებში
- 2) დამხმარე ზმნის ტერიტორია
- 3) იხმარება რესტრუქტურირებულ კონსტრუქციებში, როგორც დამატება.

არ იხმარება faire-თან.

ამ წესების მიხედვით se რეფლექსივი დამატებად მიიჩნევა, რაც საკმარისი არ არის ანალიზისათვის.

შესაძლებელია დამატებითი ანალიზის შემოტანა:

se მიიჩნევა, როგორც ლექსიკური აფიქსი, რომელიც შთანთქავს სუბიექტის თეტა-როლს და ობიექტის ბრუნვას. ეს შეხედულება ცოტათი სჯობს კეინის თეორიას, რომელმაც იგივე შედეგებს მიაღწია, დაუშვა რა რეფლექსიური კლიტისიზაცია-ციკლურად, ხოლო არარეფლექსური-პოსტციკლურად.

მოცემული თეორია წინ გადაღებული ნაბიჯია იმ თვალსაზრისით, რომ აფიქსი se ერთგვარად სინტაქსურად ანალოგიურია, რეფლექსური ნაცვალსახელებისა და არა არარეფლექსური ნაცვალსახელებისა; სხვა მხრივ, აქ წარმოდგენილ თეორიულ სამყაროში. მოცემული თეორია აღიარებს D-სტრუქტურის და S-სტრუქტურის არსებობას და აგრეთვე FL-ის დონის არსებობას. ვინაიდან სხვადასხვა დონეები ლოკალურობის პრინციპზე დაყრდნობით, სხვადასხვა მიმართებებს ახორციელებს.

მაგ: se უნდა ჰქონდეს ანტეცედენტი ყველა დონეზე.

si-soi-même დგინდება FL- დონეზე, მოცემულ დონეებს შორის სწორედ აგების შემდეგი პირობები არსებობს:

D სტრუქტურა	S სტრუქტურა	FL- სტრუქტურა
(i) X	X	X
(ii)	X	X

კლასი (i) წარმოადგენს ნაცვალსახელ (უმახვილო) -ec (ცარიელი ქატეგორიები) მიმართებებს. ეს მიმართებები სწორად იქნება აგებული როგორც წინ, ისე შემდეგ Move α ( ამოძრავე α) ორივე - D და S-სტრუქტურებში და აგრეთვე FL-ში.

კლასი (ii) წარმოადგენს NP-კვალის მიმართებებს, რომლებიც არ არსებობენ Move α-ს წინ (მდე) და ისინი იქმნება Move α-თი. და ისინი სწორად იქნება აგებული FL-შიც.

(iii) წარმოადგენს NP - PRO ან NP-soi-même მიმართებებს, ეს მიმართება, სწორად გაფორმებული, არსებობს მხოლოდ FL-ში.

ლ. ბურციო განიხილავს “se” მორფემის სამ ძირითად კლასს: ”უკუქცევითს”, ”ერგატიულს” და ”ნიშანდობლივ” უკუქცევითს.

განსხვავებით უკუქცევითი “se”-საგან მას შეიძლება არ ჰქონდეს უკუქცევითი მნიშვნელობა და არ ენაცვლებოდეს ობიექტს.

ასეთი “se” შეიძლება ახლდეს ერგატიულ ზმნებს და განიხილებოდეს, როგორც მორფოლოგიური ანარეკლი სუბიექტის მიერ Θ ოეტა როლის დაკარგისა.

ასეთი “se” არ ასრულებს არავითარ სინტაქსურ როლს და უბრალო აფიქსს წარმოადგენს.

La vitre se brise

Le vent brise la vitre

ლექსიკური პროცესი, რომელიც მიუთითებს გარდამავალ – ერგატიულ დერივაციას, ამ ზმნის ერგატიულ ბუნებას სპეციალურად ამ მიზნისათვის განსაზღვრული ტესტები ამტკიცებს.

არსებობს “se” სახეობა, რომელიც განსხვავდება, როგორც უკუქცევითი, ასევე ერგატიული “si”-საგან.

ეს არის ეწ. თანდაყოლილი (მუდმივი, უკუქცევითი si)

Jean se méprend

\* Jean méprend Pierre

“si” არ ენაცვლება დიდ პირდაპირ ობიექტს და ამდენად არ წარმოადგენს უკუქცევით ობიექტს. ეს ზმნა ძირითადად იერთებს PP

Il s'est mépris sur moi.

თუმცა შეიძლება ასეთი si მიჩნეული იქნას უფრო ერგატიულად, ვიდრე თანდაყოლილ (მუდმივ) “si”-თ. ეს მონაცელეობა შეიმჩნევა *tromper / se tromper* - სა და ინტერესი / s'intéresser - წყვილებშიც.

Le débat intéresse Marie

Marie s'intéresse au débat

ზმნაში სე souvenir, “se” ნამდვილი აფიქსია.

Marie se souvient de la guerre

არსებობს ამ ზმნის საპირისპირო ვარიანტი, რომელიც თხოულობს პირდაპირი დამატებას და *se - უკუკვევითია.*

Il se rappelle la guerre

Il lui rappelle la guerre

იგივე წინადაღება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს იმდაგვარად, რომ *se* არ წარმოადგენდეს უკუკვევით ნაცვალსახელს, არამიცემით ირიბ დამატებას, ე.წ. ბენეფაქტიურ მიცემითს.

Marie se la rapelle

Marie se l'immagine

ამრიგად, უკუკვევითი “se” წარმოადგენს ობიექტ-ნაცვალსახელს და ატარებს ობიექტის თეტა როლს, ხოლო ერგატიული და მუდმივი თანდაყოლილი (inherent - reflexive) უკუკვევითი “se” აფიქსებს წარმოადგენს, რომელთაც არა აქვთ სხვა სინტაქსური ფუნქცია. გარდა იმისა, რომ მიუთითებენ, რომ მათ არ შეუძლიათ მიაწერონ თეტა-როლი სუბიექტის პოზიციას, ხოლო ზმნები, რომლებიც იდებენ ასეთ აფიქსების ერგატიული ზმნებია. ამიტომ ერგატიულ და მუდმივ უკუკვევითებს იდენტური ანალიზი უტარდებათ. ორივე კლასის ზმნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს ერთი კლასის წევრები კლასის შიგნით, მაგრამ არა ისე, როგორც განსხვავებული კლასისაგან, რომელთაც აქვთ გარდამავალი ალტერნატივები, ისეთები, როგორიცაა *tromper / se tromper / se méprendre.* არსებობს მცირე კლასი ზმნებისა, ისეთი როგორიცაა *se rappeler, s'imaginer, რომლებიც* გარდამავალია და მოითხოვს მიცემით ბენეფაქტივს. ამ უკანასკნელს შეიძლება ეჭოდოს აუცილებელი უკუკვევითები (obligatory reflexives)

“se” ასე გამოიყურება ინფინიტივურ კონსტრუქციებში.

უკუკვევითი, საურთიერთო *se*

Il serait beau de Pro se<sub>i</sub> voir [e<sub>i</sub>] plus souvent  
თანდაყოლილი –მუდმივი se (უპაკცევითი)

Il n'est pas possible [de Pro<sub>i</sub> se<sub>i</sub> tromper]  
ერგატიული se

Ce vase était détérioré avant de se briser  
და P.P. შეთანხმება ძირითადად სიმეტრიული სისტემებია.

III პირის ნაცვალსახელები ყოველთვის იწვევს შეთანხმებას, მაშინ როდესაც I და II პირის ნაცვალსახელებმა შეიძლება შეთანხმება არც გამოიწვიოს, ამის მიზეზს ალბათ ის წარმოადგენს, რომ ეს პირები არ არიან დიფერენცირებული სქესის მიხედვით (ფორმით) ორაზროვნების წარმოქმნის, ან საკითხის გადაუწყვეტლობის შემთხვევაში იხმარება მამრობითი მხოლობითი;

ამრიგად, შეიძლება დაშვებულ იქნას, რომ აბსტრაქტული სქესის მახასიათებელი კონტექსტის მიხედვით მიეწერება.

ზოგადად, ბმის მიმართება, რომელიც განსაზღვრავს ან E[être]-ის მიწერას, ან p.p. შეთანხმებას, წარმოიდგინება, როგორც ის მიმართებანი, როლებიც იწვევენ თეტა-როლის გადაცემას, ან პერსონალურობას; ბმის მიმართებები მიიჩნევა ჯაჭვის – შემქმნელ მიმართებებად, მაგრამ აქ წამოიჭრება მიმართებათა საკითხი სუბიექტი და უპაკცევით “se”-ს შორის. მაგ:

Marie s'est accusée

ამ წინადადებაში Marie და “se” არ პერსონალურობას; ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ისინი არ ინაწილებენ თეტა-როლს. ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლად შემდეგი ინტერპრეტაცია ჩნდება.

ბმის მიმართება სხვა მიმართებაა და არა მიმართება დამოუკიდებელი თეტა-როლიან ელემენტებს შორის არსებული, ვინაიდან se-ს აქვს ცარიელ (ec) პოზიციაში მყოფი ობიექტის მიერ გადმოცემული როლი და ეს როლი არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი.

თეტა-როლი მხოლოდ NP სუბიექტის პოზიციაშია დამოუკიდებელი. “დამოუკიდებლობის” ასეთი გაგებით მიმართება Marie-ს და Se-ს შორის, ბმის მიმართებაა, როგორიც ცარიელ ec-ქლიტიკებსა და NP-კვალთა შორის.

être-ის სელექცია და p.p. შეთანხმება s-დონის სინტაქსური რეპრეზენტაციის ზოგიერთ კარგად- განსაზღვრული სახიდან გამომდინარეობს.

E (être) მიწერა და p.p. შეთანხმება ამტკიცებს ცარიელ კატეგორიათა არსებობას S-სტრუქტურაში.

არსებული წესები გამოიყენება და გადაჲკვეთს ცარიელ კატეგორიებს. მაგ: სუბიექტი - ავალი მიმართება იწვევს E (être) -ს მიწერას, ისევე როგორც სუბიექტი/se მიმართება.

როუგე აღრიცხავს იმ განსხვავებებს, როლებიც არსებობს ზედაპირულად იდენტურ წყვილთა შორის. იგი აღნიშნავს, რომ se საშუალი (se - moyen), და არა “ნეიტრალური se” (ბურციოს ერგატიული se) შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც სხვადასხვა სახის ფრაზათა ანტეცედენტი.

Une branche comme ça, ça se casse

[d'une seule main]

Se-საშუალის შეზღუდული დისტრიბუცია მოსალოდნელია Ns (ნულოვანი სუბიექტის) თვისებებიდან გამომდინარე.

se- საშუალი იხმარება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან.

Il se construit [i beaucoup d'immeubles]

beaucoup d'immeubles se construisent

ასეთი se არ იხმარება ინფინიტივურ წინადადებაში

\* La possibilité [de se construire des immeubles] est limitée

\* beaucoup de livres s'achètent sous se livre.

მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენი სახის se [უპუქცევითი, მუდმივი და ერგატიული] იხმარება ინფინიტივურ წინადადებაში.

Il serait agréable de se voir plus.

Jean a passé la nuit sous s'endormir.

Le verre est tombé sous se casser.

se-საშუალი თხოულობს ბრუნვის მიწერას სუბიექტის პოზიციისათვის, ამით განსხვავდება იგი ზემოდასახელებული ნაცვალსახელებისაგან.

ფრანგულ და მთელ რიგ ენებში, დასაშვებია, რომ არაარგუმენტული სუბიექტი აუცილებლად უნდა უგაფშირდებოდეს PN ან S (ქვემდებარეს) არგუმენტს, ეს დაშვება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ფრანგულს არა აქვს უპირო პასიური ფორმა (თუმცა კეინის მოჰყავს მაგალითი: il se réfléchit à de drôles de choses ici]; თუ წინადადება:

\* Il se mange bien ici

არასწორია, ეს უნდა მიეწეროს იმ ფაქტს, რომ ამ წინადაღებაში არ არის პოსტგერბალური არგუმენტი, რომელთანაც *il –o* მიმართებაში იქნებოდა.

არსებობს მოსაზრება (მ.რ.მანძინი), რომ ფრანგული *il* იხმარება “განუსაზღვრელ” არგუმენტებთან, გარდა ამისა *se* ბაზისური წარმოშობის ნაცვალსახელია; ბურციო პრინციპში იზიარებს ამ მოსაზრებებს.


თანდაყოლილ, ნეიტრალურ, საშუალ და ფსიქოზმნებს არ გააჩნიათ თემატური გარე არგუმენტი და ბრალდებითი ბრუნვა.

ამდენად, ისინი ამართლებენ ბურციოს ზოგად წესს. ამ ზმნების უკუკევითი ნაცვალსახელი, როგორც ამას ლექსიკური ანალიზი მოწმობს, ითავსებს ბრალდებით ბრუნვას და გარე არგუმენტს (ქვემდებარებს), სახელობით ბრუნვაში.

ამ ზმნათა ანალოგიურად, ფსიქოზმნების “*se*” ითავსებს ბრალდებით ბრუნვას, მაგრამ თემიან არგუმენტს.

## დასკვნები:

I. გვარი უნივერსალური კატეგორიაა. იგი გამოხატავს სუბიექტის მონაწილეობას პრედიკაციაში ძირითადად სამი სახით: სუბიექტი ასრულებს მოქმედებას, (აქტიური) სუბიექტი განიცდის მოქმედებას, (პასიური) სუბიექტი მოქმედებს საკუთარი ინტერესების ფარგლებში; (საშუალი) პირველი სახის მიმართება აგენტსურია, მეორე სახის მიმართება არააგენტსური, მესამე სახის მიმართება შეიძლება აგენტსურიც იყოს და არააგენტსურიც. ამრიგად, დაპირისპირება აქტიურ და არააქტიურ პრედიკაციას შორის.



II. საშუალი გვარი ამა თუ იმ ფორმით უნივერსალურ კატეგორიას წარმოადგენს და უძველესი ენობრივი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი იყო მოქმედებით გვართან ერთად, იგი ითავსებს, როგორც მოქმედებითი გვარის (აქტიური), ასევე ვნებითი გვარის (პასიური) პარამეტრებს. ვინაიდან საშუალი გვარი ორივე სახის პრედიკაციის მატარებელია, ფრანგულ ენაში იგი ძირითადად ზმნის უპარეზებითი ფორმით, ე.წ. ფსიქოლოგიური ზმნებით და გარდაუვალი ზმნების ერთი ტიპით გამოიხატება.

III. საშუალი გვარი განსაკუთრებულ მიმართებას გამოხატავს სუბიექტსა და პრედიკაციას შორის. (პრედიკაცია განიხილება, როგორც ლოგიკურ – სემანტიკური მიმართება სუბიექტსა და ზმნას (პრედიკატს შორის); სუბიექტი ასრულებს მოქმედებას და იგი გადადის ( მიემართება) სუბიექტზე ან ობიექტზე (პირდაპირზე ან ირიბზე), მოქმედება ნაწილდება სუბიექტებსა და ობიექტებს შორის, მოქმედება სრულდება სუბიექტის ინტერესებიდან გამომდინარე, თავს იყრის სუბიექტის ინტერესის სფეროში და შემოიფარგლება ამ სფეროთი.

IV. საშუალი გვარის გამომხატველი ზმნების არგუმენტულ და თემატურ სტრუქტურაში სრულად აისახება საშუალი გვარის მნიშვნელობის

სპეციფიურობა. სუბიექტის აგენსურობა ან არააგენსურობა (თემატურობა ან არათემატურობა), არგუმენტთა ბრუნვების დამთხვევა-შეთავსება, ბრუნვისა და თემატური ფუნქციის შეცვლა, ნაცვალსახელთა (კლიტიკთა, პირის უმახვილო ნაცვალსახელთა) სპეციფიური ინტერპრეტაცია, გარდაუვალი ზმნების კატეგორიის გაჩენა. აქტიურ პრედიკაციად შეიძლება ჩაითვალოს ობიექტის გამოყოფა სუბიექტისაგან და მათი განსხვავებულ არეში მოთავსება (გარდამავლობა), ყველა სხვა სახის პრედიკაცია არააქტიური პრედიკაციის გამოვლენაა.

V. არააქტიური პრედიკაცია მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ბმისა და მართვის თეორიის დებულებებზე დაყრდნობით, ვინაიდან ეს თეორია ურთიერთთან აკავშირებს სტრუქტურულ, სინტაქსურ-სემანტიკურ, პრაგმატულ და კოგნიტიურ პროცესებს ენობრივი მოვლენების ანალიზის მსვლელობის და შედეგების აღრიცხვის თვალსაზრისით. ეს პროცესები და მათი ურთიერთქმედების მოსალოდნელი შედეგები შემდეგ ცნებებში აისახება: არგუმენტთა კონფიგურაციის და თეტა-როლების მიწერის, არგუმენტთა მოძრაობის, ცარიელი კატეგორიების და კვალის, ბრუნვისა და ზმნათა კლასიფიკაციის, რეფერენციის, კორეფერენციის (ანაფორული მიმართებების), პროექციის, ინტერპრეტაციის და სხვათა ცნებებში.

VI. ზმნათა თანამედროვე კლასიფიკაციაში არგუმენტთა სტრუქტურა, ბრუნვათა რაოდენობა და მიწერა, თეტა-როლების განაწილება ბრუნვათა შორის განსაზღვრულია და ყოველ მათგანს დიაგნოსტიკის შესაბამისი ხერხები გააჩნია.

გარდაუვალ ზმნათა კლასი არაერთგაროვანია და სტრუქტურულად განსხვავებული და იგი ძირითადად ორ ტიპს შეიცავს.

1. არაერგატიული (გარდაუვალი)
2. არააკუზატიური ( ერგატიული-ბურციოს ტერმინოლოგიით).
3. ერგატიულ ზმნებად ისეთი ზმნები მიიჩნევა, რომელთა ზედაპირული სუბიექტი წარმოადგენს სიღრმისეულ პირდაპირ ობიექტს.

VII. ურთიერთმიმართება ლექსიკურ ინფორმაციასა და სინტაქსურ სტრუქტურებს შორის აისახება არგუმენტული სტრუქტურის მიწერის პრინციპებში, თემატურ იერარქიასა და ბრუნვის მიწერის შესაძლებლობაში.

თეტა-კრიტერიუმი აღიარებს ცალსახა ურთიერთმიმართებას სტრუქტურულ როლებსა და სიღრმის სინტაქსურ მიმართებებს შორის, ყოველ

არგუმენტს გააჩნია ერთი თეტა-როლი (სემანტიკური როლი) და ყოველ თეტა-როლს შეიძლება მიეწეროს ერთი არგუმენტი.

თეტა-როლები განიხილება, როგორც ბაზისური სემანტიკური როლები, რომელსაც სინტაქსური კატეგორიის თავი (ლექსიკური თავი) მიაწერს მის დამატებებს. არგუმენტთა იერარქია აიგება თემატური იერარქიის შესაბამისად უნივერსალური პრინციპების მიხედვით.

სახელადი ჯგუფის მიმართება ზმნასთან, როგორც არგუმენტის აუცილებელი, ერთადერთი და სტრუქტურულად ლოკალურია. ეს მიმართება განისაზღვრება პროექციის პრინციპით, ბრუნვის ფილტრით და თეტა-კრიტერიუმით.

VIII. თემატური ნუსხიდან აგენსი გამოხატავს წარმოდგენილი მოქმედების მიმართ სურვილს ან ნებას, პაციენსზე თავს იყრის მოქმედების მიმართ ფსიქოლოგიური მზადყოფნა, იგი მიზანში მიიღება ანუ ლოკალიზდება მოქმედება. თემა გადმოსცემს სახელად ჯგუფში NP-ში მოთავსებული მოქმედების განცდას ამ სახელადი ჯგუფით გამოხატული პირის მიერ.

IX. ბრუნვათა მიწერის ხერხი ორგვარია. სახელობითი და ობიექტური, რომელიც ზედაპირულ (S) სტრუქტურაში მიეწერება და თანდაყოლილი, რომელიც D- სიღრმის სტრუქტურაში მიეწერება. თანდაყოლილი ბრუნვა თეტა-აღნიშვნას უკავშირდება, ხოლო სტრუქტურული არ უკავშირდება. ფრანგულ ენაში დამატების სტრუქტურა წარმოდგენილია ორი შინაგანი ბრუნვით, ობიექტურით და მიცემითით, და რომლებიც უჭირავს ორ შინაგან არგუმენტს.

X. ბრუნვის სისტემაში ძირითადი საკითხებია: ბრუნვათა რაოდენობა; ნაწილობრივი ბრუნვა, თემატური სუბიექტი და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული კლასიფიკაცია ზმნებისა არამიცემით, არააკუზატიურ, ერგატიულ, ფსიქოლოგიურ და უკავშირდება ზმნებად, სადაც გადამწყვეტ კრიტერიუმად უკავშირდება ნაცვალსახელი წარმოსდგება.

ზმნათა მოცემული კლასიფიკაცია განუყოფლად უკავშირდება არათემატური (გარე) არგუმენტის საკითხს. არათემატური სუბიექტის არსებობა იწვევს ბრუნვათა დანაკლისს; ამ დროს სხვა არგუმენტები ისწრაფვიან დაიჭირონ სუბიექტის, ან სხვა არგუმენტის პოზიცია და გადაარჩინონ ნაკლული ბრუნვა; საჭმე ეხება სახელობით და ბრალდებით ბრუნვებს. ამ უკანასკნელთა დეფიციტს ავსებს ნაწილობრივი ბრუნვა “en”.

არათემატური გარე არგუმენტის მქონე ზმნებია არააკუზატიური, არამიცემითი ფსიქოზმნები და ერგატიული ზმნები.

XI. ლ.ბურციოს განზოგადება აღწერს კავშირს ნაკლულ ბრუნვასა და ნაკლულ არგუმენტს შორის და შიდა არგუმენტების მოძრაობის მექანიზმს: ბრალდებითი ბრუნვის არქონა შეესაბამება გარე თემატური არგუმენტის არქონას; სახელობითი ბრუნვის პოზიცია უბრუნვო არგუმენტისთვის არის განთავისუფლებული. ორი შინაგანი ბრუნვა მიცემითი და ბრალდებითია; არააკუზატიური ზმნა არ მიაწერს ბრალდებითს და შესაბამისად სუბიექტი არათემატურია; არამიცემითი ზმნა არ მიაწერს მიცემით ბრუნვას და გარე არგუმენტი არათემატურია.

გვარის საკითხის გადაწყვეტაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სუბიექტის თემატური დატვირთულობა და ობიექტების მოძრაობა სუბიექტის თემატური როლის და არგუმენტული პოზიციის მიმართ. ვინაიდან არააკუზატიური და არამიცემითი ზმნები არ მიაწერენ ობიექტებს, სუბიექტი არ არის აგენსი, იგი არათემატურია, იგი არ ასრულებს მოქმედებას, მოქმედება მის ირგვლივ იყრის თავს, მასზე კონცენტრირდება, მის ინტერესებში თავსდება, იგი (სუბიექტი)პასიურიც შეიძლება იყოს, მედიოპასივი, ან აქტიური- მედიოპაქტივი, ის ორი ტერმინი საკმაოდ ადეკვატურად ასახავს საშუალი გვარის ორ მიმართულებას სუბიექტის მიმართ.

XII. პასიური ფორმა არააქტიური პრედიკაციის კანონიკურ გამოხატულებას წარმოადგენს.

პასიური ფორმის წარმოდგენილი ვერსიები ასახავს მოცემული საკითხისადმი სტრუქტურული, ტრანსფორმაციული და გენერაციული მიდგომის თვალსაზრისს.

ეველა მათგანისათვის საერთოა პასივის წარმოების, შექცევადობის, წესთა გამოყენების ერთგვარი ციკლურობის, მოქმედების აგენსის, რედუცირებული პასიური ფორმების აღიარების დებულებები. არსებობს ორი უნიგერსალური ურთიერთშესაბამისობა (კორელაცია) რაც ახასიათებს იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ზმნებს წარმოადგენენ.

ერთი ეხება სუბიექტის პოზიციისათვის თეტა-როლის მიწერას, მეორე ბრუნვის მიწერას: სახელდობრ, ბრალდებითი ბრუნვის მიწერას, თუ დასაშვებია, რომ ზმნები მიაწერენ თავიანთ არგუმენტებს ბრალდებით ბრუნვას. ეს დაშვება უფრო კატეგორიული ფორმით შემდეგნაირად ყალიბდება:

ყველა და მხოლოდ ის ზმნები რომლებიც მიაწერენ თეტა როლს სუბიექტს, შეუძლია მიაწეროს ბრუნვა (ბრალდებით) ობიექტს. ეს დეტულება ასეთი ფორმით შეიძლება გამოიხატოს:

-- Θ<sub>s</sub> → - A (ეს ფორმულა გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებას ბრუნვის არქონას და სუბიექტის თეტა-რლის არქონას შორის, რაც ახასიათებს არააკუზატიურ ზმნებს)

ერგატიულ ზმნებში NP-ს არ მიეწერება თეტა როლი

NP-<sub>Θ</sub> VNP

ამ შემთხვევაში მარჯვენა NP არასოდეს იქნება ბრალდებით ბრუნვაში.

NP-<sub>Θ</sub> VNPS

NP-<sub>Θ</sub> არ უკავშირდება S (დამატებას), იგი ყოველთვის უკავშირდება NP-ს.

NP-<sub>Θ</sub> VNPS

Il lui est arrivé [ s de rencontrer jean]

Il me conviendrait [s de rester]

როდესაც ქვემდებარე (ინფინიტივისა) ფონეტიკურად გამოხატულია, მაშინ ხდება ე.წ. (le marfrage casuel exceptionnel), როდესაც ბრალდებითი ბრუნვა მიეწერება წინადადების (როული) საზღვრების გადალახვით:

NP<sub>+Θ</sub> V [S NP VP]

\* NP-<sub>Θ</sub> V [S NP VP]

Jean attendait [ Bill partir]

\* Il semblait (Bill partir)

არსებობს ორი პოზიცია, რომლებშიც სუბიექტს არ მიეწერება თეტა-როლი: 1) ზოგიერთი არა-პასიური ზმნა; 2) ყველა პასიური ფორმა. ყოველ ქლასს გააჩნია მრავალი ქვეკლასი, დამოკიდებული ზმნის ქვეპატებორიულ მაჩვენებლებზე. – NP, - NPS, - PPS, -S, რაც ალბათ ამოწურავს 1-ლი კატეგორიის ზმნებს.

ტრადიციული ანალიზის თანახმად, პასიური მორფოლოგია მთლიანად არ მიაწერს სუბიექტს თეტა როლს.

თანამედროვე ანალიზის მიხედვით ასეთი უნარი გააჩნია მხოლოდ ნამყო მიმღეობას (და აგრეთვე être-l) თუ პასიურ ფორმას ახლავს დამატება-წინადადება (complément - sentence), მაშინ პოსტვერბალური NP (რომელიც არ გადაიწია სუბიექტის პოზიციაში) უკავშირდება (ერთვის) სუბიექტს, ვინაიდან ეს

არის ერთადერთი გზა მიიღოს ბრუნვა, თუ ასეთი NP არ არის, მაშინ S უკავშირდება ზმნას.

$_A \rightarrow _\Theta_s$

ეყრდნობა სინტაქსურ პრინციპებს.

თუმცა არც ერთ დამოუკიდებელ სინტაქსურ პრინციპს არ შეუძლია აკრძალოს სტრუქტურები

\* NP  $\underline{\underline{_Θ}}$  VNPS

\* NP $_\Theta$  V [S NP VP<sub>inf</sub>]

[NP<sub>i</sub> VNPS; NP; V [i NP VP<sub>inf</sub>]]

და მრავალი სხვა, რომელთა არსებობა არ მტკიცდება, მაგრამ შესაძლებელია, ამრიგად  $-_\Theta \rightarrow -_A$  -დამოუკიდებელი, ლექსიკური პრინციპია და არა სინტაქსური ფაქტორების ანარეკლი.

ალბათ ყველაზე მისაღებია ორივე პრინციპის გაერთიანება:

$\Theta_s \leftrightarrow A$

ამ პრინციპიდან ძალიან ზოგადად გამომდინარეობს, რომ გარდაუვალი ზმნები, ისევე როგორც გარდამავალნი, პოტენციურად წარმოადგენენ ბრალდებითი ბრუნვის მიმწერებს, თუმცა არ ქვეპატეგორიზდებიან პირდაპირი დამატებით.

ამრიგად, გარდაუვალ ზმნებს შეუძლიათ პოტენციურად მიაწერონ ბრალდებითი ბრუნვა და იხმარებოდეს პირდაპირ დამატებასთან. ერგატიულ ზმნებს – არა.

ბურციოს მიერ წარმოდგენილი თვალსაზრისი უკავშირდება არათემატური სუბიექტის საკითხს, ვინაიდან პასივი, ისევე როგორც ერგატიული ზმნები არ მიაწერს თეტა-როლს სუბიექტს.

XIII. ფსიქოლოგიური ზმნები არააქტიური პრედიკაციის გამომხატველი ერთ-ერთი დიდი კლასია. ვინაიდან ამ არგუმენტთა უმრავლესობა ხასიათდება თემატური მიმართულებებისა და არგუმენტთა სტრუქტურის თავისებურებებით, ისინი შეიძლება ჩაითვალოს საშუალი გვარის ზმნებად, ვინაიდან მოქმედება კონცენტრირდება არათემატურ სუბიექტზე ან სუბიექტისკენ მოძრავ ობიექტზე. ფსიქოზმნებს მართვისა და ბმის თეორია განიხილავს ზმნათა განსხვავებულ კლასიფიკაციაზე, არგუმენტთა რაოდენობასა და განაწილებაზე, თეტა-როლების და ბრუნვის მიწერის, რეფერენციისა და კორეფერენციის, მნიშვნელობის

ცვალებადობაზე დაყრდნობით. ამ თეორიის მიხედვით ფსიქოზმნების სამი კლასი არსებობს:

გარდამავალი, არამიცემითი, არააკუზატიური. ისინი ტიპიური აგენსური ზმნებისაგან შემდეგი ნიშნებით განსხვავადება: თეტა-როლების განაწილება, მნიშვნელობის ცვალებადობა, სუბიექტის არათემატურობა, ბრუნვის გაუქმება და უკუანაფორა. ფსიქოზმნები ჰქმნიან ომონიმურ ჯგუფებს, მათ ახასიათებთ თეტა-როლების შებრუნებით მიწერა, იცვლიან მნიშვნელობას, რაც ბუნდოვანს ხდის არგუმენტთა განაწილების დაგავშირებას თემატურ როლებთან. უკუანაფორის საკითხი არდვევს ამ მიმართებათა ძირითად კრიტერიუმებს c-მართვის პრინციპს (c-command-ის პრინციპი).

ფსიქოზმნათა სამი კლასი აჩვენებს თეტა – როლების სამ განსხვავებულ სიდრმისეულ კონფიგურაციას: გარდამავალს, არამიცემითს, არაბრალდებითს. არააკუზატიურ ფსიქოზმნებს (manquer-ს კლასი) არა აქვთ ბრალდებითი ბრუნვა და აქვთ არათემატური გარე არგუმენტი. არამიცემით ფსიქოზმნებს არა აქვთ მიცემითი ბრუნვა და აქვთ არათემატური გარე არგუმენტი. მათი შინაგანი ბრუნვა და არგუმენტთა რიცხვი ორია. მათ აკლიათ ერთი გარე არგუმენტი და ერთი ბრუნვა. გარე არგუმენტი ორივე შემთხვევაში არათემატურია. ვინაიდან ორივე კლასი ბრუნვანაკლულია, თემა ხშირად იხსრაფვის, მოძრაობის სუბიექტის პოზიციისაკენ. არამიცემითებს სპეციფიკური კონფიგურაცია ენიჭებათ ბრუნვის მიწერის დროს სპეციფიური ბრუნვის გამო. არააკუზატივები იყენებენ ნაწილობრივ “en”-ს. ნაკლული ბრუნვის კომპენსირებისათვის. არამიცემითებს ასეთი შესაძლებლობა არა აქვთ.

XIV. რეფლექსური და საურთიერო ნაცვალსახელი “se” – რეფერენტულია, იგი იღებს როგორც მიცემით, ასევე ბრალდებით ბრუნვას, არარეფერენტული se შემდეგ ჯგუფებს ქმნის: მუდმივი, თანდაყოლილი se, ნეიტრალური se, საშუალი se, ფსიქოზმნების se. რეფერენტული უკუქცევითი ზმნები სრული შემადგენლობის ზმნებია, მათი არგუმენტის, ბრუნვისა და თეტა-როლების სტრუქტურა სიმეტრიულია; ნამდვილი უკუქცევითი და საურთიერო ნაცვალსახელი se - დგას სახელობით, ბრალდებით, ან მიცემით ბრუნვაში და გარდამავლობის პრინციპები დაცულია. გვარის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისეთი უკუქცევითი se, რომელიც არ არის გამოყოფილი ქვემდებარიდან, ამდენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის აერთიანებს ორ ბრუნვას, სახელობითს და ბრალდებითს, ასეთ შემთხვევაში ზმნას შეიძლება ჰქონდეს საშუალი აქტიური

(თუ პასიური მეწყვილე არ არის) ან მედიოპასიური მნიშვნელობა (პასიური ჩამნაცვლებლის არსებობის შემთხვევაში), ერგატიული მნიშვნელობა, (შეიძლება) ან საერთოდ არ ინაცვლებდეს არც ერთ ბრუნვას და უბრალო აფიქსს წარმოადგენდეს.

არც ერთ დასახელებულ უკუქცევით ზმნას, თანდაყოლილს, ნეიტრალურს, საშუალს თუ ფსიქოზმნას არ გააჩნიათ თემატური გარე არგუმენტი და ბრალდებითი ბრუნვა. ამ ზმნათა უკუქცევითი “se” ითავსებს ბრალდებით ბრუნვას და გარე არგუმენტს სახელობით ბრუნვაში. ფსიქოზმნების “se” ითავსებს ბრალდებით ბრუნვას, მაგრამ თემატური როლის მქონე (არააგენსურ) არგუმენტს. არგუმენტთა და ბრუნვათა რაოდენობა ორით განისაზღვრება.

XV. ამრიგად, არააქტიური პრედიკაციის კვლევის მიზნისა და ამოცანის განხორციელების საბოლოო შედეგი ითვალისწინებს შექმნილი სივრცის თეორიული დასაბუთებისა და ენისმიერი ადეკვატურობის ურთიერთშერწყმას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბეიე 1993: Abeillé A. *Les nouvelles syntaxes*. Paris: « Armand Colin », 1993.
2. აპრესიანი 1967: Апресян Ю. Д. *Экспериментальное исследование, Семантика Русского глагола*. Москва: «Наука», 1967.
3. აუნი 1985: Aoun J. *A grammar of Anaphora*. Cambridge, Mass: “MIT Press”, 1985.
4. ბელეთი 1988: Belletti A. *Psych Verbs and Theta Theory*. Natural Language and Linguistic Theory. 1988.
5. ბენვინისტი 1956: Benveniste E. *La nature des pronoms*. For Roman Jakobson, La Haye, 1956.
6. ბლინკენბერგი 1960: Blinkenberg A. *Le problème de la transitivité en français*. Copenhague, Munksgaard, 1960.
7. ბორერი 1989: Borer, H. *Anaphoric Agr*. Jaeggli and Safer, 1989.
8. ბრენანი 1982: Bresnan J. *The Mental Representation of grammatical relations*. MIT Press, 1982.
9. ბროდი 1993ა: Brody, M. *Thematic Theory and Arguments*. Linguistic Inquiry 24, 1993.
10. ბროდი 1993ბ: Brody, M. *Θ-theory and Arguments*. Linguistic Inquiry, 24, 1, 1993.
11. ბურციო 1986: Burzio L. *Italian Syntax*. Dordrecht / Boston / Lancaster / Tokyo: « D.Reidel Publishing Company », 1986.
12. ბუშარი 1984: Bouchard D. *On the Content of Empty Categories*. Dordrecht, Foris, 1984.
13. ბუშარი 1992: Bouchard D. *Psych Constructions and linking to Conceptual Structures*. Hirschbühler and Koerner, 1992.
14. გალმიშვილი 1975: Galmiche M. *Sémantique générative*. Paris: « Larousse », 1975.
15. გამყრელიძე . . 1984: Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. *Индоевропейский язык и Индоевропецы*. Тбилиси: Из-во ТГУ, т. I, 1984.
16. გამყრელიძე 2000: გამყრელიძე თ. მწევალი ქართველობის უმრავდობის თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის

- გამომცემლობა, სულხან-საბა თრბელიანის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.
17. გაჩეჩილაძე 1992:  
გაჩეჩილაძე თ. ქართული ენა. თბილისი: თბილისის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.
18. გიორგი 1968:  
Guillaume G. *Temps et Verbes*. Paris: « Ed. Honoré Champion », 1968.
19. გროსი . . . 1971:  
Гросс М., Лантен А. *Теория формальных грамматик*.  
Москва: «Мир», 1971.
20. გროსი 1975:  
Gross M. *Méthodes en syntaxe*. Paris: « Hermann », 1975.
21. გროსი 1986:  
Gross M. *Grammaire transformationnelle du français. I : Syntaxe du verbe*. Paris: « Cantilène », 1986.
22. დავითიანი 1973:  
დავითიანი ა. ქართული ენის სინტაქსი, I.  
სინტაქსის ზოგადი საკითხები. გარეოვანი  
წინაღოდება. თბილისი: « განათლება », 1973.
23. დემუტი 1991:  
Demoute V. *Temporal and aspectual constraints on predicative*. APs. Current Studies in Spanish Linguistics. Georgetown University Press. Washington, D.C. 1991.
24. დიუბუა 1969:  
Dubois J. *Grammaire structurale de français III; La phrase et les transformations*. Paris: « Larousse », 1969.
25. დიუბუა 1987:  
Dubois J. *The Discourse Basis of Ergativity*. Langage, 1987.
26. დიქსონი 1994:  
Dixon R. *Ergativity*. Cambridge: Cambridge Univer. Press., 1994.
27. ენუქიძე 1987:  
ენუქიძე ლ. ძირითადი სინტაქსური თეორიები  
თანამდებობები საზღვარგარეთულ ენათმეცნიერება-  
ში. თბილისი: «მეცნიერება», 1987.
28. ვანდელუა 1986:  
Vandeloise C. *La représentation de l'espace en français*. Paris: Seuil, 1986.
29. ვან ვალინ . . . 1982:  
Ван Валин Р., Фови У. *Референциальная - ролевая  
грамматика*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XI,  
Москва: «Прогресс», 1982.
30. ზუბიზარეტა 1980:  
Zubizarreta M. L. *Pour une restriction thématique*.  
Recherches Linguistiques, Université de Paris VIII, 1980.

31. კანაკი 1995: Canac M. *The distribution of A and de in Tough constructions in French*. Grammatical Theory and Romance Languages. Amsterdam / Philadelphia. V.133, 1995.
32. კამპოსი 1991: Campos H. *Silent objects and subjects in Spanish*. Current Studies in Spanish Linguistics. Washington: Georgetown University Press, D. C. 1991.
33. კეინი 1977: Kayne R. *Syntaxe du français*. Paris: «Editions du Seuil», 1977.
34. კემპჩინსკი 1991: Kempchinsky P. *On the characterization of a class of ditransitive verbs in Spanish*. Washington D. C: Georgetown University Press, 1991.
35. კვაჭაძე 1988: კვაჭაძე ლ. თანამედროვე ქართული ენის ხილვა. თბილისი: «განათლება», 1988.
36. კლიმოვი 1973: Климов Г. А. *Очерк общей теории эргативности*. Москва: Изд-во «Наука», 1973.
37. კონტრერასი 1991: Contreras H. *On resumptive pronouns*. Current Studies in Spanish Linguistics. Washington, D. C: Georgetown University Press, 1991.
38. კოსტერი 1978: Koster J. *Conditions, Empty Holes and Markedness*. Linguistic Inquiry, 1978.
39. კრიმშაუ 1992: Crimshaw J. *Argument Structure*. Cambridge: Mass. MIT Press, 1992.
40. ლაიონზი 1978ა: Лайонз Дж. *Введение в теоретическую лингвистику* (Перевод с английского). Москва: «Прогресс», 1978.
41. ლაიონზი 1978ბ: Lyons J. *Semantics*. London: «Cambridge University Press», vol. I, II, 1978.
42. ლაკოფი 1981: Lakoff R. T. *Abstract syntax and Latin Complementation*. Research Monograph N. 49. Cambridge, Massachussets and London: MIT Press, 1981.
43. ლარსონი 1988: Larson R. *On the Double Object Construction*. Linguistic Inquiry: 1988.
44. ლასნიკი 1992: Lasnik H. *Move alpha*. Cambridge: Mass MIT Press, 1992.

45. ლევინსონი 1983: Levinson S.C. *Pragmatics*. «Cambridge University Press», 1983.
46. ლეკლერი 1976: Leclère C. *Datifs syntaxique et datif éthique*. Recherches linguistiques à Montréal, 1976.
47. ლეჟანდრი 1990ა: Legendre G. *French Impersonal Constructions*. Natural Language and Linguistic Theory, 1990.
48. ლეჟანდრი 1990ბ: Legendre G. *Unaccusativity in French*. Lingua, 1990.
49. მაკელი 1988: McCawley J. D. *The Syntactic Phenomena of English*. V1, V2, Chicago and London: «The University of Chicago Press», 1988.
50. მარტინი 1970: Martin R.M. *La transformation impersonnelle*. Revue de linguistique Romane, 1970.
51. მილნერი 1973: Milner J. C. *Arguments linguistiques*. Mame, Paris, 1973.
52. მორავეცი 1972: Moravcsik J. M. E. *Strawson on predication* Journal of philosophi. vol. LXXIII. No. 12. 1972.
53. ნუნენი 1982: Нунэн М. *О подлежащих и топиках*. Новое в зарубежной лингвистике. Москва: «Прогресс», Вып. II, 1982.
54. ოტიე 1992ა: Authier J. *On the syntactif Status of French Affected Datives*. Linguistic Review, 1992.
55. ოტიე 1992ბ: Authier J. *Is French a Null Subject Language in the DP*. 1992.
56. პინշონი 1972: Pinchon J. *Les pronoms adverbiaux En et Y*. Genève: «Librairie Droz», 1972.
57. პერლმუთერი 1978: Perlmutter D. *Impersonal Passives and the Unaccusative Hypothesis*. Berkley Linguistic Society IV, University on California, 1978.
58. პერლმუთერი . . . 1979: Perlmutter D.M., Scott S. *Syntactic Argumentation and the Structure of English*. Berkley, Los Angeles, London: «University of California Press», 1979.
59. პერლმუთერი . . . 1982: Перлмуттер Д. М., Постал П. М. *Закон единственности продвижения именных групп в позицию подлежащего*.

- Новое в зарубежной лингвистике, вып. XI, Москва: «Прогресс», 1982.
60. Зотлоржево 1978: Pollocx J. *Trace Theory and French Syntax*. Keyser, 1978.
61. Зотсюзю 1974: Postal P. M. *On rising* MIT Press. Cambridge, Mass: 1974.
62. Риуэ 1972: Ruwet N. *Théorie syntaxique et syntaxe du français*. Paris: «Edition du Seuil», 1972.
63. Риуэр 1987: Rouveret AL. *Présentation et Commentaire de la Nouvelle Syntaxe de N. Chomsky*. In : La Nouvelle Syntaxe. Paris: «Ed. du Seuil», 1987.
64. Риурок 1992: Rooryck J. *On the Distinction between Raising and Control*. Hirschbühler and koerner. 1992.
65. Сандфельд 1965: Sandfeld K. *Syntaxe du français contemporain* I, II, III. Paris: Droz, 1965.
66. Сирло. . . 1986: Серль Дж. и Вандервенен Д. *Основные понятия исчисления речевых актов*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVIII, Москва: «Прогресс», 1986.
67. Спортите 1981: Sportiche D. *Bounding Nodes in French*. Linguistic Review 1. 1981.
68. Спортите 1989: Sportiche D. *Silent Categories*. Ms VCTA 1989.
69. Степанов 1981: Степанов И. С. *Имена, предикаты, предложение*. Москва: «Наука» 1981.
70. Степанов 1985: Степанов Ю. С. *В трехмерной пространстве язык*. Москва: «Наука», 1985.
71. Стеванини 1962: Stéfanini J. *La voix pronominale en ancien et en moyen français*. Annales de la Faculté des lettres, Aix-en Provence, 1962.
72. Стowell 1989: Stowell T. *Subjects, Specifiers and X-bar Theory*. Baltin and Kroch. 1989.
73. Супрун 1977: Супрун А. В. *Грамматика и семантика простого предложения*. Москва: Из-во «Наука», 1977.
74. Теннире 1966: Tesnière L. *Eléments de syntaxe structurale*. Paris: «Librairie C. Klincksieck », 1966.

75. ტორტორა 1995: Tortora Ch. M. *Two types of unaccusatives. Grammatical Theory and Romance Languages.* John Benjamins Publishing Company. Amsterdam/ Philadelphia. Vol. 133, 1995.
76. ტსონლასი 1995: Tsoulas G. *The nature of the subjunctive and the formal Grammar of obviation.* Grammatical Theory and Romance Languages. John Benjamins Publishing Company. Amsterdam/ Philadelphia. vol. 133, 1995.
77. უილიამსი 1989: Williams E. *The anaphoric nature of Theta Roles.* Linguistic Inquiry. 1989.
78. ქაცანაშვილი 2005: ქაცანაშვილი ო. პრედიკატის ხილვა  
თანამდებოვნებული ფრანგული ენაზე. (ფილოლოგიურ  
მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის  
ავტორეფერატი). თბილისი, 2005.
79. შანიძე 1980: შანიძე ა. ქ. ქართული ენის გრამატიკის  
საფუძვლები. 1980.
80. შახტერი 1982: Шахтер П. Ролевые и референциальные свойства  
подлежащего. Новое в зарубежной лингвистике. Москва:  
«Прогресс», Вып. 11, 1982.
81. შევალიო 1962: Chevalier J. C. *Remarque sur l'emploi du passif. «le  
français dans le monde»*, 18, 1962.
82. შპერბერ . . . 1988: Шпербер Д., Уилсон Д. Релевантность. Новое в  
зарубежной лингвистике, вып. XXIII, Москва:  
«Прогресс», 1988.
83. ჩომსკი 1971: Chomsky N. *Aspects de la théorie syntaxique.* Paris:  
«Edition du Seuil », 1971.
84. ჩომსკი 1975: Chomsky N. *Questions de sémantique.* Paris: « Edition du  
Seuil », 1975.
85. ჩომსკი 1981: Chomsky N. *Réflexion sur le langage.* Paris: «Flammarion»,  
1981.
86. ჩომსკი 1987: Chomsky N. *La nouvelle syntaxe.* Paris: « Edition du Seuil »,  
1987.

87. ჩომსკი 1993: Chomsky N. *A Minimalist Program for Linguistic Theory*. Hale and Keyser. 1993.
88. ჯაგენდოფი 1987: Jackendoff R. *The Status of Thematic Relations in Linguistic Theory* Linguistic Inquiry 18. 1987.
89. ჯორბენაძე 1975: ჯორბენაძე პ. უმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულ ში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი, 1975.
90. ჯორბენაძე 1980: ჯორბენაძე პ. ქართული უმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. რედ. ჭ. ძიძიგური. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი, 1980.
91. ჰერშენონი 1995: Herschensohn J. *Case suspension and binary complement structure in French*. John Benjamins publishing company. Amsterdam/Philadelphia, 1995.